


# საქართველოს ინფორმაცია

1239  
2010

ISSN 1512-0880

№2 (39) 2010





# საქართველოს ბიბლიოთეკა



ჩვენი ბავშვები

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
ტელ.: 36-09-51

ქურნალის რედაქცია:  
ადექსანდრე ღორია  
- მთავარი რედაქტორი  
გურამ თაყნიაშვილი  
- მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
გუდნარა სფურუა  
- სამეცნიერო-მეთოდური და  
კორექტორულ-ტექნიკური მუშაობის  
რედაქტორ-კოორდინატორი



ინფორმაციის „ალი“  
დამფუძნებლები: საქართველოს  
პარლამენტის იდია ქავჭავაძის  
სახელობის ეროვნული  
ბიბლიოთეკა; საქართველოს  
საბიბლიოთეკო ასოციაცია.





საქართველოს ბიბლიოთეკა № 2 (39) - 10

შინაარსი

კითხვის კულტურის განვითარება თანამედროვე ეტაპზე .....	4
<b>ჩვენი დიდი წინაპრები</b>	
თეა იოსავა – ქართული ზეპირსიტყვიერება „დედა ენაში“ .....	6
რუსუდან წაქაძე – ი. გოგებაშვილი დედა ენის სინმინდის შესახებ ... ..	8
გურამ თაყნიაშვილი – „დედა ენა“; პირველი გამოცემა, პირველი კრიტიკოსები ... ..	10
რუსუდან კაშია, ცაგური ფორჩხიძე – ღირსეული თანამოაზრენი ... ..	13
მამუკა შიშინაშვილი – აკაკის ძვირფასი საჩუქარი ... ..	15
ალექსანდრე ლორია – მძიმე ცხოვრებისეული ხვედრი და შემოქმედებითი ასპარეზი ... ..	16
იური სიხარულიძე – „ძლიერ ნიჭიერი მწერალი“ .. ..	18
<b>კორესპონდენციები</b>	
თამარ ტოგონიძე – ერთი საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ ... ..	20
ლალი გოქაძე – ჩვენი თანამდგომნი ... ..	21
<b>ინტერვიუ</b>	
დალი აბესაძე – „მოასპარეზედ ვინ მგავსო“ ... ..	23
მანანა დეკანოსიძე – ამაგდარი ... ..	25
<b>ღვანლი დაუკარგავი</b>	
იური სიხარულიძე – ასე მგონია, შენს სპეტაკ თვლებს... ..	27
ზემფირა ტყემალაძე, მზია ტოგონიძე – ამაგდარი პროფესიონალი... ..	29
<b>მოგონება</b>	
ოთარ ოსაძე – ახლანდელი გადასახედიდან (გაგრძ.).. ..	32
<b>პოლემიკა</b>	
გიორგი სარაჯიშვილი – რა ღმერთის წყრომაა... ..	35
პაატა ქურდოვანიძე – პასუხი ბატონ გ. სარაჯიშვილს .. ..	37
<b>მოსწავლეთა შემოქმედება</b>	
მზია ტოგონიძე – შემოქმედებით გარიჟრაჟზე... ..	39
ალექსანდრე ლორია – წიგნთან და ლექსთან განუყოფელი... ..	40
გურამ თაყნიაშვილი – ხმა მომავლიდან: მოსწავლის პირველი ნაბიჯები პოეზიაში .....	41
<b>ინფორმაცია</b>	
უმნიშვნელოვანესი წიგნი – გიგანტი ... ..	44
საჭირო სახელმძღვანელო .. ..	45
გულის კარნახით ... ..	45
<b>ენის სინმინდისათვის</b>	
მიხეილ რეხვიაშვილი – ქართული სალიტერატურო ენის დასაცავად ... ..	46
<b>რევიუ</b>	
იური მგალობლიშვილი – ფრანგული კინოხელოვნება 21-ე საუკუნის დასაწყისში... ..	49
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა ... ..	52
<b>კონწარას კლუბი</b>	
რას წერდნენ ძველი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები... ..	53
<b>ნეკროლოგი</b>	<b>55</b>



## БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №2 (39) -10

### Содержание

Развитие культуры чтения на современном этапе .....	4
<b>Прославленные предшественники</b>	
Теа Иосава — Грузинское устное творчество в «Деда ена» .....	6
Русудан Цакадзе — Я. Гогебашвили о чистоте родного языка.....	8
Гурам Такниашвили — «Деда ена»: первое издание, первые критики.....	10
Русудан Кашиа, Цагури Порчхидзе — Достойные единомышленники.....	13
Мамука Шишинашвили — Дорогой подарок Акаки.....	15
Александр Лория — Тяжёлая участь и творческая деятельность.....	16
Юрий Сихарулидзе — «Очень талантливый писатель».....	18
<b>Корреспонденция</b>	
Тамар Тогонидзе — Об одном библиотечном фонде.....	20
Лали Гокадзе — Поддерживающие нас.....	21
<b>Интервью</b>	
Дали Абесадзе — «Кто на поприще подобен мне».....	23
Манана Деканосидзе — Трудовые заслуги.....	25
<b>Непотерянные заслуги</b>	
Юрий Сихарулидзе — Так кажутся мне твои чистые глаза .....	27
Земфира Ткабладзе, Мзия Тогонидзе — Заслуженный профессионал.....	29
<b>Воспоминания</b>	
Отар Осадзе — Взгляд из настоящего (продолжение).....	32
<b>Полемика</b>	
Гиорги Сараджишвили — Что за Божеское проклятье.....	35
Паата Курдованидзе — Ответ господину Г. Сараджишвили.....	37
<b>Творчество учащихся</b>	
Мзия Тогонидзе — На рассвете творчества.....	39
Александр Лория — Неразделимо с книгой и со стихами.....	40
Гурам Такниашвили — Голос из будущего: первые шаги в поэзии двух учеников.....	41
<b>Информация</b>	
Важнейшая книга-гигант.....	44
Нужный учебник.....	45
По подсказке сердца.....	45
<b>О чистоте языка</b>	
Михаил Рехвиашавили — В защиту грузинского литературного языка.....	46
<b>Ревю</b>	
Юрий Мгалоблишвили — Французское киноискусство в начале 21-го века.....	49
<b>Хроника</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии:.....	52
<b>Клуб Концары</b>	
О чём писали старые грузинские сатирические и юмористические журналы и газеты.....	53
<b>Некролог</b> .....	55



## Georgian Library, 2 (39) - 10

### Table of content

Developing the Culture of Reading at the Present Stage.....	4
<b>Praiseworthy Ancestors</b>	
Tea Iosava – Georgian Oral Tradition in Deda Ena.....	6
Rusudan Tsakadze – I. Gogebashvili on the Purity of the Mother Tongue.....	8
Guram Takniashvili – Deda Ena: First Edition, First Critics.....	10
Rusudan Kashia, Tsaguri Porchkhidze – Worthy Partners in Thought.....	13
Mamuka Shishinashvili – The Precious Gift from Akaki.....	15
Alexander Loria – Heavy Burden of Life and a Literary Pursuit.....	16
Iuri Sikharulidze – “Much Talented Writer”.....	18
<b>Correspondence</b>	
Tamar Togonidze – On One Library Fund.....	20
Lali Gokadze – Those Who Are There for Us.....	21
<b>Interview</b>	
Dali Abesadze – “Who is My Equal”.....	23
Manana Dekanosidze – A Valuable Contributor.....	25
<b>Memorable Input</b>	
Iuri Sikharulidze – It Seems to Me Your Shiny Eyes.....	27
Zemfira Tkabladze, Mzia Togonidze – A Professional Contributor.....	29
<b>Recollections</b>	
Otar Osadze – Looking Backwards (Cont.).....	32
<b>Polemic</b>	
Giorgi Sarajishvili – Wrath of God.....	35
Paata Kurdovanidze – Answer to Mr. G. Sarajishvili.....	37
<b>Students’ Works</b>	
Mzia Togonidze – At the Dawn of Creativity.....	39
Alexander Loria – Inseparable from Books and Poems.....	40
Guram Takniashvili – A Voice from the Future: Two Students Taking Their First Steps in Poetry.....	41
<b>Information</b>	
A Crucial Book – Giant.....	44
A Much-Wanted Manual.....	45
At the Call of the Heart.....	45
<b>On Language Purity</b>	
Mikheil Rekhviashvili – Protecting the Literary Georgian Language.....	46
<b>Reviews</b>	
Iuri Mgaloblishvili – French Cinema at the Beginning of the 21st Century.....	49
<b>Chronicle</b>	
The Chronicle of the Georgian Library Life.....	52
<b>Kotsara’s Club</b>	
What They Used to Write in Old Georgian Humour and Satire Magazines.....	53
<b>Obituaries</b>	55



# კითხვის კულტურის განვითარება თანამედროვე ებაზზე

„კულტურა“ ლათინურიდან ნაწარმოები სიტყვაა და ნიშნავს დამუშავებას, მოვლას, განათლებას, განვითარებას, და გულისხმობს ადამიანისა და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობას (ქსე), მას თავისი ფილოსოფია გააჩნია, რომელიც წარმოადგენს მოძღვრებას საგნის არსის, საზოგადოებაში კულტურის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. „კულტურა“ – როგორც დამოუკიდებელი მოვლენის გამომხატველი ტერმინი, გვიანდელ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და მას მერე ის სწრაფად იკიდებდა ფეხს, ფართოვდებოდა მისი არსი, რაც ამ მოვლენის დიფერენცირებულად გაგებას იწვევდა. აქედან გამომდინარე, არსებობს: კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების, კულტურული ნიადაგისა თუ ლანდშაფტის, კულტურული მცენარეების, კულტურული ქცევის, საგანმანათლებლო კულტურის, შრომის კულტურის, მეტყველების კულტურისა და მრავალ სხვათა გაგება. მათ შორისაა სწორედ კითხვის კულტურაც.

კითხვის კულტურის ცნება საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა და ძირითადად ადამიანის ქცევის ის სფერო მოიცავს, რომელიც წიგნის კითხვასთანაა დაკავშირებული („წიგნი“ – უზოგადესი გაგებით).

წიგნის კითხვის კულტურა და წიგნიერება მეტისმეტად დაახლოებული ცნებებია, მაგრამ ერთი და იგივე არ არის, როგორც ეს ზოგს შეიძლება მოეჩვენოს. ადამიანი შეიძლება წიგნიერი იყოს, ბევრ ინტელექტუალურ ღირებულებას ფლობდეს, მაგრამ კითხვის კულტურის დონე არ ჰქონდეს შესაფერისი, ე.ი. ვერ ფლობდეს წიგნის კითხვის რაციონალურ მეთოდებს და ზედმეტი შრომისა და ენერჯის ხარჯზე ახერხებდეს მიაღწიოს წიგნიერების მაღალ დონეს. ეს რომ უფრო ნათლად გავარკვიოთ, საფუძვლიანად უნდა ვერკვეოდეთ თითოეულის არსში. წიგნიერება ადამიანის წიგნთან მჭიდრო ურთიერთობას გამოხატავს, გულისხმობს განათლებულობას, ნაკითხობას, პიროვნების დამოკიდებულებას წიგნისა და ცოდნისადმი, ნაკითხულის გაგებისა და ტექ-

ტის ღრმად წვდომის უნარს, შეთვისებისა და შეფასების შესაძლებლობებს და ა.შ., ყოველივე ამის სრულყოფილად მიღწევა თავისთავად დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა დონეზეა კითხვის კულტურა. კითხვის კულტურა არის წიგნის რაციონალურად კითხვის ჩვევებისა და მეთოდების ერთობლიობა, რაც განაპირობებს წიგნის სრულყოფილად დაუფლებას, აადვილებს აღქმასა და შემეცნებას, აძლიერებს წიგნის ზემოქმედებას, მკითხველის მიერ კითხვასთან დაკავშირებული მიზნების გათვალისწინებით განზრახული შედეგის მიღწევას, კითხვის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

კითხვის კულტურა საზოგადოებრივი მოვლენაა, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ის პიროვნულიცაა. ამიტომაც აქ დიდ როლს თამაშობს ინდივიდუალური თავისებურებანი, აღზრდა-განათლების ტრადიციები, სოციალური გარემო პირობები. კითხვის კულტურა დაკავშირებულია იმის გაგებასთან, თუ როგორ, რა ხერხებსა და მეთოდებს, რა საშუალებებსა და შესაძლებლობებს იყენებს კითხვის პროცესის ორგანიზაციისას პიროვნება თუ საზოგადოება, რაა დამკვიდრებული, როგორი ტრადიციები და შეხედულებები არსებობს. ყველაზე ვიწრო გაგებით, ეს ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა იკითხო წიგნი, რომ ნაკლები დროისა და ენერჯის დახარჯვით მაქსიმალურად მიიღო მისგან ის სარგებლობა, ის შედეგი, რაც მიზნად დავისახავს, რაც შენს მოთხოვნილებას შეადგენს. ყოველივე ეს განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა ვიკითხოთ, როგორ უნდა წარვმართოთ კითხვის პროცესი, როგორ მოვახდინოთ მისი ორგანიზაცია. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ კითხვის კულტურას წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდიკასთან რომ აიგივებენ.

წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა კითხვის კულტურის მთავარი და ძირითადი შემადგენელი ნაწილია, აქ შედის ისეთი საკითხები, როგორცაა კითხვის ტექნიკური სრულყოფა (ანბანთშემადგენლობის სრულყოფილად ცოდნა, მიჯრით და თანმიმდევრულად კითხვა, წა-



ნაკითხის სწორად აღქმა და შემეცნება, ტექსტის გამოუტოვებლად ან საჭირო ადგილების შერჩევით გაცნობა და სხვ.); კითხვის გეგმიურობა; ნაკითხულის ღრმად წვდომა (ანალიზი, გაუგებარი ადგილებისა და სიტყვების გარკვევა); დამხმარე მასალის (საცნობარო ლიტერატურის) გამოყენება; დინამიური (სწრაფი) კითხვა და მისი დაუფლების მეთოდოლოგია; საჭირო მასალის შერჩევა; საძიებო საშუალებებით სარგებლობა და მასალის დამუშავება—ფიქსირება, ეს უკანასკნელი ის ღერძია, რაზედაც დამოკიდებულია კითხვის კულტურის, მრავალი საკითხის სრულყოფილად გაშუქება.

კითხვა რთული ფსიქოლოგიური თავისებურებაა ადამიანის მოღვაწეობაში, მეცნიერული თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის ამომწურავად და საყოველთაოდ შესწავლილი კითხვის ფენომენი. მისი ზედმიწევნით ინდივიდუალური თავისებურება საგრძნობლად აძნელებს ამას. გართულებულია მისი განზოგადება კონკრეტული მონაცემების საფუძველზე, როდესაც ლაპარაკია კითხვის კულტურასა და წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობაზე, შეგვიძლია მხოლოდ ზოგადი დებულებებით შემოვიფარგლოთ და მეტად პირობითი რეკომენდაციები შევიმუშაოთ. კითხვა (განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურისა, რომელსაც უდიდესი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში) შემოქმედებითი ბუნებისაა, ყველა მკითხველი მისთვის დამოუკიდებელი უნარების გამოყენებით ახდენს მას, რაც ერთიორად ზრდის ამ პროცესის ინდივიდუალურ სანყისებს.


საერთოდ, კითხვასთან, მის მართვასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებით ბევრი რამ შეუცნობელია აქამდე. ამ მოვლენის შესწავლა პრაქტიკულად საკმაოდ დიდი ღირებულების მომცემი იქნება და, ამდენად, დასანანი, რომ ამ მიმართულებით არ არსებობს ინტენსიური კვლევა—ძიება და ექსპერიმენტული მუშაობა. სხვადასხვა დროს ჩვენში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის კვლევა და მეთოდოლოგიური დამუშავება უცხო რამ არ იყო, მაგრამ ამჟამად ის სავსებით შეწყვეტილია. რაც შეეხება უცხოეთის გამოცდილებას, მხოლოდ ინფორმაციული ცნობების დონეზე დარჩენა, ცხადია, საკმარისი არ არის.

ადრე მიღებული კვლევის შედეგები და მის საფუძველზე გამოტანილი რეკომენდაციები განახლებასა და განვითარებას საჭიროებს. ახალი ვითარება ახალ მიდგომებს მოითხოვს.

როგორც ვიცით, თანამედროვე პირობებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების

შედეგად წიგნზე მოთხოვნილება საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ამის გამო კითხვის არიალი არ შეზღუდულა, მართალია, კომპიუტერის სახით წიგნს კონკურენტი გამოუჩნდა, მაგრამ ამით კითხვაზე მოთხოვნილება არ შენელებულა, ოღონდ შესასწავლია, რამდენად განსხვავებული და თავისებურია ეს მოთხოვნილება, რა განსხვავებული თვისებებით გამოირჩევა.

კომპიუტერის ფართოდ დანერგვის შედეგად კითხვის მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა. კომპიუტერი ხომ მხოლოდ სანახაობითი აპარატურა არ არის, ის წერილობითი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებაა, რომელიც კითხვის მეშვეობით აწვდის ინფორმაციას მომხმარებელს, ამგვარად ის, ფაქტობრივად, ელექტრონული წიგნის ფუნქციებს ასრულებს; ამგვარად, ისიც, როგორც



წიგნი, კითხვის პრობლემებთანაა დაკავშირებული. ყოველივე ეს ჯერჯერობით სავსებით შეუსწავლელია, თუ საყოველთაოდ არა, ჩვენში მაინც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის კვლევის არანაირი შედეგები ამ მიმართულებით.

მართალია, წიგნის კითხვის კულტურისა და ელექტრონული კითხვის კულტურას შორის ბევრია საერთო, მაგრამ არის ისეთი სპეციფიური მხარეებიც, რომელთა შესწავლა და განზოგადება აუცილებელია. ამ მიმართულებით კვლევა—ძიება, თეორიული და პრაქტიკული მუშაობა დღევანდელი ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ ამომწურავად იქნეს შესწავლილი კითხვის მართვის უძირითადესი პრობლემები.

ჩვენმა სპეციალისტებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეს და გაააქტიურონ კითხვის კულტურის საკითხების დამუშავება და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.



ღირსეული წინაპრები

იაკობ გოგებაშვიდი, აუაუი წერეთედი - 170

თეე იოსეე

ქართული ზეპირსიტყვიერება „დედა ენაში“

იმ მრავალფეროვან მოღვაწეობაში, რასაც იაკობ გოგებაშვიდი ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების სარბიელზე ეწეოდა, უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ეროვნული ხალხური პოეტური შემოქმედების შეკრება-შესწავლისა და გამოყენება-პუბლიკაციის პრობლემას.

ქართული სკოლის სახელმძღვანელოების შედგენის ისტორიამ არ იცის ქართული ზეპირსიტყვიერების სასწავლო მიზნებით გამოყენების სხვა ისეთი მაგალითი, როგორსაც იაკობ გოგებაშვილის წიგნებში ვხვდებით. როცა „დედა ენის“ სასწავლო მასალაზე ვლაპარაკობთ, ყურადღების ცენტრში დგას ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა დიდი ხვედრითი წონა, ხალხურ შემოქმედებაში ი. გოგებაშვილი ხედავდა ხალხის მაღალ იდეალებსა და მისწრაფებებს, სალიტერატურო ენისა და ბავშვთა მეტყველების ბუნებრივი განვითარების უმდიდრესსა და დაუშრეტელ წყაროს, აზრის უშალოდ და თავისუფლად გადმოცემის შესაძლებლობას. ი. გოგებაშვილიმა „დედა ენის“ შესაქმნელად რუსთველისებურად შემართა თავისი „სული, ცნობა და გონება“ და მაღალი შთაგონებით მარადიული ძალა შთაბერა მრავალ ქარცეცხლში გამოვლილ, ფერფლიდან არაერთგზის ფენიქსებრ აღმდგარ ქართველის განუყოფელ საკუთრებად აქცია.

ეროვნული ხალხური პოეტური შემოქმედება, ზეპირსიტყვიერება, იაკობ გოგებაშვილიმა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით დაამკვიდრა ჩვენი სკოლის სასწავლო პროგრამებში. სასკოლო ასაკისა და არა მარტო სასკოლო ასაკის, ქართველი კაცის სულიერ ცხოვრებაში ზოგადად, მხოლოდ ი. გოგებაშვილიმა შეძლო, რომ ხალხის მიერ ათასწლეულებში შექმნილი და დღემდე ხელისხელ გოგმანით მოტანილი ეროვნული ხალხური საუნჯე ხალხისავე აღზრდის, მისი სულიერი და მორალური გაკაფებისათვის ბრძოლის სამსახურში ჩაეყენებინა, ი. გოგებაშვილი წერდა: „ზეპირსიტყვიერი ძეგლის ფიქსაციის დროს ყურადღება უნდა მიექცეს მეტადრე პროზად წერილს, რომ ხალხის ენის კილო და ფრაზების შეკავშირება ნამდვილი დარჩეს“.

ზეპირსიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის დიდაქტიური სწავლების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გაგება-დამუშავებაში განსაკუთრებულია ი. გოგებაშვილის ღვაწლი, ი. გოგებაშვილიმა პრაქტიკულად ნათელყო, თუ როგორ შეეძლო ზეპირსიტყვიერ მასალას დიდი პედაგოგიური მისიის შესრულება. ი. გოგებაშვილიმა, როგორც ცნობილია, თავიდანვე სწორად შეაფასა ხალხური პოეზიის შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, თავის პირველივე სახელმძღვანელოში („ქართული ანბანი“ 1865) ფართოდ შეიტანა სათანადო მასალები, რომლებიც დიდაქტიკური თვალსაზრისით შეარჩია და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ზოგიერთ ნაწარმოებში გარკვეული შინაარსობრივი ცვლილებებიც შეიტანა.

„დედა ენაში“ შეტანილი ზეპირსიტყვიერი ძეგლების ანალიზისათვის ჩვენგან შერჩეულია რამდენიმე ძირითადი თემატიკური ციკლი, ესენია:

1. ლექსები ზნეობაზე.
2. შრომა და მშრომელი ადამიანი.
3. საისტორიო, საგმირო-პატრიოტული ლექს-სიმღერები.
4. ცოდნა.
5. ცილობის ჟანრის ნაწარმოებები.
6. სატირა და იუმორი.
7. ცხოველ-ფრინველთა სამყარო.

წარმოდგენილი რიგის მიხედვით გავყვეთ „დედაენისეული“ ფოლკლორული მასალის ანალიზს.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ ნააზრევში ფართო ადგილი უკავია ერთა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ჰუმანიზმის აღზრდას. დიდი პედაგოგი არა მხოლოდ თვითონ ქმნიდა ამ ხასიათის თხზულებებს, არამედ ამ ორბიტაზე გაჰყავდა ზეპირსიტყვიერი ტექსტებიც, ამით ამსხვრევდა ფოლკლორული ძეგლის ვინრო, პრაქტიკულ ბუნებას და დიდი სახალხო საქმის ინტერესებით ტვირთავდა მას.

ქმა მაშინ მოგაგონდება ათნი რომ გცემდნენ მარტოსა, გამშველებელი არ იყოს,



ეფარებოდე ფლატოსა“.

„ძმაო, რაი სჯოზს ძმობასა,

ადამიანთა შორის სიყვარული ქვეყნებს შორის სიყვარულის სანინდარია. ი. გოგებაშვილს ჭეშმარიტად სჯერა ადამიანთა შორის ხალხური ძეგლით წარმოდგენილი ლამაზი, ჰუმანური, კეთილშობილური, მაღალზნეობრივი, უხინჯო ურთიერთობა ლექსში „გულკეთილობა“

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ,  
ჩვენ ნავალთ და სხვა დარჩება,  
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ,  
ამის მეტი რა შეგვრჩება“.

გონებაგანვრთნილმა, ზნეფაქიზმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ სიკეთის მსახურია და არა კერძო მესაკუთრე. ადამიანს შრომისადმი გამუდმებული სიყვარული და პრაქტიკული მოღვაწეობა ამშვენებს და არა მხოლოდ საკუთარ, პიროვნულ ბედნიერებაზე ფიქრი და ზრუნვა. „დედა ენაში“ შეტანილი ეს ხალხური ლექსიც ამის გამოძახილია:

„კაცი უნდა ხერხი იყოს,  
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,  
განა კაცი ერო არის  
სულ თავისკენ მიითლიდეს“.

ყოჩალი კაცი

ი. გოგებაშვილი გულწრფელად ქადაგებს სიძულვილს ყოველივე იმისადმი, რასაც ადამიანის ექსპლოატაცია ჰქვია.

„არც არავის ყმა ვყოფილვარ,  
არც არავინ ყმად მყოლია,  
ძველი პური, ძველი ღვინო,  
წლით-წლობამდინ გამყოლია“.

ღირსეული კაცი

ლექსში ბატონყმობისადმი ზიზილი აშკარაა. აშკარაა აგრეთვე თავისუფლებისაკენ ლტოლვა, ექსპლუატაციისაგან თავისუფალი შრომის სიკეთე და მისი შედეგები.

ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ მილიონთა სახალხო წიგნი იყო და არის. სახელმძღვანელოს ავტორის მიზანი იყო, მკითხველში განვეითარებინა ყველა ის მაღალზნეობრივი, რაც ადამიანს, ქვეყანას, ბედნიერ მომავალს სჭირდებოდა. მეგობრობა, პატიოსნება, ზრდილობა, გამგონება, შრომისმოყვარეობა, პატრიოტობა, ჰუმანიზმი – ეს ის თვისებებია, რომელთა დამამკვიდრებელიც ადამიანში იყო „დედა ენა“.

ი. გოგებაშვილი არა მხოლოდ უბადლო ნიჭის პედაგოგი იყო, არამედ საბავშვო მწერალიც. მოზარდის სულიერი სამყაროს აბსოლუტრმა ცოდნამ გოგებაშვილს

შესაძლებლობა მისცა, შეექმნა პატრიოტიზმი-სა და ჰუმანიზმის ისეთი უკვდავი საგალობლები, როგორც არის მისი ისტორიული შინაარსის მოთხრობები. ერის ისტორიულ წარსულში დიდი პედაგოგი ცხადად ჭვრეტდა ქვეყნის ანმყოფსა და მომავლისათვის მზრუნველი თაობის აღზრდის საფუძვლებს:

„მამულო, შენთვის მოვკვდები,  
შენთვის ჩავიცვამ შავსაო,  
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,  
შემოგვევლები თავსაო“.

ეს და ანალოგიური შინაარსის უამრავი ხალხური თხზულება საუკუნეების განმავლობაში კვებავს ჩვენს სულიერ სამყაროს, შთაგვაგონებს ერისა და ქვეყნის სიყვარულს. როგორც ცნობილია, ასეთი ხალხური ძეგლები იქცევა „დედა ენის“ შედგენისა თუ შევსება-გამდიდრებისას ი. გოგებაშვილის უპირველეს სამიზნედ. გოგებაშვილს „დედაენაში“ დასწავლა-განდიდება მისაბაძს ხდის, ქმნის წინაპრის კულტს და სიამაყის გრძნობით ავსებს მოზარდს.

გოგებაშვილი თვლის, რომ ცოდნის შექმნა გონებრივი აღზრდის შემადგენელი ნაწილია. სადაც ლაპარაკია განათლებაზე, მას მხედველობაში აქვს გონებრივი აღზრდა, ცოდნის შექმნა, გონებრივ სიმდიდრედ დიდ პედაგოგს სწორედ ცოდნა, სწავლა მიაჩნდა, მას ის „უძლეველ ფარად“ და „ბასრ“ მახვილად თვლის. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. ცოდნის ფარმა იფარა, ხმალი იბასრა, ღონემ იღონა და ფეხიც და ფესვით გავიდვით და წინ წავედით.

დღეს ჩვენი ქვეყნის წინსვლის გზაზე დიდია „დედა ენის“ მადლი, მისი ძალისხმევა, აქ ხალხური შემოქმედების მასალების გვერდზე გადადება არ ეგების. რის ფოლკლორული საგანძური მუდამ იყო მშობელი ხალხის „თანამდევნი უკვდავი სული“, სიკეთისათვის ბრძოლაში მისი ფარი და მახვილი. ი. გოგებაშვილი მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციებიდან ზვერავს და კრებს ხალხური სიტყვიერი ფოლკლორის თვალმარგალიტს. ამაზე ნათლად მეტყველებს ფაქტი: ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ ორმოცდაათიოდე ფოლკლორულ თხზულებას იწერს.

ი. გოგებაშვილს სახელმძღვანელოში შეუტანია პ. უმიკაშვილის ფოლკლორული კოლექციიდან

ტექსტები: „მოდო ვნახოთ ვენახი“, „ორმოში ფეტი ჩავყარე“, „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“, „დილას





ოქრო ხარ, სტუმარო“, „ანდუყაფარ“, „მე ჯავახეთს რა მინდოდა“, „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, – „თებერვალი დადგაო“, „მინც არ მოვკვლავ ტოროლას“, „ლიახვმა სთქვა, სიზმარი ვნახე“, „ქალო, ვისი ხარ ლამაზი“, „ორშაბათ დილა თენდება ავი დარები დგებაო“, „საბრალო დედლაბრისასა“, „აღზევანს წავალ მარილისათვის“, „სანყალი მელა ჩიოდა“, „დათვმა სთქვა, სიზმარი ვნახე“, „ორშაბათობით აშენდა“, „ყიყლიყო მამალო“ და სხვა.

ი. გოგებაშვილს ხალხური ტექსტიდან გამოაქვს ის, რაც მისი აზრით, „უსარგებლო შემეცნებაა“ და შეაქვს აქ ის, რასაც სარგებლობის მოტანა შეუძლია მოზარდის პრაქტიკული საქმიანობისათვის, მისი ზნეობრივი აღზრდისათვის.

„დედა ენაში“ ისეთი ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებებიც გვხვდება, რომელთაც სწავლების პროცესში თვალსაჩინოების როლი აკისრია. როგორც ცნობილია, „სწავლების უმაღლეს საშუალებად ი. გოგებაშვილს მიაჩნია თვალსაჩინოება“, ცოცხალი ჭკრეტა, რაც აბსტრაქტული, განყენებული აზროვნებისაკენ სვლის მყარი საყრდენია. გოგებაშვილი თვალსაჩინოებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

დიდი ერისკაცის დაკვირვებით და რწმენით

„თვალსაჩინოება და ბავშვის თვითმოქმედება, უპირველესი საშუალებაა სწავლა–აღზრდის მიზნის განსახორციელებლად“, ამიტომაც უცხოდ არ გვეჩვენება „დედა ენაში“ „ცხოველ–ფრინველთა“ შესახებ შემოტანილი ხალხური თხზულებების სიუხვე. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ლექსები: „მოდო, ვნახოთ ვენახი“, „კაჭკაჭი და ყვა-ვი“, „ყორანი“, „ვარდი და ბულბული“, „ირემი“, „ტოროლა“, „ლორი“, „ხარი“, „სანყალი მელა“, „მელის სიზმარი“ და სხვ. სახელმძღვანელოში თითოეულ თხზულებას გარკვეული ფუნქცია აკისრია. „დედაენაში“ ფიქსირებული თითოეული ლექსი, როგორც უკვე ითქვა, განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს: მოზარდი სულ უფრო ახლოს მიიყვანოს ლექსში წარმოსახული საგნის ბუნებასთან. საგნის თვისების გაცნობა კი სახელმძღვანელოს მიერ მარტივი ამოცანა სულაც არ არის. პირიქით, ეს არის წიგნის უდიდესი ამოცანა და მისი ავტორის უპირველესი მიზანი, რაც „დედა ენის“ მაგალითზე კლასიკურ დონეზე გადამწყვეტილი. ის ერთნაირად ეხება წიგნში წარმოდგენილი ხალხური პოეზიისა თუ პროზის თითოეულ ნიმუშს.

## რუსულან ნაქაძე

# ი. გოგებაშვილი დედაენის სიწმიდის შესახებ

დედაენა და იაკობ გოგებაშვილი ქართველის გონებაში განუყოფელი ცნებებია. ვახსენებთ იაკობ გოგებაშვილს და თვალწინ დედაენა გვეხატება. ვახსენებთ დედაენას და უმალ წარმოგვიდება გოგებაშვილის სხივმფინარე სახე.

იაკობ გოგებაშვილი იყო ზედმინევიტო განათლებული, მაღალი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მამულიშვილი, რომელმაც შექმნა ქართული ეროვნული სკოლა, ქართული კლასიკური საბავშვო მწერლობა, სათავე დაუდო ქართულ მეცნიერულ პედაგოგიკას.

იაკობ გოგებაშვილმა გონების თვალთ გაზომა დედაენის შემოქმედების ძალა პიროვნების სულიერ ჩამოყალიბებაში. დედაენა ენის ბურჯია, ეროვნების არსებითი ნიშანი. დედაენა არა მხოლოდ ურთიერთობის საშუალებაა, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრების შემოქმედი და განმსაზღვრელი. ეროვნული კულტურის საგანძური დედაენაშია დაუნჯებული. როდესაც იაკობი დედაენის როლზე მსჯელობს, მხოლოდ პედაგოგიური მიზნებით არ იფარგლება. დედაენის ბედი უკავშირდება ერის ბედს. იაკობ გოგებაშვილს სწამს, რომ ერის სულიერი ცხოვრება მშობლიურ ენაზე აღზარდა–განათლების გარეშე ვერ აღორძინდება: „განთქმული მეცნიერის კარლე ფოხტის

აზრით, თუ ხალხი თავის დედაენას ცვლის სხვა ენაზე და ამ უკანასკნელზე იღებს განათლებას, იგი ვერ აიცილებს თავიდან გონების დაჩაგრვას, დამდაბლებას და მეტ–ნაკლებობით დაჰკარგავს შემოქმედებითს ნიჭს“. მაგალითად ასახელებს დასავლეთის კუთხეს გერმანიისას, სახელდობრ, ელზასსა რომელსაც შუა საუკუნეებში, როცა იგი „შეადგენდა ნაწილს გერმანიისას და განათლების იარაღად ხმარობდა თავის დედაენას, მსოფლიო ასპარეზზე გამოჰყავდა განთქმული მოღვაწენი, მაგრამ მას უკან, რაც ელზასი ნაართვა საფრანგეთმა გერმანიას, შეიერთა და იქ გაამეფა თავისი ფრანგული ენა, ველარც ერთი მსოფლიო ნიჭის პატრონი ველარ აჩუქა ელზასმა კაცობრიობასო“. (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2. გვ. 213).

გოგებაშვილი იყო არა მხოლოდ ქართული ენის სწავლების საკითხთა, არამედ ქართული ენის ბუნება–აგებულების სერიოზული მკვლევარი. იგი დედაენას იკვლევდა ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით.

დედაენა ერის მეობის ნიშანია. იგი უაღრესად რთული ეროვნული და სოციალური ფენომენია. იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის ბუნება–აგებულების ღრმა მცოდნე იყო. ხალხის კალთაში აღზრდილს, კარგად ჰქონდა შესისხლხორცებული



ქართული ენის ბუნებრივი ფორმები და ცდილობდა, სადაც ეწერა, ქართველ ხალხში დაენერგა ხალხური ენის ფორმები, მართებული მეტყველებისა და წერის სტილი.

„ვისაც კი მეტ-ნაკლებობით შესწავლილი აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი სიმდიდრე, აზრსა და გრძნობაზე ზედგამოჭრილობა და კაფიობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულების ენათა დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავისი ფორმები და დაამყარა თავის ორგანულ ნაწილებს შორის სრული ჰარმონია ძველთაგანვე, მეთორმეტე საუკუნეში. ჰკითხეთ ლინგვისტებს – ენისმეტყველთა – რაში მდგომარეობს ღირსება ენისა და ისინი დაგისახელებენ სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკული სქემების არ ქონვას, თანდებულთა სიტყვას ბოლოში მოქცევას, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებლის დამორჩილებას განსაზღვრულს კანონზე, მრავალფეროვნებას და მოქნილობას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას, რომელმა განვითარებულმა ქართველმა არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა, რომელიც ამ ღირსებათა წყალობით ყველა ცოტაოდნად განსხვავებულს შემეცნებას, მდგომარეობას, მოქმედებას და ვითარებას განახორციელებს განსაკუთრებითი ზედგამოჭრილ ფორმათა, საადვილო გამოხატულებათა...“ (ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 2, გვ. 205).

„ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალრიცხოვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკული და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევითგან ძირს დასცქერიან: ბრონეულს, ლედვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულ მცენარეულობას. ქართული ენა ისევე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია. წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმასა და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც კი ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის“. „ლინგვისტი, რომელიც ზედმინევენით შეისწავლიდა ქართულ ენას, იტყოდა თითქმის იმასვე, რაც თქვა გამოჩენილმა სწავლულმა უსლარმა ქართულ ანბანზედ, რომელიც მან აღიარა თითქმის უსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის.“

„ქართული ენა... შეადგენს ფრიად თავისებურ ლინგვისტურ მოვლენას და არავითარი კავშირი და მსგავსება არა აქვს ძველ კლასიკურ ენებთან“... „ქართული ენა ისეთ განსაკუთრებულ

მოვლენას წარმოადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში ისე ნაკლებად ჰგავს ევროპულ ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან, აღიარონ იგი განცალკევებულ თავისებურ ენად და არ მისცენ ადგილი არც თურანულ და არც ინდოევროპულ ენათა შორის“.

„რამდენადაც ხალხი დაბლა დგას აზრებით და განვითარებით, იმდენად უფრო ლატაკია სიტყვებით, ფრაზებით, საოცრად პატარა ლექსიკონი აქვს“. (პასუხად „კვალის რაზმს, „ივერია“, № 213, 1884).

„ქართული ენა გაზიარდა და ენის ცვლილებაში მისდევს თავის ბუნებრივ ალღოს“, – იაკობ გოგებაშვილი, ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე, ქართული ენის ღრმა მეცნიერულ ცოდნას ამჟღავნებდა, რასაც ადასტურებს მეცნიერულ-პოლემიკური წერილები ქართული გრამატიკის საკითხებზე, რომლებიც გამოქვეყნდა „ივერიის“ 1886 წლის ნომრებში „საგრამატიკო ბაასის“ სახით, ამ წერილებით ნათლად ჩანს გოგებაშვილის შეხედულებები ქართული ენის ბუნება-აგებულების შესახებ. ი. გოგებაშვილის აზრით, „უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვა-კაზმული პროზა, ერთი სიტყვით, ლიტერატურა. ლიტერატურა არის ერთ-ერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის... გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარებელი ღონისძიება, რომელიც სარჩულად დაედო პრაქტიკულ ცოდნასა, მაგრამ გრამატიკამ რომ ეს სამსახური გაგვინიოს, იგი უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისას“ (ი. გოგებაშვილი, რჩ. პეგ. და პუბლ. ნან. ტ. 1, 1910. გვ. 160).

გოგებაშვილს საყურადღებო აზრები ქვს გამოთქმული ენის ზრდისა და განვითარების საკითხებზედაც: „ენის მეცნიერებას დიდი ხანია გამოკვლეული აქვს, რომ ყოველი ენა თავდაპირველად ძლიერ ღარიბია ლექსიკონით და ფორმებით, ერთსა და იმავე სიტყვით იგი აღნიშნავს რამდენსამე საგანსა, შემეცნებასა, რის გამო ორაზროვნება, სამ-აზროვნება, და მრავალ-აზროვნება სიტყვებისა ახდენს აზრების არე-დარევას და ხუთავს გონების განვითარებასა“... „ენა, სალი ხესავითაა, ფურჩქენის ახალ სიტყვებსა და ფრაზებსა, ვითარდება, მდიდრდება და ბოლოს იმ სიმადლემდე ადის, რომ ყოველთვის შემეცნებისათვის ჰქმნის საკუთარს შესაბამის სიტყვასა.“

ი. გოგებაშვილმა თავისი მაღალი პედაგოგიური და ენათმეცნიერული ცოდნა ფართოდ გამოიყენა ქართული წერა-კითხვის, ტექსტის ენობრივი ანალიზის, გრამატიკის, მართლწერის, სტილისტიკის, ქართული ენის სამეცნიერო მეთოდის შესაქმნელად.



# „დედა ენა“: პირველი გამოცემა, პირველი კრიტიკოსები

## წერილი 1



იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია „დედა ენას“. ამ წიგნმა თავისი შინაარსითა და დანიშნულებით დიდი როლი შეასრულა ქართველი მოზარდი თაობის აღზრდის, განათლებისა და პატრიოტული სულისკვეთებით ჩამოყალიბების საქმეში. „დედა ენის“ პირველ გამოცემამდე (1876), ი. გოგებაშვილს გამოცემული ჰქონდა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865), და „ბუნების კარი“ (1868). „დედა ენის“ გამოცემის იდეა იაკობს გაუჩნდა ჯერ კიდევ 1874 წელს, როდესაც იგი თითქმის 8 თვის მანძილზე იმყოფებოდა სოხუმში სამკურნალოდ. აქვე დაიწყო წიგნისათვის მასალების შეგროვება. ამის თაობაზე იგი ს. მესხს სწერდა: „სახელმძღვანელოსათვის მე ლექსები სრულად არ მაქვს, ზოგს ჩვენი პოეტები მითარგმნიან, მაგრამ მაინც საკმარისი არ იქნება მათი ნაშრომი“ (1,326). წერილის ავტორი სთხოვს ს. მესხს9 ამოარჩიოს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭ-

დილი საბავშვო ლექსები და გაუგზავნოს მას. იმავე, 1874 წელს სოხუმიდან ი. გოგებაშვილი მიემგზავრება თავის სოფელ ვარიანში და აგრძელებს მასალების შეგროვებას „დედა ენის“ პირველი გამოცემისათვის. ამ სოფელში მოპოვებული მასალები, ხალხური ლექსები და ზღაპრები პირველივე გამოცემაში დაბეჭდა და შემდეგ, სხვადასხვა სახეცვლილებით, დიდხანს შერჩა „დედა ენას“.

1876 წელს, როდესაც ი. გოგებაშვილმა დაამთავრა „დედა ენის“ პირველ გამოცემაზე მუშაობა, განსახილველად წარუდგინა ლიტერატორთა და პედაგოგთა კომისიას, რომლის თავმჯდომარე იყო კირილე ლორთქიფანიძე. აღნიშნულმა კომისიამ მოიწონა სახელმძღვანელო სახალხო სკოლებისათვის. წიგნი წარდგენილი იქნა სტ. ზარაფიშვილის პრემიაზე. „დედა ენის“ გამოსაცემი ფული 600 მანეთი სტ. ზარაფიშვილმა, სწორედ მანვე ავტორს პრემიის სახით გადასცა 200 მანეთი (2,3), სახელმძღვანელოს მთავრობაში წარდგენამდე გაზეთ „Kavkaz“-ში (3, 59–60) გიორგი იოსელიანმა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, დაბეჭდა სადაც სახელმძღვანელოს რეკომენდაციას უწევდა სახალხო სკოლებში სახმარებლად. ასეთი დადებითი რეცენზიების შემდეგ, 1876 წლის ივნისში დაიბეჭდა „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“. წიგნი დაიბეჭდა სტ. მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ, იმავე 1876 წლის ოქტომბერში ი. გოგებაშვილი თხოვნით მიმართავს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს „დედა ენის“ დაწყებით კლასებში სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ. თხოვნაში ი. გოგებაშვილი ასაბუთებდა წიგნის დადებით მხარეებს და ამასთანავე პირობას სდებდა, რომ თუ წიგნში რაიმე ცვლილებების შეტანა იქნებოდა პედაგოგიური თვალსაზრისით, იგი მას უთუოდ გაითვალისწინებდა (4,38). ეს თხოვნა განიხილა კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭომ იმავე წლის დეკემბერში და გიორგი იოსელიანის დადებითი რეცენზიის საფუძველზე მოიწონა „დედა ენა“, როგორც სავალდებულო სახელმ-



ძღვანელო ქართულ ენაში დანყებითი სკოლებისათვის.

„დედა ენის“ პირველ გამოცემაში საკითხავი მასალა შერჩეული იყო როგორც საგანმანათლებლო, ისე სააღმზრდელო პრინციპების მიხედვით. მასალა შეხამებული იყო ბავშვისათვის ცნობილ გარემოსთან. მასალა საინტერესოა როგორც შინაარსით, ისე იდეურად და მხატვრულად. ი. გოგებაშვილმა ამ წიგნში გააუმჯობესა ანალიზურ-სინთეზური მეთოდი და ქართული ენის სწავლება დანყებით სკოლებში მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა. სწავლების საშუალებათა შორის უპირატესობა ენიჭება თვალსაჩინოებასა და თანმიმდევრობას. ყველა მეთოდისათვის საერთოა ცოცხალი სიტყვა, როგორც ენისა და, საერთოდ, მასალის დასწავლის უნივერსალური საშუალება. პირველ გამოცემას ი. გოგებაშვილმა დაურთო ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც ჩამოაყალიბა „დედა ენის“ შედგენის პრინციპები, სწავლების მეთოდები, წიგნის სტრუქტურა. „დედა ენის“ პირველი თერთმეტი გვერდი დათმობილი აქვს ქართულ ანბანს. თითოეულ ასოს ბავშვი ეცნობა შესაბამისი ნახატი, სურათით. ამის შემდეგ მოსწავლე ეცნობა პირველ საკითხავ მასალას, რომელიც იხსნება სიმღერით „ია, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი“. ამის შემდეგ წიგნში წარმოდგენილია ანდაზები, სასაუბროები, ხალხური ლექსები, გამოცანები, პატარ-პატარა მოთხრობები, იგავ-არაკები, სავარჯიშოები და სხვა სახის ტექსტები, რომლებიც ერთიმეორეს ენაცვლება სიძნელეთა მიხედვით. ზღაპრების დიდი ნაწილი ამოკრეფილია სულხან-საბა იოსელიანის კრებულიდან „წიგნი სიბრძნე სიცრუვისა“. (გამოიცა პეტერბურგში 1859 წელს), ი, კრილოვის ზღაპრების წიგნიდან „არაკნი კრილოვისა“, რომელიც პირველად წიგნის სახით გამოიცა 1876 წელს. ეზოპეს იგავ-არაკები ასევე შეტანილია ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან; წიგნის სახით ეზოპეს ზღაპრები ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა 1897 წელს. „დედა ენაში“ შეტანილი ხალხური ლექსების დიდი ნაწილი ამოღებულია პ. უმიკაშვილის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი კრებულიდან, როგორც თვითონ ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, თუმცა პ. უმიკაშვილს ლექსებისა და სახალხო სიმღერების კრებული ადრევე (1874 წ.) იყო გამოცემული, ქართველი პოეტებიდან „დედა ენის“ პირველ გამოცემაში წარმოდგენილია დ. გურამიშვილის, ი. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, დ. დადიანის, გ. ჭალადიდელის და რ. ფავლენიშ-

ვილის თითო-თითო ლექსის სახით., გაურკვეველია, რატომ არ შევიდა პირველ გამოცემაში ა. წერეთლის საბავშვო ლექსები, რომლებიც დრო და დრო იბეჭდებოდა „დროებაში“ 1875 წლიდან, აკაკის ზოგი ლექსი „დედა ენის“ პირველ გამოცემამდე ქვეყნდებოდა „საყმაწვილო ზღაპრებისა“ და „ცხელ-ცხელი ამბების“ განყოფილებებში. ცხადია, ი. გოგებაშვილს ხელთ არ ჰქონდა ა. წერეთლის საბავშვო ლექსები., იაკობი პოეტის შემოქმედებით უფრო გვიან დაინტერესდა და სისტემატურად თანამშრომლობდა მასთან „დედა ენის“ შემდგომ გამოცემებში. „დედა ენაში“ წარმოდგენილი ლექსების დიდი ნაწილი ხალხურია, ან შედგენილია თვითონ იაკობის მიერ. წიგნის ძირითად ნაწილს შეადგენს ანდაზები, სასაუბროები, გამოცანები, „ჩქარაგამოსათქმელი“ და სხვ. სახის მასალები; ყველა ეს მასალა სისტემატიზებულია ოცდაოთხ რიგში (განყოფილებაში). ყოველ განყოფილებას ბოლოში დართული აქვს ანდაზები, გამოცანები, საწერი და ჩქარაგამოსათქმელი მასალები. წიგნის 24 რიგს უკავია 160 გვერდი, მომდევნო რიგში წარმოდგენილია „საღმრთო ნაწილი“, ამ ნაწილში თავიდან გადმოცემულია იესო ქრისტეს ცხოვრება პატარ-პატარა სურათების სახით. პირველი წლის მოსწავლეთათვის აქ წარმოდგენილია ორი ლოცვა „უფალო შეგვიწყალებ“ და „მოგვმადლებ უფალო“. ავტორის აზრით, ყოველდღე სათქმელი ლოცვები, მათი შინაარსის გაგება და ზეპირად დასწავლა შესაძლებელია მეორე წლიდან, ვინაიდან, როგორც ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, „ისე არაფერი ამახინჯებს კაცის გულში რელიგიურ გრძნობას, როგორც უაზროდ, გაუგებრად, თუთიყუშივით გაზეპირებული ლექსებმა“ .... „დედა ენაში“ საღმრთო სჯულის ნაწილის შესახებ ი. გოგებაშვილი მოგვიანებით წერდა: „საღმრთო სჯულის სწავლებას სახალხო სკოლებში უპირველესი მნიშვნელობა აქვს, იგი უნერგავს გულში მოსწავლეთ სარწმუნოებას, განუმტკიცებს და განუმმენდს ზნეობას და ამასთან უხსნის ხელოვნების გემოსა და ნიჭს“ (5,1). პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს წიგნის ნაკლოვან მხარეებზე, ცდილობს ახსნას მათი გამომწვევი მიზეზები. სურათები, მისი აზრით, უმეტეს წილად, მდარენი არიან, რადგან თბილისში ისინი უკეთესად ვერ ამოჭრეს და უცხო ქვეყნებიდან მათი შეკვეთა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ზოგიერთი სტატია (მასალა) საშუალო მოცულობით



საა, ეს იმიტომ, რომ მასალები ნაკლებად იყო წარმოდგენილი. მასალის სიმცირე იმითაც იყო განპირობებული, რომ წიგნი არ უნდა გამოსულიყო დიდი მოცულობისა. ზოგიერთ მასალას

თხმად აღიარებენ საბავშვო წიგნის, სახელმძღვანელოს შედგენის სიძნელეს: „მთელ პედაგოგიკაში მაშინაც კი როდესაც ხალხური ლიტერატურა მოიცავს მზამზარეულ მასალას ამ წიგნისათვის რამდენად მომეტებული უნდა იყოს ეს სიძნელე იქ, სადაც ამგვარი მასალის დამზადებით თავი არავის შეუწუხებია და სადაც კაცმა თითქმის არაფრიდგან უნდა დაბადოს წიგნი“ \*(6,6).

ცხადია, იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც თითქმის 3 წეოზე მეტი მოანდომა „დედა ენის“ შედგენას, თვითონ ნათლად ხედავდა წიგნის ნაკლოვან მხარეებს; ეს ხომ პირველი ცდა იყო ქართულ ენაზე ასეთი სახელმძღვანელოს შედგენისა. წიგნის შინაარსმა, მისმა სტრუქტურამ, შერჩეული მასალების შინაარსმა და მისმა შესაბამისობამ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა გონებრივ შესაძლებლობებთან განაპირობა „დედა ენის“ პირველი წარმატება. წიგნი წლიდან წლამდე იხვეწებოდა, მდიდრდებოდა როგორც შინაარსის, ასევე სტრუქტურის თვალსაზრისით, რამაც საფუძველშივე განაპირობა მისი მდგრადობა და სიმყარე ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

#### ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი. თხზულებანი: ტ. 9. – თბ., 1962. – 510 გვ.
2. გაზ. „დროება“, 1876, № 50.
3. გოგებაშვილი ი. თხზულებანი: ტ. 3. – თბ., 1991. – 509 გვ.
4. იოვიძე ა. იაკობ გოგებაშვილი: დოკუმენტური მასალები. – თბ., 1951. – 244 გვ.
5. გაზ. „ივერია“, 1892, № 23.
6. გოგებაშვილი ი. „დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლისათვის“. – თბ., 1876, – 176 გვ.

# დედა ენა

ანბანი და საკითხავი წიგნი

შეკვნილი  
იაკობ გოგებაშვილის მიერ



ნაკლებად აქვს კავშირი სასაუბროსთან, ამიტომ ზოგიერთი რიგი (განყოფილება) წიგნისა, არ შეადგენს ერთ ორგანულ განყოფილებას, მასალის მოცულობისა და შინაარსის შესახებ მსჯელობისას ავტორს მხედველობაში აქვს წიგნის დანიშნულება, ბავშვის გონება, მისი ხასიათი და ინტელექტუალური შესაძლებლობები. ასეთი ნაკლოვანებები, ი. გოგებაშვილის აზრით, არ უნდა იქცეს საყვედურის საგნად, ამას მეტად საგანგებოდ მიიჩნევს იაკობი და აცხადებს, რომ გამოჩენილი პედაგოგები ერ-



რუსუდან კაშია,

ცაბური ფორჩხიძე

ქუთაისის სამეცნ. ბიბლიოთეკის თანამშრომელი

## ღირსეული თანამოაზრანი

გამორჩეულ პიროვნებებს, ერისკაცებს მეგობრობაც და ურთიერთპატივისცემაც გამორჩეული ახასიათებთ.

ჭეშმარიტ მამულიშვილებს შეფასების უსაზღვრო ნიჭი აქვთ, თანამოაზრის აღიარების უზადლო ნიჭი.

აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის მეგობრული ურთიერთობა არაერთხელ გამხდარა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. მათ ურთიერთობას მიეძღვნა რამდენიმე საინტერესო საგაზეთო წერილი.

ურთიერთპატივისცემას, მეგობრულ თანადგომას მყარი საფუძველი გააჩნდა: ერთიანი ეროვნული პოზიცია, ერთნაირი მსოფლმხედველობა, სამშობლო ქვეყნის უანგარო სამსახური; ერთობლივი მოღვაწეობა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებსა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ღირსეულ მამულიშვილთა შემოქმედებითი საქმიანობა და ურთიერთობა 70-იანი წლებიდან „დროებასა“ და „ივერიაში“ თანამშრომლობიდან დაიწყო. თანამშრომლობა გაღრმავდა „დედა ენა“-ზე მუშაობის დროს.

აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა იაკობის პედაგოგიურ ნიჭს. იაკობს ჰქონდა სრული უფლება, რედაქტირებისას შეესწორებინა ან ცვლილებები შეეტანა აკაკის მოთხრობებსა და ლექსებში, რომელსაც აქვეყნებდა „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“.

დიდი პოეტისა და დიდი პედაგოგის ღრმა ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული მეგობრობა თანდათან უფრო ღრმავდებოდა.

იაკობმა აკაკის „ქართული პოეზიის იალბუზი“ და „მთის ანკარა წყარო“ უწოდა და განაცხადა: „ღრმად ჩავაკვირდი აკაკის ქმნილებათა შინაარსს, შეუდარებელ ფორმას და აღტაცებაში მოგვიყვანა მისმა საოცარმა კაზმულობამ, მისთა აზრთა და გრძნობათა სიღრმემ“. დიდი მოღვაწე აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ჭეშმარიტ თანამოაზრეს ხედავდა: „აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოსას, არამედ მთელს საქართველოს, აკაკი პატარა საქართველოა, თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენთა სანუგეშოდ პატარა საქართველონი სხვანიც გვყავს: რუსთაველი, ილია, ნ.

ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“ (თხზ. ტ. 4, 1953, გვ. 226).

ჟურნალ „განთიადში“ 1911 წ. გამოქვეყნებულ წერილში „პატარა საიდუმლოებანი“ გოგებაშვილი აღნიშნავს: „ზნეობრივმა სიტკბობებამ ბევრად მეტი აცოცხლა და გააკეთებინა, ვიდრე იგი იცოცხლებდა და გააკეთებდა, თუნდაც რომ იგი სავსე ყოფილიყო ჩინ-მედლებით, პენსიით და ოქროთი“.

ცნობილია, რომ აკაკი დიდად აფასებდა იაკობს, როგორც დიდ მოაზროვნესა და პედაგოგს.

1896 წ. ხარკოვიდან გაგზავნილ წერილში აკაკი იაკობს მიმართავს: „წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მყოფადობის გადიაგ, გილოცავ დღესასწაულს და ახალ წელს გილოცავ, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ახალი წელი, ჩვენ რომ გვინდა, მისთანა დაგვედგომოდეს. სხვათა შორის, „მოამბის“ № 11 გადავიკითხე და ძალიან მომეწონა, სწორედ კარგი ნომერია, მაგრამ გვირგვინი კი ყველა სტატიების „ნაცნობის“ სტატიაა [„ნაცნობი“ – ი. გოგებაშვილის ფსევდონიმი] მე შენი სტატია მგონია და მართალია თუ არა? მაგრამ, რომ შენი არ გამოდგეს, უფრო მოხარული ვიქნები. მაშინ ერთის მაგიერ ორი იაკობი გვეყოლება“.

1896 წ. იაკობ გოგებაშვილის წინადადებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრებად აირჩიეს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. თვითონ იაკობი 1890 წლიდან იყო საზოგადოების საპატიო წევრი.

XIX ს. 90-იანი წლებში აკაკისა და იაკობს შორის გაიმართა პოლემიკა ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე. პოლემიკა აკადემიურ სტილში მიმდინარეობდა, იაკობი წერდა: „აკაკი წერეთელსა და ჩემს შორის დაწყებული ხანგრძლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცა“.

დისკუსიის წარმართვა ასეთი ფორმით უდავოდ სამაგალითოა, მხოლოდ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, დიდი პიროვნული ღირსებების მქონე მოღვაწეებს შეუძლიათ შემოქმედებითი





კამათი პიროვნულ დაპირისპირებაში არ გადაზარდონ.

გაზეთ „ივერია“-ში დაბეჭდილი წერილით აკაკიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ წყვეტს კამათს იაკობთან, რადგან იგი მიაჩნია ენის საკითხებში ყველას მასწავლებლად.

XIX ს-ის 80-იან წლებში განსაკუთრებით გამწვავდა ზენოლა იმპერიის მხრიდან, იმპერიული კონცეფცია ემყარებოდა „ჩაგრული ერებისადმი“ დახმარების იდეას. ცალკე ენებზე გამოცხადდა მეგრული, ლაზური და სვანური.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ, დონდუკოვ-კორსაკოვმა და სხვებმა „პირველყოვლისა, ეროვნულ ენასა და კულტურას შეუტყვის. იანოვსკიმ 1881 წ. სკოლებს დაუგზავნა ცირკულარი, რომლითაც ქართული ენა ცხადდებოდა არასავალდებულოდ, ხოლო სამეგრელოს, აჭარის, სვანეთის სკოლებში სწავლა შემოეღოთ მეგრულ და სვანურ ენებზე.

თერგდალეულმა მოღვაწეებმა ხმა აღიმალეს იმპერიის შემოტევის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა. იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა საგაზეთო პუბლიკაციებით საკადრისი პასუხი გასცეს იანოვსკისა და მისთანებს.

1881 წ. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილით „ტყუილს მოკლე ფეხი ასხია“ იაკობ გოგებაშვილი სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში ქართული სწავლების გაუქმებას თვლიდა დიდი ეროვნული საფრთხის მომასწავებელ ბოროტებად და მას ადარებდა სამცხე-საათაბაგოს ისტორიულ ბედს, რამდენადაც მშობლიური ენის უარყოფა ეროვნული ნიადაგისაგან, ქართული ცნობიერებისაგან მოწყვეტის ტოლფასი იყო („დროება“, 1881, № 50, 57).

ანალოგიური მონოდება გამოაქვეყნეს თერგდალეულებმა აფხაზეთის სკოლების შესახებაც. ისინი მოუწოდებდნენ აფხაზებს, არ აპყოლოდნენ იმპერიულ პროვოკაციებს.

1910 წ. გოგებაშვილმა გამოსცა თავისი რჩეული თხზულებების ერთტომეული და 1 ეგზემპლარი საჩხერეში გაუგზავნა აკაკის. თან მისწერა: „უნდა მოგახსენოთ, რომ წიგნში არ შეიძლება მოინახოს ერთი სიტყვა, ერთი ფრაზა, რომელიც ნათქვამი იყოს სახელის გული-

სათვის, ყოველ შემთხვევაში მე მხედველობაში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი. ეს შენ კარგად იცი და მინდა, რომ სხვებმა შეიგნონ“ (თხზ, ტ. 9, 1962, გვ. 346).

იაკობის წერილს აკაკიმ გულწრფელი აღტაცებით უპასუხა: „ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებს. აი, ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლილმა წიგნმა გულს გადამყარეს მონოლილი სევდა... გადავიკითხე, გადავავალიერე, მუშტრის თვალთა ავწონ-დავწონე და შიგ ქვეშარიტების და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეული იყოს არა მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი...“

აკაკი წერეთლის მწირი ეკონომიკური მდგომარეობა მისი ახლობლებისათვის ცნობილი იყო.

1898 წ. რუსეთიდან დაბრუნებულ მეგობარს იაკობი წერდა: „ძვირფასო აკაკი, გილოცავ მშვიდობით დაბრუნებას. ჯიბეცარიელობა შენი ამჟამად ნამდვილი ფაქტი უნდა იყოს, ამიტომ გადავწყვიტე ხვალ დილით მოგართვა ხუთი თუმანი“.

იმავე წელს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, სხვიტორში მყოფი მგოსანი იაკობს შეეხმინა. აკაკის სულიერი მდგომარეობის შესახებ თავად წერილი მეტყველებს: „ძვირფასო ძმაო, ბატონო იაკობ, მეტად ცუდ გუნებაზედა ვარ. ამიტომაც მინდა გამოგელაპარაკო, რასაკვირველია იტყვი: ამ სიმორეს რომ ეპოტინები, უფრო ახლოს არ არიან სხვები, რომ იმათ გაუზიაროს თავისი ნაღველი? ბევრნი არიან ჩვენში „საქართველოს მთიები“, მაგრამ მათი სხივი არც თვალსა და არც გულს ჩემსას არ ჰხვდება, ჩემს ნაღველს ისინი ვერ გაიგებენ... სული-ბოროტი შავი ყორანივით ჩამჩხავის ყურში... სადღაა საქართველო და ქართველობა?.. ერთადერთი საიმედო, დღემდი შენი სახელმძღვანელოები იყო, შენ, როგორც იმედდაუკარგავ კაცს, კიდევ ბევრი გეშრომოს და გებრძოლოს, ვინ იცის, ეგებ მართლაც რამე გამოვიდეს, ნათქვამია: „სასწაული მორწმუნეთათვისო“.

აკაკის ნიჭის ქვეშარიტი დამფასებელი იაკობ გოგებაშვილი „ივერიას“, „ცნობის ფურცელსა“ და ჟურნალ „მწყემსში“ 1904 წ. ერთდროულად აქვეყნებს სტატიებს სათაურით: „ნაციონალური საჩუქარი“. პოეტის ავადმყოფობასთან დაკავში-





რებით, იაკობი თხოვს საზოგადოებას მისთვის ფულადი დახმარების განწევას, თვითონ ამ საქმისათვის გაიღო 100 თუმანი. იაკობი შემდეგშიც სისტემატურად ეხმარებოდა დიდ პოეტს.

აკაკი მუდამ მზად იყო შესაფერისად ეპასუხა ამ პატივისცემისათვის, 1891 წ. პეტერბურგში მყოფი აკაკი მადლობით სავსე წერილს უგზავნის იაკობს: „არის ხოლმე მისთანა გარემოებაც, როცა ადამიანი მადლობასაც ვეღარ ახერხებს, შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონათ მივითვალე“ (თხზ. ტ. X, გვ. 112).

მძიმედ დაავადებული, თავისი ნაწერების გამოცემას ერთგულ მეგობარს – იაკობს ანდობდა.

აკაკის ავადმყოფობით შეწუხებული იაკობ გოგებაშვილი 1909 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეს – გ. ყაზბეგს მიმართავდა: „ფრიად საჭიროა, რომ აკაკის ფონდის და პენსიის შესახებ ერთი სხდომა კიდევ მოვახდინოთ., ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ, ასევე ფიქრობენ სხვა საიუბილეო კო-

მიტეტის წევრებიც“.

დიდ მოღვაწეთა ამქვეყნიური მეგობრობა იაკობის გარდაცვალებით შეწყდა. აკაკი უკანასკნელი სიტყვით გამოეთხოვა დიდ პედაგოგსა და მეგობარს: „ძმაო იაკობ, უკანასკნელად დაგყურებ ორკეცად მგლოვიარე. გიგლოვ, როგორც პირად მეგობარს და უფრო მეტად კიდევ, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი მეგობრობის კავშირი, შენი სიკვდილით განწყვეტილი, ხანგრძლივი არ იქნება... შენმა დაკარგვამ, როგორც საზოგადო მოღვაწისამ კი სამარადისო დალი დაასვა გულზე ყოველ შეგნებულ ქართველს. შენზე აღსრულდა საღმრთო წერილის სიტყვა: „სიკვდილი მართალთა განასვენებს“. შენ წარსდგები პირნათლად ჩვენს სახელოვან წინაპართა წინაშე“.

აკაკისა და იაკობის ურთიერთობა მაგალითია მომავალი თაობებისათვის, როგორც ჭეშმარიტ თანამოაზრეთა უტყუარი მეგობრობისა.


## ამაჟუკა შიშინაშვილი

### აკაკის ძვირფასი საჩუქარი

აკ. წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს დაიწყო. მგოსანი ქ. ქუთაისიდან ლეჩხუმში, შემდეგ კი გზა რაჭაში განაგრძო. დაბა ჭრებალოში მრავალრიცხოვანი ხალხი დახვდა მგოსანს, ღირსეულ მამულიშვილთა შორის იმყოფებოდნენ სოფელ მეორე ტოლის წარმომადგენლებიც: თავადი დიმიტრი ყიფიანი, ამირან ლომთაძე და ჩემი ბაბუა არტემ შიშინაშვილი – მაშინ 20 წლის ვაჟკაცი. ის ყველა შესაძლებელს აკეთებდა, რომ მგოსანს ღირსეულად დახვედროდა, მოხდენილი ვაჟკაცისათვის მგოსანს ყურადღება თავიდანვე მიუპყრია, არტემ შიშინაშვილმა აკაკის ლექსი მიუძღვნა და რაჭაზე ბევრი რამ საინტერესო უამბო. მან მგოსანს საჩუქრად ხისგან დამზადებული დახატული ხონჩები გადასცა, საუბრის დასასრულს „გამზრდელი“



არტემ შიშინაშვილი



აკაკის ჯვონი

– მთელი პოემა ისე მგზნებარედ წარმოუთქვამს, რომ აღტაცებულმა პოეტმა საკუთარი ხელ-ჯოხი აჩუქა და თან დააყოლა: „ასე ტკბილად დამიბერდიო“. მგოსანი სოფელ II ტოლაში მიიწვიეს, სადაც მას უამრავი ხალხი დახვდა. აკაკის ყიფიანის ღვინო (ხვანჭყარა) მიართვეს. პოეტმა ყველა რაჭველი და მამულიშვილი დალოცა. რაც შეეხება იმ ნაჩუქარ ნივთებს, რომელიც ჩემმა ბაბუამ არტემ შიშინაშვილმა გადასცა მგოსანს, ამჟამად სხვიტორში აკ. წერეთლის სახლ-მუზეუმში ინახება, ხოლო ხელ-ჯოხი კი ჩემს ოჯახში არის – კარგად შეინახული და მოვლილი; ხელ-ჯოხი ბზისაა, მარჯვედ მოსახმარია, სახელურზე აქვს ვერცხლის ნატიფად გამოსახული დათვი და ხოჭო. თუ რას ნიშნავს და რა დანიშნულება აქვს ამ გამოსახულებას, რისკენ მიგვანიშნებს ის, ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია. ვიმედოვნებ, ალბათ მოხერხდება ამ საიდუმლოს ამოკითხვა.




ალექსანრე ლორია

## მიმე სოვრეხისაული ხვედრი და შემოქმედებითი ასპარეზი ჭოლა ლომთათიძე (1879-1915)

თუ მკითხველი თვალსაჩინო მწერლის ჭოლა ლომთათიძის ცხოვრებისეულ გზას გაადევნებს თვალს, უეჭველად სულით ხორცამდე შესძრავს ამ ადამიანის ბედი. უმძიმესი ხვედრი ბავშვობიდანვე ხვდა წილად. დაძმების დაკარგვა, დედის გარდაცვალება, სწავლისათვის საჭირო უსახსრობა და ვინ იცის, კიდევ რა, რამაც მნიშვნელოვანი დაღო დაასო მის სულიერ სამყაროს. მის თავს დატეხილი უკუღმართობა არაერთ ადამიანს საბოლოოდ გატეხდა სულიერად, მაგრამ ის არ გატეხილა, არ დაცემულა, მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და მუდამ შემოქმედებითი ალით იწვოდა. სიყმანვილეშივე იყო გატაცებული მხატვრული ლიტერატურით, რწმენით, რომ მას ამ ასპარეზზე უნდა ეღვანა.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებითი საწყისი XX საუკუნის დადგომას დაემთხვა. 1901 წელს გამოქვეყნდა მისი მოთხრობები „დავითი“ და „ცხოვრების გულიდან“, 1902 წელს – „მატლი“, „დასაფლავება“, „ზღვა“, 1903 წელს „სიცრუე“ და სხვა. თითქოს ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას უქადდა ცხოვრება, მაგრამ რევოლუციურმა მოძრაობამ, რომელშიც ის მოუბრუნებლად იყო ჩართული, ამ ასპარეზს ჩამოაშორა და მისი მოღვაწეობა სხვა მიმართულებით წარმართა. გახდა პროფესიონალი რევოლუციონერი, რომელიც შეუდრეკელად ემსახურებოდა აღძრულ სახალხო მოძრაობას, ცხოვრების უმძიმესი პირობები და მძაფრი კლასობრივი დაპირისპირება გახდა საფუძველი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დაკავშირებოდა, ჭოლა ლომთათიძე არის პირველი მარქსისტი მწერალი საქართველოში.

1907 წლიდან მის ცხოვრებაში სრულიად ახალი და უმძიმესი ხანა იწყება. თავისი რევოლუციონური შეუდრეკელობით ის ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში გამოირჩეოდა, ვერცერთ სასწავლებელში ვერ მოიკიდა ფეხი ამის გამო. მიჩნეული იყო ხელისუფლებისათვის არასაიმედო პიროვნებად, რაც იმით დასრულდა, რომ ამ წელს დაპატიმრეს და მთელი 7 წლის განმავლობაში ციხის ბინადარი იყო უმძიმეს პირობებში. საერთოდ, ასეთად მიიჩნევენ მას იქ,



სადაც შრომა უხდებოდა, სხვათაშორის, ერთ ხანს ხიდისთავის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. აქ დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ რა ხანიც დაჰყო, ძალიან ნაყოფიერი გამოდგა მისთვის. ემსახურებოდა რა სოფლის მოსახლეობას, აქტიურად ეწეოდა თვითგანათლებას, კითხულობდა წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს. შემდეგში იძულებული გახდა ამკინძველად ემუშავა გამომცემლობაში. ყველგან თვალნათლივ ხედავდა ხალხის სიდუხჭირეს, უმწეობას, ჩაგვრას, ბურჟუაზიის უსულგულობას, მთავრობის მოხელეთა ბოროტებას, რაც ერთი-ორად აძლიერებდა მის რევოლუციურ შემართებას, დაპატიმრება არ იყო მისთვის უცხო, მაგრამ ბოლო ტუსალობა საბედისწერო გამოდგა. მშობლიური ქვეყნიდან მოცილებული, უდიდეს სულიერ ტკივილს განიცდიდა, რაც მკვეთრად არის გამოხატული მის ნაწარმოებებში, რომელსაც ის



ამ პერიოდში ქმნიდა.

მძიმე სენით – ჭლექით დაავადებული ახალგაზრდა მთელ თავის ენერგიას სამწერლო საქმიანობას ახმარდა. ეს იყო მისი მონოდება, მისი თავდავინყება, მწარე სინამდვილის დავინყების საშუალება, ამ პერიოდში შექმნა მან თავისი ცნობილი ნაწარმოებები: „სახრჩობელას წინაშე“ (1907), „საბყრობილემი“ (1908), „უბის წიგნაკიდან“, „დუმილი“, „მოლალატი“ (1910), „თეთრი ღამე“ (1911), „უბედური“ (1912) და სხვ.

მისი მხატვრული მეთოდი კრიტიკული რეალიზმის საფუძველზე იყო აღმოცენებული, თუმცა რევოლუციური რომანტიზმით ბევრი მისი ნაწარმოებია გაჯერებული, იგი აშუქებდა პატრიოტულ სულისკვეთებას, გამოირჩეოდა ფსიქოლოგიზმით, ჰუმანიზმით, უკუღმართობის მხილებითა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით.

ჭოლა წერდა მოთხრობებს, ნოველებს, ლექსებს, მინიატურებს, ეტიუდებს, ესკიზებს, რომლებიც მისი და მისი მეგობარ-თანამოაზრეთა დიდი მონდომებით ქვეყნდებოდა ძირითადად ქართულ პერიოდულ ორგანოებში, თუმცა არც რუსული ვიწრო საზოგადოებისათვის იყო ის უცხო.

მისი შემოქმედება გამოირჩეოდა ორიგინალობით, მან ხელი შეუწყო ახალი ჟანრების ჩამოყალიბებას, ბევრი ახალგაზრდა მწერალი ბაძავდა, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც პოლიტიკურ მოღვაწესაც და პუბლიცისტს. ამას უნდა მივანეროთ ის, რომ იგი იმპერიის სათათბიროშიც კი იქნა არჩეული, რაც მას ხულუხლებლობის გარანტიას აძლევდა, მაგრამ მეფის მიერ სათათბიროს გარეკვის შემდეგ ის უმალ დაიჭირეს და მშობლიურ ქვეყანას მოაშორეს. აქედან დაიწყო მისი სულიერი და ფიზიკური წამება, რასაც ამძაფრებდა იმ დროისათვის განუკურნებელი სენი, რომელიც საკმაოდ დაჩქარებულად იწვევდა მისი ცხოვრების დასასრულის მოახლოებას.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ნება არ მისცეს საქართველოში დაბრუნებისა. სარატოვის გლახათა თავშესაფარში დაუდეს ბინა, სადაც კიდევ გარდაიცვალა ყველასგან გარიყული და მზრუნველობამოკლებული.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რა ცეცხლი და გენია ტრიალებდა მის გაცრეცილ სულში. სასიკვდილო სარეცელზე რას და ვის იგონებდა, ვის ნატრობდა, რა ნოსტალგია ჭირდა. ვინ იცის, რამდენი ფიქრი და ოცნება, რამდენი სამომავლო გეგმა წაიყოლია თან, შეწყდა 37 წლის ახალგაზრდა შემოქმედის, ნიჭიერი კაცის არსებობა. ახლობლებმა და მეგობრებმა

შეძლეს მისი გადმოსვენება საქართველოში, და წამებული რაინდი მხოლოდ ასე დაუბრუნდა თავის სამშობლოს, ჯერ კუკიაზე დაასაფლავეს, შემდეგ დიდუბეში გადაასვენეს,

თუ ვერწმუნებით გამოთქმას – „ლიტერატურის ისტორიაში დიდი და პატარა არ არსებობს“, ნათელია, რომ ჭოლა ლომთათიძეს აქ თავისი ადგილი უჭირავს, სამწუხაროდ იგი არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური კონიუქტურის მსხვერპლი, რაც მისი შემოქმედების მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა. როგორც ლიტერატურული მოღვაწე, როგორც მწერალი – ის შესანიშნავ ფიგურას წარმოადგენს. საკმაოდ დიდია მისი ღვაწლი XX საუცკუნის მწერლობის საწყისის ჩამოყალიბებაში. იროდიონ ევდოშვილთან, ნოე ჩხიკვაძესა და სხვა ახალი თაობის მწერლებთან ერთად, ის უახლესი ლიტერატურის ეპოქის სათავეში იდგა, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მეჩვენება, რომ ის დღესაც რაღაც პოლიტიკური კონიუქტურის გავლენის ზემოქმედების ქვეშაა, ამას უნდა მიენეროს ის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ნაკლებად იცნობს მას, არ ქვეყნდება მისი ნაწარმოებები, მოძველებულია მის შესახებ არსებული ლიტერატურა, მისი იუბილეც კი, რომელიც გასულ წელს იყო, არ აღინიშნა სათანადოდ. დღეს, როცა მისი გარდაცვალებიდან 95 წლისთავია, გვინდა გავიხსენოთ ეს ბრწყინვალე შემოქმედი და პატივი მივაგოთ მის ხსოვნას.

გვინდა ეს პატარა გამოხმაურება სიო კალანდაძე – ხიდისთაველის ლექსით დავასრულო, რომელიც პოეტმა ჭოლა ლომთათიძეს გარდაცვალებაზე წარმოთქვა:

## ჭოლას

მშრომელ ხალხისთვის თავდადებული  
თავისუფლების ერთგული შვილი,  
მშობლიურ ქვეყნის, დაჩაგრულების  
სასოება და ნუგეში ტკბილი...

აღარ გვყავს, არა, მტრებთან ბრძოლაში  
გმირული ტანჯვით დაღია სული  
და სამუდამოდ მან დაიმკვიდრა  
უკვდავი ხსოვნა და სიყვარული...  
მშვიდობით, ჭოლა, შენი მოძმენი,  
დღეს დაგიტირებს უკანასკნელად,  
შენი სახელი მებრძოლი მწერლის  
ყველას გვექნება წარმოსათქმელად.

1915 წ. აგვისტო





იური სიხარულიძე

## „ქლიერ ნიჭიერი მწერალი“

ასე შეაფასა 1928 წელს თბილისში სტუმრად მყოფმა მაქსიმ გორკიმ ჭოლა ლომთათიძე.

გორკი თავისი ახალი ჟურნალის „*Наши достижения*“ გამოცემაზე საუბრობდა. ამ დროს მწერლის პირადმა მდივანმა რაღაცის თქმა მოინდომა, მაგრამ გორკიმ მას „სწრაფად შეაწყვეტინა... სიტყვა“ და თვით დააპირა იმის თქმა, რასაც ფიქრობდა, თუმცა წამით შეჩერდა და შემდეგ ბრძანა:

– ქლიერ ნიჭიერი მწერალი იყო ჭოლა ლომთათიძე!

ასე იგონებს ამას გალაკტიონი და არც ის რეაქცია რჩება მხედველობიდან, რაც ამ ფრაზას მოჰყვა:

„ჭოლა? – სთქვეს დამსწრეებმა“ (გ. ტაბიძე, თხზულებანი: ტ. XII, თბ., 1975, გვ. 362).

იმ დარბაზში მაშინ ქართული მწერლობის მთელი ელიტა იყო შეკრებილი; აქ ბრძანდებოდნენ მთავრობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

გორკისგან ჭოლა ლომთათიძის მწერლური ღირსების ასეთი წინ წამოწევა იმ დროს ხელი-სუფლებისათვის არც ისე სასურველი რამ გახლდათ. ამიტომაც მოსალოდნელი იყო, დარბაზს რომ ამოეგმინა ამგვარ განცხადებაზე.

ეტყობა, სწორედ ამან აფიქრებინა დიდ მწერალს უფრო გაედრმავებინა ჭოლაზე საუბარი.

მან გაიხსენა ჭოლას დამოკიდებულება მის ჟურნალთან და ბრძანა: „მე,,, მის ნაწერებს ვბეჭდავდიო“.

ჭოლა ლომთათიძის ცხოვრება და შემოქმედება, დღეისთვის საკმაოდაა შესწავლილი (დანიელ რამიშვილის, გიორგი ციციშვილისა და სხვათაგან), თუმცა აქამდე შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა როგორც ლომთათიძეთა საგვარეულოს და მის წარსულს, ისე მწერლის წინაპრებსაც.

ლომთათიძეთა საგვარეულო ზემო გურიას ოსმალთაგან სამცხის დარბევის (XVI ს.) შემდეგ შემოეხიზნა. გურიის მთავარმა ისინი პირველად სოფელ მენიეთს (ახლა ჩოხატაურის რაიონი) დაასახლა., მოგვიანებით ლომთათიძეები თანდათან არა მარტო მეზობელ სოფლებში (ჭაჭიეთი, პაჭიეროული და სხვა) გავიდნენ, არამედ ზემო სურებსაც კი მიაღწიეს.

გვიან შუა საუკუნეებში ამ საგვარეულოს ნაწილი გურიის სამთავრო სახლის ყმები იყვნენ, ერთი ნაწილიც ზემო გურიის ერისთავთ-შარვაშიძეების ყმები გახდნენ.

საკუთრივ ჭოლა ლომთათიძის წინაპრებიც გურიელთა სახლს ეკუთვნოდნენ, ხოლო სამთავროს გაუქმების (1843) შემდეგ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო უწყებაში გადაწერეს.

მწერლის უძველეს წინაპრად ამჟამად დავით ლომთათიძე ჩანს, რომელიც მენიეთის ეკლესიის 1858 წლის სამეტრიკო წიგნის ერთ ჩანაწერში იხსენიება (გვ. 4).



ჭოლა ლომთათიძე - 16 წლის

ჭოლა, ეტყობა, ამ წინაპარს კარგად იცნობდა, ამას მოწმობს მისი პირველი მოთხრობის მთავარი პერსონაჟის სახელად დავითის შემოთავაზება.

დავით ლომთათიძის მემკვიდრეებიდან ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ერთს ვიცნობთ, ეს გახლავთ მწერლის პაპა – შევარდენ ლომთათიძე.

როდესაც საქორწინოდ მომწიფდა შევარდენი, მან ბახველი ივანე თენიშვილის ასულზე იქორწინა, რომელიც ორი სახელით იწოდებოდა: ხვარამზე და ეზრათი (ქიონია ელიაძის მოგონება, ჩანწერა ი. სიხარულიძემ, 1950 წ.). შევარდენმა და ხვარამზე-ეზრათმა 6 შვილი აღზარდეს – 5



ვაჟი და ერთი ასული.

ესენი იყვნენ: ბიბონ, იაგორ, ილარიონ, ლავრენტი, არსენ და მელნიკო ლომთათიძეები. ამათმა უმრავლესობამ ვაჭრობას მიჰყო ხელი და კარგი ბიზნესმენებიც დადგნენ. ვაჭრობას განსაკუთრებით აუდეს ალლო იაგორ, ილარიონ და ლავრენტი ლომთათიძეებმა და კარგი სავაჭროებიც გაიჩინეს ოზურგეთში, სუფსასა და ჩოხატაურში.

ამავე სარბიელზე ერთხანს მწერლის მამაც (ბიბონ ლომთათიძეც) წარმატებით იღვწოდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვეღარ შერჩა ვაჭრობას, თავისი წილი ძმას (იაგორას) მიანდო, ხოლო თვით შინ დაბრუნდა და ისევ სოფლური ცხოვრება განაგრძო. სანამ ეს მოხდებოდა და ოზურგეთის მოქალაქედ იწოდებოდა, მან ოქროსქედელი აზნაურის ქაიხსრო ნიკოლაშვილის ასულს (ეროდინეს) სთხოვა ხელი და აზნაურმაც ვაჭარს ქალი ვეღარ დაუკავა.

ეროდინე ნიკოლიშვილსა და ბიბონ ლომთათიძეს რვა შვილი ეყოლა: ვიქტორ, ნინო, ვაშალა, კესარია, ბიკენტი (შემდგომ – ჭოლა), გულიზარი, ფედოსი და სიდონია. ამათგან ყველაზე ადრე ვაშალა დაიღუპა, რაც ჭოლას დაბადებამდე მოხდა. ვაშალას გულიზარიც მიჰყვა, იმ დროს მწერალი დაბადებულიც არ იყო, 1881 წელს მას კიდევ ერთი დაც დაეღუპა – კესარია, მაშინ ჭოლა ორი წლის თუ იქნებოდა და ეს უბედურებაც არც ისე გაუცნობიერებია, სულ სხვა იყო უფროსი ძმისა და დედის გარდაცვალებაც, 1894 წლის მაისში სახადმა იმსხვერპლა ისინი. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ დედაშვილი ორივე ერთ დღეს დაუკრძალავთ მეწიეთის წმიდა გიორგის ეკლესიის სავანეში. ამ ტრაგედიის მომსწრე მომავალი მწერალი მაშინ 15 წლისაც არ იყო, მაგრამ ენით გამოუთქმელი მწუხარება განიცადა. ჯერ გამზრდელი ძმის უღვთო სიკვდილმა დასწვა გული, შემდეგ კი ამას დედის დაღუპვის საშინელებაც დაერთო.

დედის ავადმყოფობას ასე აგვიწერს მწერალი: „ის იწვა. მეზობლები, ნათესავები, ყველანი გარს ეხვიენ მას, ყველანი მალულად იწმენდნენ ცრემლს, მხოლოდ ბებიაჩემი – დედიჩემის დედა, (ლისა ხუნდაძე – ი.ს.) – ის ერთი ვერ იმაგრებდა თავს, გასულიყო გარეთ და გმინავდა, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა“;

– შვილო, დედა! შვილო, დედა! შვილო! და იკანრავდა სახეს. გახსნილ მკერდზე იცემდა მუშტს და თავს განწირულად აქნევდა“;

განცვიფრებული და გაოცებული, მე ვიდექი შორიახლოს და მიკვირდა. თუ რად სტიროდნენ, აბა, ვინ დამაჯერებდა. რომ ის დედაჩემი, რომელიც მე ისე გაგიჟებით მიყვარდა, მოკვდებოდა, შევხედავდი ხან ერთს, ხან მეორეს, ხან დედა-

ჩემს, რომელმაც დაბოლოს მომაგნო თვალებით და სუსტი ხმით დამიძახა:

– მოდი, შვილო ჯეირან!.. – და მან გადამისვა თავზე ხელი, – ვინ მოგიარს. ნენა, შენ ჩემსავით, ვინ მოგეფერება! – მისი ხმა აკანკალდა, მაყურებლებმა ვეღარ შეიკავეს თავი, მამაჩემიც გულქვა, სასტიკი მამაჩემიც, რომელიც ამდენ ხანს მაგრად იდგა და არას იმჩნევდა, აქვითინდა, ხმამალა ატირდა. საერთო ცრემლებმა ჩემზეც იმოქმედეს, ჩავდევი თავი დედის ბალიშში და ავღრიალდი.

– სუ, ნუ ტირი... მე მალე მოვრჩები, ნუ გეშინია! შეეხვეწე ღმერთს ჩემი მორჩენა, შენ გაგიგონებს!.. ჩემო ქოჩორავ, ნუ ტირი, ნენა!

ვიღაცებმა მომკიდეს ხელი და კარში გამიყვანეს...

ჩემს უკან მოშორებით კი ისევ ისმოდა:

– შვილო, დედა! შვილო, დედა! შვილო!

– ბებია, სუ! ნუ სტირი, მორჩება დედა, მე ვიცი, მორჩება! – მინდოდა დამეძახა, მივსულიყავ მასთან და სახლში წამეყვანა, ყველაფერი მეამბო, რომ უცებ შევკრთი... სახლში საშინელი ყვირილი და ჟრიამული ატყდა, ღრიალი და კივილი ერთმანეთში აირია. საიდანღაც ღმუილით წამოიჭრა წამძინარევი ძალღი და შეშინებული ყეფით ჭიშკრისკენ გაიქცა, მეზობლების ძაღლებიც აყეფდნენ... ყველაფერი შეინძრა, შეწრიდა...;

დიდხანს, დიდხანს შემდეგ შევედი სახლში, მივედი ლოგინთან და დავიძახე:

– დედა! დედა! დედა!

მაგრამ უძრავი იყო დედაჩემი, მას არაფერი ესმოდა. მის გაცივებულ გვამს დაკონებოდა ბებიაჩემი, მიედო ტუჩი ყურთან და ჩახლუჩილი ხმით ჩასძახოვა:

– შვილო, ნენა! შვილო ჩემო სიმწრით გამოზრდილო, ნაკვდავო შვილო“..

(„სახროჩობელას წინაშე“)

ძმის სავალალო სიკვდილსა და დედით ობლობის ვაებას მოგვიანებით დის (ნინოს) დაღუპვაც მოჰყვა.

ეს მშვენიერი ქალიშვილი ვინმე ხავთასს (რკინიგზელს) მოუტაცნია, მაგრამ მამას არ დაუნებებია და შინ მიუყვანია, ამაზე ქალიშვილს ისე უწერვიულია, რომ სულ მალე გარდაცვლილა.

ამის შემდეგ დიდხანს არც მწერლის მამას უცოცხლია.

ასე თანდათან და ერთიმეორის მიყოლებით ამოუწყდა ჭოლას მშობლები და დედმამიშვილების დიდი ნაწილიც.

ახლობელთა გარდაცვალებით გამონვეულ მწუხარებათა გადატანა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ჭოლამ თავისი ძლიერი ხასიათით თითქმის შეუძლებელი შეიძლო...



## კორესპონდენციები

თამარ ტოგონიძე

მუსიკატმცოდნე, წამყვანი ბიბლიოთეკარი

## ერთი საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ

ამ სტატიის დანერის საფუძველი საქმის ერთგულება და სიყვარულია. მინდა მკითხველს მოვუთხრო ერთი პატარა, მაგრამ შინაარსით მრავალფეროვანი საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ, რომელიც დღემდე ვერ მივიდა ჯეროვნად მკითხველამდე.

ფონდი ეკუთვნოდა თბილისის საბიბლიოთეკო ქსელის მე-16 ფილიალს – ნ. ნაკაშიძის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკას, ფონდი სახელოვნებო შინაარსისაა. აქ თავმოყრილია მასალები მუსიკის, თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნების და სხვა დარგების შესახებ, აქ არის სანოტო და აუდიო-ფონდი. სანოტო ფონდი განსაკუთრებით კარგად არის დაკომპლექტებული. მასში არის ნოტები ყველა საკრავისთვის: კლავიშოანი, სიმებიანი, ჩასაბერი ინსტრუმენტებისთვის, აგრეთვე სასცენო და ვოკალური მუსიკის ნიმუშები; საბავშვო და საესტრადო მუსიკა და მრავალი სხვა, რაზეც დღეს დიდი მოთხოვნილებაა. ფირფიტების სახით ფონდში არის ბრწყინვალე აუდიოკოლექცია, რომელშიც მრავალი უნიკალური ჩანაწერია (მოსაზრება, რომ ფირფიტა მოძველდა და როგორც მოსმენის საშუალება, ის აღარავის აინტერესებს, სრულიად დილეტანტურია. დღეს ჭეშმარიტი მელომანები ფირფიტებს სანთლით ეძებენ).

ფონდმა, ბოლო ხუთი წლის მანძილზე ბევრჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა. მე-16 ფილიალიდან ის გადავიდა ახლადგახსნილ მთავარ ბიბლიოთეკაში, სადაც საჭირო გახდა ამ ფონდის მხოლოდ მუსიკალური ნაწილი. უნდა ითქვას, რომ თბილისის საბიბლიოთეკო ქსელის სხვადასხვა ფილიალში არსებობს გაცილებით დიდი მოცულობის მუსიკალური ფონდები, რომელთა ნაწილის გადმოტანა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ არჩევანი შეჩერდა სწორედ ამ პატარა ფონდზე, რომელიც ცენტრალურში გადატანის შემდეგ საერთოდ განახევრდა. თავისთავად ასეთი ტიპის

გადანყვეტილებები, რბილად რომ ვთქვათ, კუროზია, მაგრამ გამომდინარე წიგნის მიმართ დღევანდელი დამოკიდებულებიდან, სრულიად ლოგიკური.

მთავარ ბიბლიოთეკაში მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დირექციამ შემომთავაზა ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე არსებულ ერთ-ერთ საბიბლიოთეკო ფართში გადასვლა. ფართის მონახულების შემდეგ დათანხმდი გადასვლაზე, ვინაიდან იქ დავინახე დარგობრივი ბიბლიოთეკის მოწყობის ძალიან დიდი პერსპექტივა. სამუსიკო სკოლების და უნივერსიტეტების სიახლოვე და ადგილობრივი მცხოვრებლების მხრიდან ხელოვნებისადმი ტრადიციული ინტერესი მაძლევდა გარანტიას, რომ ხელოვნების პროფილის ბიბლიოთეკას უღვევად ეყოლებოდა ნებისმიერი ასაკის და კატეგორიის მკითხველი (სხვანაირად არავინ არის ისეთი მიაბიტი, ახალგაზრდობისთვის შენობიდან გაურემონტებელ ფართში გადავიდეს, თუ იქ საქმის განვითარების პერსპექტივა ვერ დაინახა).

მუშაობის პირობები მძიმე იყო: არ იყო საჭირო ინვენტარი, მაგრამ საქმიანობა არცერთი წუთით არ შეწყვეტილა. მიმდინარეობდა ფონდის რეგისტრაცია და დამუშავება, მისხალ-მისხალ ვაგროვებით მკითხველებს (რეკლამის საშუალება არ იყო). მკითხველები დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ ხელოვნების პროფილის ბიბლიოთეკის არსებობის გამო და მომსახურების არსებული ხარისხით. მათ ნებისმიერი ლიტერატურა, თუნდაც ფონდში არარსებული, მეორე დღესვე ხელთ ჰქონდათ, რაც ერთობ სასიამოვნო გაცეხას ინვევდა მათში. ასევე დიდი იყო მკითხველთა ყურადღება ფონდის მომარაგების მიმართაც. დირექციის ინერტულობის გამო, ფონდის შევსების მიზნით, ჩვენ დავინყეთ მკითხველებისგან ლიტერატურის ნებაყოფლობით ჩაბარება. ფალიაშვილის ქუჩაზე მუშაობის სულ რამდენიმე თვის განმავლო-



ბაში შემონიშნულობების სახით ბიბლიოთეკას შეემატა 1000-მდე ადრეულ წლებში გამოცემული, მაგრამ შესანიშნავ მდგომარეობაში მყოფი საინტერესო და ფასეული დარგობრივი ლიტერატურა (იმ დროს, როცა ღირექციას ერთი ეგზემპლარიც არ შემოუტანია).

ფალიაშვილის ქუჩაზე მუშაობა შეწყდა იმ დროს, როდესაც მკითხველებმა ერთმანეთის რეკომენდაციით დაიწყეს მოსვლა და გაჩნდა შანსი, რომ მათი რაოდენობა ძალიან სწრაფად გაზრდილიყო. ამ დროისათვის ჩვენ გვყავდა ცოტა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი მკითხველი და მათთან მუშაობის მაღალმა ხარისხმა განაპირობა, რომ მოკლე დროში საკმაოდ სწრაფად გავრცელდა ცნობა ხელოვნების პროფილის ბიბლიოთეკის არსებობის შესახებ.

ისევ გაუთვლელი და მოუფიქრებელი გადაწყვეტილების გამო ბიბლიოთეკამ შეწყვიტა არსებობა (ამდენი მოუფიქრებელი გადაწყვეტილება თავისთავად აყენებს მენეჯმენტის პროფესიონალიზმის საკითხს, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა). კარგა ხანს

ჩემი მობილური აკლებული იყო მკითხველთა ზარებით (ბიბლიოთეკა ხომ მათთვის არსებობს). მთხოვდნენ, მეცნობებინა, სად გააგრძელებდა ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას. მე კი, მიუხედავად საკმაოდ დროის გასვლისა, მათთვის პასუხი ჯერაც არა მაქვს. ან რა ახსნა უნდა ჰქონდეს ასეთ გაუთავებელ გადასვლა-გადმოსვლას და ასეთი პერსპექტიული და მომგებიანი (რამდენადაც მომგებიანი შეიძლება იყოს ბიბლიოთეკა) საქმის ჩაშლას.

ამჟამად ფონდი შეფარებულია მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდულ ბიბლიოთეკაში, რომლის კოლექტივს მაღლობას ვუხედი გულთბილი დამოკიდებულებისათვის, ფონდი უმოქმედოდაა უკვე რამდენიმე თვეა და ელის შესაბამის ფართს და მკითხველს. იმედი მაქვს, დასმული საკითხი ამჯერად მაინც დადებითად გადაწყდება და თბილისს ექნება ერთი უაღრესად საჭირო დარგობრივი პროფილის ბიბლიოთეკა, რომელსაც, სათანადო ყურადღების და ხელშეწყობის შემთხვევაში, მკითხველი არასოდეს არ მოაკლდება.

## ლალი ბოძაძე,

№ 57 ბიბლიოთეკის გამგე

## ჩვენი თანამდგომნი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის და ინფორმაციის სპეციალისტთა ინიციატივით კარგა ხანია საქართველოში ეწყობა „საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული“, კვირეულის დევიზია „თქვენი ბიბლიოთეკა“, ამიტომ მიინდა ამ კვირეულის და მის დევიზს ჩვენც გამოვცხმაუროთ, ვინაიდან ჩვენს ბიბლიოთეკას ერთგვარად განსხვავებული ისტორია აქვს. 1992 წელს, იმ დროს, როცა თბილისში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და თავისუფლების მოედანი ტყვიის ფანტელებით იყო მოფენილი ისე, რომ ფეხისწვერებითაც ვერ აუვლიდი გვერდს, ბრძოლის უინით შეპყრობილი უშიშარი პიროვნება აღმოვჩნდი და დადიანის ქუჩიდან, სადაც ქალაქის საბჭო არსებობდა თავისი ბიბლიოთეკით, რომელიც იმჟამად უქმდებოდა. ბიბლიოთეკას მდიდარი წიგნადი ფონდი რჩებოდა, მაგრამ მას პატრონი აღარ ჰყავდა. ჩვენ სიცოცხლის რისკის ფასად გამოგვექონდა ეს უნიკალური ფონდი თავისი ინვენტარით. იმ პერიოდში ქალაქში ერთდროულად ან ინგრეოდა ან სხვისდებოდა ჩვენი ბიბლიოთეკების

შენიშვნები, ამ დროს კი ჩვენი ღირექტორის ც. კალმახელიძის დახმარებით ნ/პ V მ/რ კორპუსში იხსნებოდა ახალი ბიბლიოთეკა. ეს იყო დასაწყისი, შემდეგ შემოვიტანეთ გრიშაშვილის ქუჩიდან კიდევ ერთი ბიბლიოთეკის ფონდი და ინვენტარი, (ბარათაშვილის ქუჩიდან) № 24-ე ბიბლიოთეკის ფონდი, და № 58-ე ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდი, ყოველივე ამის შემდეგ მოგვიხდა ამ ფონდის დაწმენდა-დასუფთავება და აღწერა; შემდეგ კი იდეურად და პოლიტიკურად მოძველებული, დაცვეთილი და დაზიანებული წიგნების. ზედმეტი და ჭარბი ეგზემპლარებისაგან განთავისუფლება. სხვათა შორის, ამ ეგზემპლარებისაგან დაკომპლექტდა თბილისის № 11 საჯარო სკოლისა და ბოლნისის რაიონის ერთ-ერთი სკოლის ბიბლიოთეკები, ცხადია, წლები დაჭირდა იმას, რომ საბოლოოდ ერთი კარგი, სრულყოფილი ბიბლიოთეკა მიგველო თავისი ანბანური და სისტემატური კატალოგებით. დასაწყისში ამხელა საქმის წინაშე მარტო აღმოვჩნდი, ნათქვამია: „მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო“, ჰოდა, მარტო რას მოვე-



რეოდი ამოდენა სამუშაოს თუ გვერდში სტიმულის მომცემი არ მეყოლებოდა იმ ძნელბედობის ჟამს.

ბედად, ჩვენი ბიბლიოთეკა, რომელიც № 58 საჯარო ბიბლიოთეკად არის წოდებული, აღმოჩნდა იმ კორპუსში, სადაც ერთდროულად თავს იყრიან მწერლები, მთარგმნელები, პოეტები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები, პედაგოგები, პროფესორები, დოცენტები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან.

ჩვენი კულტურის სამინისტრო დაინტერესდა ჩვენი ბიბლიოთეკით და დასათვალისწინებლად თანამშრომელი გამოგზავნა, რომელსაც ბიბლიოთეკა ჩემს დამხმარე პირთა შემწეობით სავსებით მონესრიგებული დავახვედრეთ. პირველი შეფასება ჩემს მიერ განეული მუშაობის იყო ის, რომ შემომწმებაზე მოსულმა ქალბატონმა დირექტორს უთხრა: „ამ ქალბატონს ფეხზე ოქროს ჯაჭვი შეაბით, კარებზე გამოაბით, არსად გაუშვათ“. ასეთი დაფასება მივიღე განეული სამუშაოსათვის იმ არეულობის დროს, რომელიც ჩემმა მკითხველებმა გადაამატანინეს.

მართლაც, ძალიან ბევრს ნიშნავს ბიბლიოთეკა ტერიტორიულად სად მდებარეობს. მე წილად ეს ბედნიერებაც მერგო. იმ პერიოდში, როცა კუპონობა იყო, ტრანსპორტი კი რუსულ ფულს ითხოვდა, მე ამ დროს არაფრისმქონე, გარდა ენთუზიაზმისა, ნაძალადევის რაიონიდან ნუცუბიძის მთებზე გადავლით ყოველდღიურად ფეხით დავდიოდი. ახლა მიკვირს, როგორ შევძელი, მაგრამ გასაკვირიც არაფერია: ბიბლიოთეკაში მოსულს, კეთილი ადამიანები მხვდებოდნენ: ან გარდაცვლილი დიდი პიროვნება თავისი ადამიანურობით, კეთილსინდისიერებით და გულისხმიერებით ბატონი შაქრო სამადაშვილი, პოეტი, მწერალი, რომელმაც ანთოლოგიაში თავის ლექსებში ბექდვის დროს დაშვებული შეცდომები გაასწორა და თქვა სამახსოვროდ დაგრჩებათო ჩემი ხელწერა. ასეც მოხდა, დღეს მას ნათელს ვუძღვნით და კეთილად მოვიგონებთ, აქ ხშირად იყო პოეტი იაკობ მელია, დიდი პიროვნება, ხალხის და ბიბლიოთეკის მოყვარული, ჩვენი აქტიური წევრი; ანზორ ბერულავა, რომელიც განათლების სისტემაში მოღვაწეობდა: მუშაობდა სხვადასხვა ინსტიტუტებში, იყო სკოლის დირექტორად, არის საქ. ჟურნალისტთა კავშირი-

სა და ფედერაციის წევრი. დღეს მოღვაწეობს სოხუმის უნივერსიტეტში, არის ამ უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი და ასოციაცია „ჯანმრთელი ბავშვების“ თავმჯდომარე; ზაზა ჯინჭარაძე, არქიტექტორი, ჩვენი კულტურის სამინისტროს თანამშრომელი იყო, ღია ცის ქვეშ მუზეუმის დირექტორი; ზაალ ბოტკოველი – მოკრძალებული პიროვნება, რომელიც უხმოდ აკეთებს ყველაფერს, იგი არის მწერალთა კავშირის წევრი და ჩვენი ბიბლიოთეკის ერთგული მეზობელი და აბონენტი, წელიწადში ერთ-ორჯერ მაინც ბიბლიოთეკას საუკეთესო სახელმძღვანელოებს ჩუქნის; ზაზა ქინქლაძე – ცნობილი ჟურნალისტი, საბავშვო პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი; ალი გუგუცაძე – აქტიური მოღვაწე, ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც ლიტერატურულ მოღვაწეობასაც კარგად უხამებს მეცნიერულ-ტექნიკურ საქმიანობას. არის ათამდე პოეტური კრებულის ავტორი; ლილი მჭედლიშვილი, რომელიც ეწევა მთარგმნელობით მუშაობას და ყველა მთარგმნე წიგნს ჩუქნის ჩვენს ბიბლიოთეკას. ასევე მინდა აღვნიშნო თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი ამირან იოსავა და ლიტერატურათმცოდნე გია თოფურია, თავაზიანი, ყურადღებიანი, ქართული სულის ადამიანები. მთავარია ის, რომ ყველა ეს დიდებული ადამიანი თავისი ხელეობითა და კეთილი გულით ზოგჯერ ფიზიკურადაც კი ეხმარება ბიბლიოთეკას საჭიროების შემთხვევაში. ერთხელ მათ საქმიანობას შეესწრო მხატვარი, ფერმწერი და ხატმწერი მაცვალა იაშვილი: იგი გაკვირვებული დარჩა და მითხრა: როგორ აკადრებთ ასეთ პიროვნებებს ამას და როგორ აწუხებთო; მე კი ამყად ვუპასუხე: ქალბატონო მაცვალა, ბიბლიოთეკას რომ დასჭირდეს, თქვენც გამოგიყენებთ... სხვა ვინ, თუ არა ასეთი ადამიანები? ამათ ყველაზე მეტად ესმით წიგნისა და ბიბლიოთეკის ფასი და დანიშნულება, სწორედ ამიტომ მიდგანან გვერდში ყოველთვის, ასეთი კეთილშობილი, ყოველმხრივ განათლებული და გულისხმიერი ადამიანები ღმერთმა გვიმრავლოს ბიბლიოთეკებში. ასეთი მკითხველების გვერდით და მათი თანადგომით ჩვენ ჩვენს მოვალეობას უფრო ხალისითა და მონდომებით ვასრულებთ.





ინტერვიუ

ინტერვიუს უძღვებოდა დალი აბესაძე

# „მოასპარეზედ ვინ მგავსო?!..“

ჩვენი კორესპონდენტი დალი აბესაძე ესაუბრა მათად ორიგინალური დაჰვირვებებითა და ლიტერატურულ-ჰუმორული თვალსაზრისით გამორჩეულ მოღვაწეს, სიმონ ჯაფარიძეს და მისგან ზედმინდვებით საინტერესო ინტერვიუ აიღო. ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ მათი გასაუბრების მოკლე ჩანაწერს.

**კორესპონდენტი:** თუ შეიძლება, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გაცანით თქვენი თავი.

**სიმონ ჯაფარიძე:** დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და იქვე – ხელოვნების ფაკულტეტიც ფერწერის განხრით. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ისტორიულ ძეგლთა დაცვასა და კვლევას ვემსახურე; ვაქვეყნებდი ნარკვევებს ისტორიის, კულტურის, ბუნების ძეგლთა, ხელოვნების, ტოპონიმიკის, სპორტის საკითხებზე. იმერი ხრეველის ლიტერატურული ფსევდონიმით გამოცემული მაქვს რამდენიმე პოეტური კრებული, რომელთაგან ორი – უჩვეულო ფორმისაა და ანალოგი არ მოეპოვება, ესაა „ორმხრივად საკითხავი“ წიგნები...

**კორესპონდენტი:** რამ გადაგანყვეტინათ გამოგეცათ „უკუღმა დანერილი“ წიგნები, ანუ როგორც თქვენ უწოდებთ – „უკუთქმანი“?

**სიმონ ჯაფარიძე:** 2002 წელს გამოცემული კრებულის სათაურად ტერმინი რუსთაველს „დავესესხე“. გახსოვთ „ვეფხისტყაოსნიდან“:

„მოასპარეზედ ვინ მგავსო? – ცუდნილა უკუთქმანია,

გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“

„უკუთქმანი“ დავამკვიდრე ქართულ ლიტერატურაში, მანამდე არსებული ბერძნული „პალინდრომისა“ და ვახტანგ მეექვსისეული „ჩარხებრ მბრუნავი ლექსის“ სანაცვლოდ.

სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვის მნიშვნელობას ასე განმარტავს:

„უკუთქუმა [უკუთქმა] – რამეთუ ჯერ-ჩინება წართქმად ითქმის, ვითარ-იგი, ვითარმედ: „კეთილ არს“, ხოლო უარის ყოფაი უკუნთქმად, ვითარ-იგი, ვითარმედ: „არა კეთილ არს“.

უკეთუ ვთქვათ, ვითარმედ: „იგი ვინმე ბრძენ

არს“ – წართქმაი არს, უკეთუ ვთქვათ: „იგი ვინმე არა ბრძენ არს“, იგი უკუ(ნ)თქმაი არს... მაშასადამე „უკუთქმა“ – უარყოფითი მოვლენის გამომხატველი სიტყვაა.

როგორც მწერლობაში, ისე ფოლკლორშიც გვხვდება „ორმხრივად საკითხავი“ ტექსტების ნიმუშები; საკმარისია დავასახელოთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი ანბანური წყვილი – „აი ია“, მას არა თუ ორმხრივად, – ოთხმხრივადაც წავიკითხავთ, ერთმანეთს ქვეშ თუ მივუწერთ“

ა	ი
ი	ა

ამგვარ გამოსახულებებს ძველი ბერძნები და რომაელები „მაგიურ კვადრატებს“ უწოდებდნენ და სალოცავ ტაძრებზე ტვიფრავდნენ. დაახლ. ჩვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, ლათინურ ენაზე შედგენილი „მაგიური კვადრატის“ უძველესი ნიმუში ასე იკითხება: „სატორ არეპო ტენეტ ოპერა როტას“, რომლის შინაარსი ქართულად ამგვარად გადმოითარგმნება: „მთესველ არეპოს ბორბლები გაჭირვებით უჭირავს“. კვადრატებად დაყოფილ დაფაზე დანერილი ეს წინადადება ოთხივე მხრიდან ერთნაირად იკითხება. თვალსაჩინოებისთვის აქვე წარმოგიდგენთ როგორც უძველეს ლათინურ ნიმუშს, ასევე ჩემს მიერ ქართულად შედგენილ „მაგიურ კვადრატს“:

1.

S	A	T	O	R
A	R	E	P	O
T	E	N	E	T
O	P	E	R	A
R	O	T	A	S



2.

მ	ე	რ	ა	ბ
ე	რ	ა	დ	ა
რ	ა	დ	ა	რ
ა	დ	ა	რ	ე
ბ	ა	რ	ე	მ

„ორმხრივად საკითხავი“ წიგნები გამოვეცი 1991 და 2002 წლებში – ორი ათასწლეულის მიჯნაზე. ერთი თაობის ადამიანებისათვის ასეთი „განონასწორებელი“ თარიღები მხოლოდ 1000 წლის შემდეგ დადგება ერთმანეთის გვერდით!

ჩემს პირველ კრებულს დავარქვი „ორდარადრო“, მეორეს „უკუთქმანი“ და გამოვეცი იმერი ხრეველის ფსევდონიმით.

კორესპოდენტი: საბჭოურ პერიოდში ასეთი ნაწარმოებების ბეჭდვა ალბათ „დინების საპირისპიროდ სვლას“ ნიშნავდა.

სიმონ ჯაფარიძე: ასეთი ფორმით, თვით მეფე-პოეტს, ვახტან VI-საც უცდია, უკმაყოფილება გამოეთქვა ავი სანუთროს მიმართ („აბანა ერსა მოშიშთა...“) და გალაკტიონსაც („აი, რა მზის სიზმარია, აირევი ივერია...“); „აირევი ივერია“ – ერთ სატირულ ლექსშიც გამოუყენებია აკაკის ილიას „ივერიის“ მისამართით და ძალზეც გაუნანყენებია, მაგრამ მალევე შერიგებულან...

1891 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ჭიათურის მარგანეცის მადნის შესახებ აკაკიმ გამოაქვეყნა სტატია – „Черный камень“ Ин-да Бань-ის ფსევდონიმით, რომელიც შებრუნებით იკითხება – „Набадни“, რაც სინონიმია მადნისა.

„დინების საწინააღმდეგოდ“ ჩემს მიერ დაწერილი წიგნები ერთგვარი პროტესტის ფორმაა საბჭოური თუ პოსტსაბჭოური უკუღმართობის მიმართ.

კორესპოდენტი: ყოველი მხატვრული ნაწარმოების ავ-კარგი მისი ფორმითა და შინაარსით ფასდება. თქვენი წიგნის ფორმა გასაგებია, მაგრამ შინაარსი?..

სიმონ ჯაფარიძე: მკითხველს მართლაც დაინტერესებს, თუ რამდენად სრულყოფილადაა აზრი გადმოცემული ამ ნაწარმოებებში.

ჯერ კიდევ 9 აპრილის ტრაგედიის მომწყობთა წინააღმდეგ გამოვაქვეყნე ტექსტი, რომლის სათაური „ორლესული“ იყო: „Вон Р...НОВ!“ („ნათრიე როდიონოვ!“), იქვე დაიბეჭდა 1989 წლის 9 აპრილს დაწერილი „პალინდრომული აკროსტიხი“, რომლის თავკიდურ-ბოლოკიდური ასოები სათაურთან ერთად იკითხება „ჩარხებრ მბრუნავ“ ტექსტში:

1989

წელო მიმოლენ...  
ემართათ რამე?!

ლეკურად არ უკელ  
ივერს მომსრევი...

9 აპრილის შემდეგდროინდელი დაპირისპირების განწყობილებას გამოხატავს 2002 წელს გამოცემულ კრებულში შეტანილი ეს ლექსიც: იბერიძე, გვეძირები!

კორესპოდენტი: მეოთხედ საუკუნეზე მეტი, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შესწავლას ემსახურეთ; შემოვლილი გაქვთ როგორც „ხილული“, ისე „უხილავი საქართველო“ – კარსტულ მღვიმეთა მიწისქვეშა სამყარო. თქვენი საქმიანობაც თითქოს თქვენს შემოქმედებასთან ასოცირდება – ხილული და უხილავი სამყაროს სახით...

სიმონ ჯაფარიძე: ერთ-ერთ პუბლიკაციაში, რომელიც ერთი ჩემი გვარის წარმომადგენელს ეძღვნება, კორესპოდენტი წერს:

„... ჭიათურელ ჯაფარიძეებს მწვერვალები-საკენ უჭირავთ თვალი. ქართული ალპინიზმის ისტორია, თავის დროზე მთამსვლელებმა: სიმონ, ალიოშა და ალექსანდრე ჯაფარიძეებმა დაამშვენეს. მყინვარწვერის, თეთნულდის, იაღლუზის, ქაბარჯინას, აილამას, უშბისა თუ დინ-თაუს დამპყობელი ჯაფარიძეები არა მხოლოდ მწვერვალებს, 1921 წელს, ტაბახმელაზე ბაქოდან წამოსულ მე-11 წითელ არმიასაც ებრძოდნენ“ – მადლობის მეტი რა ეთქმის ჟურნალისტს ამ გულისხმიერებისათვის...

მე ამ სახელებისა და მათი ხსოვნის გარემოცვაში ვიზრდებოდი. ჩემი წინაპრების ისტორია საქართველოში მთამსვლელობის განვითარებასთანაა დაკავშირებული; მათ სახელებს უკავშირდება აგრეთვე სპელეოლოგიის განვითარება: მიწის წიაღსა და კლდოვან მასივებში არსებული მიუვალი სიღრმეების შესწავლა, რომელთა ისტორია ჩვენი ქვეყნის წარსულის განუყოფელი ნაწილია... ამდენად, ჩემი ყოველი ძალისხმევა ამ ტრადიციებიდან იღებს სათავეს. საქართველოს მაღალი მთები და ღრმა კარსტული სივრცეები ალბათ რამდენადმე მიესადაგება კიდევ პალინდრომულ ალეგორიებს...

კორესპოდენტი: ალბათ ახალი შემოქმედებითი ჩანაფიქრები გაქვთ სამომავლოდ.

სიმონ ჯაფარიძე: გამომცემელს ელოდება წიგნი ილია ჭავჭავაძის „განდეგილისა“ და ისტორიული ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის შესახებ; ასევე პოეტური კრებული ახალი ვერსიფიკაციული ვარიაციებით... ვთანარედაქტორობ ქ-ნ ასმათ ყურშავიშვილის ნატი-



ფი ხელოვნების – ნაქარგობის ფერად ალ-ბომს და ავთანდილ ვართაგავას სქელტანიან ნიგნს, მიძღვნილს XX საუკუნის დიდი ქართველი მხატვრის – ლადო გუდიაშვილისადმი. ნაწილობრივ გამოქვეყნებული მაქვს მასალები კაცხის სვეტის, ხვამლის, მღვიმევის, აგრეთვე ხრეთის, ჭიათურის, მუხურის შესახებ, მაგრამ მრავალი უცნობი ფაქტი გამომზეურებასა და ანალიზს ელის. ვიდრე ამ წიგნების დამკვეთი გამოჩნდება, ვიტყვი: ჭიათურის რაიონში, სოფელ კაცხში, ცისკენ აწვდილი 40 მეტრიანი მონოლითური ქვის სვეტის თავზე აგებული V-VI საუკუნეების ეკლესიის აკლდამაში დღემდე შემორჩენილი საქართველოში პირველი მესვეტის წმინდა ნაწილები, რომელიც, როგორც საუფლო მადლის მომნიჭებელი სინმინდე და ისტორიული მნიშვნელობის ხელშესახები ძვირფასი რელიქვია, პატივით უნდა იყოს დაცული, მას კი განადგურება ემუქრება...

სვეტის თავზე აგებულ ეკლესიებზე გაცილებით ადრინდელი პერიორდისაა მის ფუძეზე, მინიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე ამოკვეთილი ე.წ. „ბოლნური ჯვარი“. ქრისტიანული რელიგიის ისტორიის ამ უადრესმა დოკუმენტურმა მასალამ სათანადო შესწავლის საფუძველზე შეიძლება ახალი ფურცელი გადაშალოს ერთი-

ანი საქართველოს მოქცევისა და სარწმუნოებრივი ვითარების კვლევის საქმეში.

ვფიქრობ, დადგა დრო, როდესაც ფინანსურმა მაგნატებმა და ოლიგარქებმა, რომელთაც დაუგროვდათ ბანკნოტები და კუპონები, მიბაძონ შლიმანს, რომელმაც სარფიანი სავაჭრო საქმე მიატოვა, რათა ჰომეროსის მითებში მოხსენებული ადგილები გამოეკვლია და მიკენელ მეომართა მიერ დაქცეული ტროას ლეგენდა არა მარტო სინამდვილედ ექცია, არამედ თავისი თავიც სამარადისოდ უკვდავეყო!

ჩვენი თაობის ძალზე ბევრ მკვლევარს საფლავში მიაქვს ათწლეულების განმავლობაში დიდი შრომითა და რუდუნებით დაგროვილი, ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანი და ფასეული ცოდნა.

უდიდესი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანას ისევ უწევს „თვითგამორკვევა“. ანუ საკუთარი ადგილის ძიება დღევანდელ მსოფლიოში და თუ დროზე არ შევძელით „მსოფლიო გადანაწილების“ ფარულ თუ ღია პროცესებში გარკვევა, შეიძლება ერი „უადგილოდ დარჩეს“...

ტყუილად როდი მოგვინოდებდნენ ჩვენი მართლმადიდებელი წინაპრები: „დექით მტკიცედ და შეურყევლად!“ ჩვენ დღესაც უნდა გავითავისოთ წინაპართა ეს ფასდაუდებელი სიბრძნე...

## მანანა ღეკანოსიძე

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მომსახურების სამსახურის უფროსი

### ამაგდარი

თუკი ვინმეს ოდნავ მაინც შეხება ჰქონია ბიბლიოთეკასთან და საბიბლიოთეკო საქმესთან, არ არსებობს, არ იცნობდეს ბატონ გრიგოლ კიპაროიძეს. ბატონი გრიგოლი ახალგაზრდული შემართებით შემომეგება. ეს 90 წელს მიღწეული ღვანლმოსილი პიროვნება დღესაც დიდი შემართებით აგრძელებს მუშაობას დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილედ.

გადავწყვიტე ინტერვიუ ამელო ამ ამაგდარი ადამიანისაგან, ვიცოდი რა, რომ ბევრ საინტერესო რამეს გავიგებდი.

– ბატონო გრიგოლ! - დავინყე მე, – რამდენი წელი ბრძანდებოდით საჯარო ბიბლიოთეკაში მეთოდური-კაბინეტის ხელმძღვანელად?

– 30 წელზე მეტხანს ვიმუშავე საჯარო ბიბლიოთეკაში (ყოფილი კ. მარსის სახ. ბიბლიოთეკა) მეთოდ-კაბინეტის ხელმძღვანელად.

– რა გაკეთდა თქვენი მოღვაწეობის პერიოდში?

– ჩემი მოღვაწეობის პერიოდში დაიხვეწა მეთოდური სახელმძღვანელოს გამოცემა, გაიხსნა 3000-ზე მეტი ახალი ბიბლიოთეკა საქარ-

თველოს სხვადასხვა რეგიონში. იმ რეგიონებს, სადაც ბიბლიოთეკები უნდა გახსნილიყო, წინასწარ გეგმავდა მეთოდ – კაბინეტი, რომლის ხელმძღვანელიც მე ვიყავი, ბიბლიოთეკა თითქმის ყველა სოფელში იყო.

– როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები ამ სფეროში?

– უნივერსიტეტი დავამთავრე 1950 წელს, ის-





ტორიის ფაკულტეტი. მუშაობა მაშინვე დავიწყე საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებათა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ინსპექტორად. 1952 წ. კი გადავედი ბიბლიოთეკათმცოდენობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის მეთოდისტად. 1953 წელს შევეურთდით კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას. ჩვენ კაბინეტს ბიბლიოთეკათმცოდენობის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება ეწოდა.

– რას ნიშნავდა ან რა პასუხისმგებლობას გრძნობდით ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს?

– ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა, არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი საბიბლიოთეკო საქმის მიმართ. ჩემი უპირველესი მიზანი იყო კვალიფიციური კადრების მომზადება.

– ვის დაასახელებდით თქვენთან ერთად ამ დარგის მოღვაწეებად?

– ამ დარგის გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ: მეთოდისტები – დიმიტრი მარკევიჩი, გუია ბერულავა, სერგო პულუზაშვილი, მირიან პაპიძე, ცისანა ვაჩიშვილი, კოტე ნაკაშიძე, ნუგზარ თოდრია, ოთარ ოსაძე, ლევან კვირიკაშვილი.

– თვლით, რომ შეგეძლოთ მეტის გაკეთება ბიბლიოთეკებისათვის, მაგრამ ვერ მოასწარით?

– საერთოდ ბევრს ვმუშაობდი კადრების მომზადებასა და შერჩევის საკითხებში. ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ ბიბლიოთეკათმცოდენობის ფაკულტეტზე დაუსწრებელ განყოფილებაზე მიგველო არა ყველა ის, ვინც სურვილს გამოთქვამდა, არამედ მოგვემზადებინა კვალიფიციური კადრები და დაგვეკომპლექტებინა ბიბლიოთეკები საქართველოს მასშტაბით.

– რომელ განუხორციელებელ გეგმებზე გწყდებათ გული?

– გული მწყდება იმის გამო, რომ კულტურის ინსტიტუტის შექმნაში კულტურის სამინისტროსთან ერთად დიდი ღვაწლი მიმიძღვის, მაგრამ ვერ შევძელით მისი შენარჩუნება, სამწუხაროდ. იგი თეატრალურ ინსტიტუტს შეუერთდა და დაკარგა დამოუკიდებლობა. გული მწყდება კვალიფიციურ კადრებზე, ამჟამად თითზე ჩამოსათვლელია კვალიფიციური კადრები.

ვინ იყო პავლე კიკნაძე?

– პავლე კიკნაძე იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე. იგი კურირებდა ბიბლიოთეკებს. პავლე კიკნაძე იყო უბრწყინვალესი პიროვნება. საბიბლიოთეკო განვითარების საქმეში არ ყოფილა. არც ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი მის გარეშე. პავლე

კიკნაძის ინიციატივით 1961 წელს შემოღებულ იქნა საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება, 1971 წელს კი საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება. იგი ზრუნავდა კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

– არსებობდა თუ არა ბიბლიოთეკარის კვალიფიციაციის ასამაღლებელი კურსები და რა სახით ტარდებოდა?

– 1972 წლის ივლისში კულტურის სამინისტრს კოლეგიაში მომზადდა საკითხი „საბიბლიოთეკო კადრების მდგომარეობა საქართველოში“, რის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული კულტურის მუშაკთა კვალიფიციაციის ასამაღლებელი რესპუბლიკური კურსები. ამ კურსების დირექტორად მე დავინიშნე. პარალელურად ვმუშაობდი საჯარო ბიბლიოთეკაში მეთოდური განყოფილების გამგედ.

ამ კურსების შესახებ იყო მხოლოდ კულტურის მინისტრის ბრძანება. დიდი ბრძოლა დამჭირდა იმ ფართის გამოსაყოფად, სადაც ბიბლიოთეკარების კვალიფიციაციის ასამაღლებელი კურსები უნდა გამართულიყო.

ყოველთვიურად კურსებზე 250–300 ბიბლიოთეკარი და კულტურის მუშაკი იმალდებდა კვალიფიციაციას. აქედან 100–200 ბიბლიოთეკარი რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის ბიბლიოთეკებიდან იყვნენ. ივლისი–აგვისტო დასვენების თვეები იყო, ამ დროს შენობას უტარდებოდა რემონტი.

– თქვენი მნიშვნელოვანი შრომები და სტატიები?

– გამოქვეყნებული მაქვს ოცდაათამდე შრომა და სტატია: „საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები“, „გავაუმჯობესოთ მასობრივი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტების საქმე“, „მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება მოთხოვნების დონეზე“, „სახელმძღვანელო მასალები საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე“ და სხვა.

– ბატონო გრიგოლ, დაფასდა თუ არა თქვენი ღვაწლი მთავრობის მიერ?

– კი. მიღებული მაქვს უამრავი ჯილდო, საპატიო სიგელი და სამკერდე ნიშნები, მედლები:

1961 წელს მომენიჭა საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება;

1971 წელს კი საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება.

– რას იტყვით ახლანდელი საბიბლიოთეკო განათლების შესახებ?

– კულტურის და განათლების სამინისტროებში ყველაფერი ნულზეა დაყვანილი. ამაზე კარგად წერს ქალბატონი გულნარა სტურუა.





საშინელებაა, რომ 3500–ზე მეტი ბიბლიოთეკა გაუქმდა, რომელ კადრებზეა ლაპარაკი? რეალურად არაფერი არ კეთდება, რომ ახალგაზრდობა წიგნისკენ შემოვაბრუნოთ. სამწუხაროდ, ილიას სახელობის უნივერსიტეტში მთლიანად გააუქმეს საბიბლიოთეკო ფაკულტეტი, სამწუხაროა ისიც რომ, უნივერსიტეტში გააუქმეს საბიბლიოთეკო საგნების შესწავლა, რომელსაც ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები გადიოდნენ პირველი კურსის პირველ სემესტრში.

– რა აზრის ხართ ჩვენს ჟურნალზე და როგორ შეაფასებდით მას?

– მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე პავლე კიკნაძესთან ერთად ვიბრძოდი საქართველოში საბიბლიოთეკო ჟურნალის დაარსებისთვის.

მოსკოვშიც კი ჩავედით, მაგრამ ვერაფერი მოვახერხეთ. მივალწიეთ მხოლოდ იმას, რომ დავაარსეთ მეთოდური სახელმძღვანელოების კრებული, რომელიც წელიწადში 4–ჯერ გამოდიოდა.

საბედნიეროდ, დღეს გამოდის თქვენი ჟურნალი. ეს უდიდესი საქმეა. ჯერჯერობით ამაზე უკეთესი არაფერი გაკეთებულა. მე პირადად დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ალექსანდრე ლორიას და ბატონ გურამ თაყნიაშვილს, რომლებიც ასე უანგაროდ ემსახურებიან ამ ჟურნალს და მუდმივად ზრუნავენ მისი შინაარსის მრავალფეროვნების საკითხებზე.

– ბატონო გრიგოლ, დიდი მადლობა! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას!

ღვაწლი დაუვიწყარი

იური სინარულიძე

**„ასე მეგონა უნს სკატაკ თვალს ვერ შეაკრთობდა სიკვდილი ბნელი“**  
(ქეთევან ირემაძის ბახსენება)

ხანმოკლე იყო ნიჭიერი ქართველი მწერლისა და კრიტიკოსის ქეთევან ირემაძის (1912–1945) ცხოვრება და შემოქმედება, მაგრამ მან მაინც ბევრი მოასწრო, 1931 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და ჩვეული სილალით შეუდგა სალიტერატურო მოღვაწეობას.

სულ მოკლე დროში შექმნა შესანიშნავი გამოკვლევები ისეთ სახელოვან ქართველ მწერალ ქალებზე, როგორც ბრძანდებოდნენ: ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ორბელიანი და ბარბარე ჯორჯაძე.

დიდად იღვანა ისტორიულ–ლიტერატურული ნარკვევების შესაქმნელადაც, რომელთა შორისაც გამორჩეულია „ჩერქეზი ქალი აისე“, „ქართველი ქალები“ და ზოგი სხვა.

ქ. ირემაძე ბრწყინვალედ ფლობდა ევროპულ ენებსა და მრავალი ევროპელი მწერალი დაუახლოვა საქართველოს. ასევე წარმატებით თარგმნიდა ქართველ მწერლებსაც. ამ მხრივ მან განსაკუთრებით პატივი დადო ეგ-

ნატე ნინოშვილს, რომლის მოთხრობებიც რუსულად თარგმნა.

ახალგაზრდა მწერალმა ბედი რომანშიც სცადა და დიდი წარმატებითაც. ეს რომანი ქეთევან წამებულს ეძღვნება და შთამბეჭდავადაც ასახავს გმირი დედოფლის სამაგალითო ცხოვრებას.

ასე დიდად დატვირთულმა მწერალმა და კრიტიკოსმა არც ჭოლა ლომთათიძე დატოვა უყურადღებოდ და უაღრესად საინტერესო კრიტიკულ–მეცნიერული გამოკვლევა უძღვნა ნიჭიერ და წამებულ მწერალს.

ქ. ირემაძე სრულიად ახალგაზრდა (33 წლისა) იმსხვერპლა ავმა სენმა, თორემ ის ჭოლასთან ამ ერთი შეხებით არ დაკმაყოფილდებოდა და. როგორც მისი ახლო მეგობარი, პროფესორი ქსენია სინარულიძე (1909–1977) იგონებდა, მასზე უფრო ვრცელი გამოკვლევის შექმნას აპირებდა თურმე.

უმშვენიე რესი ქალბატონის მაღალნიჭიერი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა და მის სა-





ლიტერატურო ნაშრომებს საგანგებო წერილები უძღვნეს ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებმა.

მის დაკრძალვაზე სიტყვები წარმოთქვეს დემნა შენგელაიამ და გიორგი ლეონიძემ, ხოლო სანდრო ეულმა წაიკითხა განსვენებული-სადმი მიძღვნილი ლექსი.

ასობით სამძიმრის დეპეშებიდან ზოგიერთი ვერის ახალ პანთეონში შეკრებილ საზოგადოებას მწერალმა სანდრო შანშიაშვილმა გააცნო. ამათ შორის იყო აკადემიკოს კორნელი კეკელიძის, მწერალ პარმენ ლორიას, მწერალ ნინო ნაკაშიძის, ლიტერატურათმცოდნის ალექსანდრე ჩავლეიშვილის და მრავალ სხვათა დეპეშები. იმავე წელსვე, თბილისს დაიბეჭდა ქ. ირემადის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილების, სიტყვების, მოგონებებისა და ლექსების კრებული, რომელშიც შესულია მარიამ გარიყულის, აკაკი განწერელიას, სერგო კლდიაშვილის, მაყვალა მრეველიშვილის, გიორგი ნატროშვილის, ქსენია სიხარულიძის და სხვათა წერილები.

საკმაოდაა ლექსებიც.

პირველი იოსებ ნონეშვილის ლექსი, („ქეთევან ირემადე“), რომელიც საოცრად შთამბეჭდავად იწყება:

„ეს გახსენება ახლა სულ სხვაა –  
პროსპექტზე მიდის მაღალი ქალი.  
ნეტავ ეს მისი მარაოს ხმაა,  
თუ ნაღვლიანად შრიალებს ქარი...“

ამას მოსდევს დავით გაჩეჩილაძის ლექსი „რად უდროოდ გესალამოვა“

„ან მშვიდობით! რა უდროოდ გესალამოვა!  
ეკალთა და ნამთა შორის ია ამოვა,  
და ჩვენ ვიტყვით: აი, ცისფრად  
გაიციმციმა  
ტკივილთა და ცრემლთა შორის  
შენმა სიცილმა“.

ამ გულის შემძვრელ ლექსთა პათოსს კიდევ უფრო აღრმავებს ვერა შუბლაძის ბრწყინვალე ლექსი:

„ასე მეგონა, შენს სპეტაკ თვალებს  
ვერ შეაკრთობდა სიკვდილი ბნელი,  
და გაზაფხულის ოქროს დაღალეებს  
კვლავ გაგიშლიდა ზეცის ნათელი;

კვლავ შეგხვდებოდა აგ ზნებულ ხმებით  
ფაფარაშლილი ქვიშხეთის ქარი,  
ქვიშხეთის გზები, ქვიშხეთის მთები  
და გადაშლილი შორს ტაშისკარი“...

და შემდეგ:

„დაგტირით, რადგან ნათელ განთიადს  
ვერ შეახვედრე მგზნებარე გული,  
სადაც ჯერ კიდევ სხივად ანთია  
შენი სიცოცხლე და სიყვარული“.

ქ. ირემადეს არც შემდგომ მოკლებია ქართველ მწერალთა, მეცნიერთა, ხელოვანთა თუ სხვათა ყურადღება.

ამჯერად მხოლოდ ერთს, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლა უნივერსიტეტი) გამართულ სალიტერატურო საღამოს გავიხსენებთ:

საღამოს უძღვებოდა პროფესორი ნელი დუმბაძე. მოხსენებით გამოვიდა პროფესორი ალექსანდრე ჩავლეიშვილი, სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: პროფესორი პავლე ნაცვლიშვილი, ამ სტრიქონების ავტორი, სტუდენტი გიორგი სიხარულიძე და სხვები.

ასეთი საღამოები არც თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისათვის იყო იშვიათი.

ჯერი ახლა ახალ თაობაზეა.

მიმდინარე წელს 65 წელი სრულდება დაუვინყარი ქ. ირემადის გარდაცვალებიდან. ხოლო ორი წლის შემდეგ, ასი წელი დაბადებიდან.

ისეთ ღირსეულ და მრავალმხრივად მომადლებული ნიჭით აღსავსე შვილებს, როგორიც ქეთევან ირემადე ბრძანდებოდა, მშობელი ხალხი მუდამ სიყვარულით გაიხსენებს.



ზემოთხსენიებული ტყაბლაძე,  
მზია ტომონიძე

## ამაგდარი პროფესიონალი

ეთერ თოხაძე – ამ ქალბატონის წარმოდგენისას თვალწინ დაგვიდგება ქართველი ქალის იდეალური სახე-თავისი მომხიბლავი გარეგნობით, კდემამოსილებით, სულიერი სიმდიდრით, გონიერებით, განათლებით, პროფესიონალიზმით. მისი დანახვისას ვერ წარმოიდგენთ, რომ 8 ათეულ წელიწადს გადაცილებულია, იმდენად მხნედ და ენერგიულად გამოიყურება. თავის პროფესიაზე საუბრისას თვალები სიხარულით ევსება და იმ წლებს სიამაყითა და ამავე დროს ნაღვლიანად იხსენებს, რომლებიც უკვე ჩავლილია.

ქ-ნი ეთერი თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში დაიბადა. მამა ეკონომისტი, დედა – მეან-ბეობიაქალი. 1930 წელს შევიდა თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლაში, რომელსაც „მიხეილ ზანდუკელის“ სკოლას უწოდებდნენ. რაკი ამ სკოლის დირექტორი პროფ. მიხეილ ზანდუკელი იყო, ძველი დროიდან ამ სკოლაში ბევრი ცნობილი პიროვნება აღიზარდა: გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, ივ. ჯავახიშვილი, ალ. ცაგარელი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე მაჩაბელი, ზაქარია ფალიაშვილი, კოტე მარჯანიშვილი და მრავალი თანამედროვე აკადემიკოსი და პროფესორი. სკოლა ყოველთვის დაკომპლექტებული იყო ცნობილი პროფესიონალი პედაგოგებით: გუგული მესხი, ცეცილია ლორთქიფანიძე, ელენე და ილია სიხარულიძეები, ნინო ვარდიანაშვილი, ეკატერინე ყანჩაველი, არჩილ ბაქრაძე, დავით დონდუა, ივანე ნიჟარაძე, რომელიც ამავე დროს ქ-ნ ეთერის მამის მასწავლებელიც გახლდათ ვაჟთა II გიმნაზიაში. მათმა შრომამ უდიდესი შედეგები გამოიღო, რაზეც მეტყველებს ის სახეები და მალაკვალიფიციური სპეციალისტების მთელი თაობები.

ქალბატონ ეთერის სკოლაში სწავლის პერიოდი დაემთხვა გიმნაზიის გადატანას თსუ შენობის I კორპუსში, რამაც განაპირობა ქ-ნ ეთერის სწავლა უნივერსიტეტში, 1940 წელს ეთერ თოხაძე შევიდა თსუ ახლადგახსნილი ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე. აქ უკითხავენ მას ლექციებს აკადემიკოსები: ნიკო ჩუბინაშ-

ვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვები. დიდი სამამულო ომის დაწყებისას ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტი შეუერთეს საქართველოს ისტორიის ფაკულტეტს, რომელსაც ქ-ნი ეთერი 1946 წელს ამთავრებს „წარჩინების დიპლომით“, იგი მაინც თავის მიერ არჩეული ხელოვნების ისტორიის სპეციალობის ერთგულია და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იღებს კონსულტაციებს აკად. შ. ამირანაშვილისაგან, რადგან ოცნებობს ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაზე ხელოვნების ისტორიის განხრით, მაგრამ ოცნება ვერ აისრულა, რადგან შესაფერისი ვაკანსია იმ წელს არ გამოიყო, წარჩინებულ სტუდენტებს მაშინ არ ანაწილებდნენ, ქ-ნი ეთერი ფაკულტეტის დეკანის – პროფ. იასე ცინცაძის რჩევით, დროებით მუშაობას იწყებს თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, რომლის დირექტორი იმ დროს ვლადიმერ მგალობლიშვილი იყო. ქალბატონი ეთერი, რადგან მხოლოდ ერთი წლით აპირებდა ბიბლიოთეკაში მუშაობას, ვერ იქნა კეთილგანწყობილად მიღებული ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგის – ტასო კასრაძის მიერ. ფიქრობდა, რომ ეს მშვენიერი ქალიშვილი ზედაპირულად მოეკიდებოდა საქმეს მაგრამ სულ მოკლე ხანში ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგემ ქალბატონი ეთერი თავის განყოფილებაში გადაიყვანა სამუშაოდ. „ერთი წლით“. ბიბლიოთეკაში სამუშაოდ მოსული პიროვნება ისე გაიტაცა საბიბლიოთეკო საქმიანობამ, რომ აქ 61 წელი დაჰყო. იგი ბიბლიოთეკაში მუშაობდა საბიბლიოთეკო საქმის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ტასო კასრაძე, გიორგი ბაქრაძე, დევი აბაშიძე, პოლიხრონ ცინცაძე, ლუსი კალამგაროვა და სხვები. მათ თავისი პროფესიონალიზმით, გულისხმიერებით, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით მოახერხეს, რომ ქ-ნ ეთერს თავის ოცნებაზე – ასპირანტურაში ჩაბარებაზე ააღებინეს ხელი, სურდათ, ის ბიბლიოგრაფიის საფუძვლებით დაინტერესებულიყო და სამუდამოდ ამ დარგში ემუშავა.

ამ პერიოდს დაემთხვა ქ-ნ ეთერის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი: თავისი ცხოვრება დიდი სამამულო ომიდან დაბრუნებულ ახალგაზრდას – იურიდიული ფა-



კულტეტის სტუდენტს, უნივერსიტეტის საქმეთა მმართველს არჩილ თოხაძეს დაუკავშირა. მათ 1949 წელს შეეძინათ ვაჟი – არჩილ თოხაძე, რომელიც ამჟამად უკვე ბაბუაა. მას და მის მეუღლეს – დოდო სულაძეს დღეს ჰყავთ ქალიშვილი და შვილიშვილები; ასე რომ, ქ-ნ ეთერი დიდი ბებიაა. მას ტრადიციული ქართული ოჯახი სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

ქ-ნ ეთერის ბიბლიოგრაფიით გატაცებასა და დაუფლებაში დიდი როლი ითამაშა ტასო კასრაძემ, რომელიც საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ მიწვეულ იქნა პედაგოგიურ



ინსტიტუტში. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე, ხოლო მისი ადგილი დევი აბაშიძემ დაიკავა. 1960 წლიდან კი ამ განყოფილების გამგედ ეთერ თოხაძე ინიშნება. 1974 წელს თსუ რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა იხმო ის თავისთან და ბიბლიოთეკის მომავალი დირექტორი შოთა აფაქიძე წარუდგინა და დასძინა, რომ მოადგილედ სამეცნიერო დარგში მარია ლორთქიფანიძისა და ოთარ ჯაფარიძის რეკომენდაციით გადაწყდა, რომ ის უნდა დანიშნულიყო. ქ-ნ ეთერი ამან ძლიერ შეაფიქრინა, მას აკრთობდა ის, რომ სხვადასხვა დროს აქ დირექტორებად იყვნენ ისეთი

ბუმბერაზი პიროვნებები, როგორც გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, შალვა ნუცუბიძე, და ახლა დირექტორის მოადგილეობა უდიდეს პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული, მისმა თავმდაბლობამ უარი ათქმევინა ამ თანამდებობაზე, სანამ თანამშრომლებს არ დაეთათბირა, მართლაც მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა ეს ადგილი დაეჭირა.

ბ-ნმა შოთა აფაქიძემ და ქ-ნმა ეთერ თოხაძემ 30 წლის მანძილზე ერთად ითანამშრომლეს და მართეს თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა 10 დარგობრივი საფაკულტეტო ფილიალებით,

მათი ხელმძღვანელობის დროს ბიბლიოთეკა გადავიდა სპეციალურად აშენებულ შენობაში უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან, აქ უკვე, სადაც 4 მილიონამდე ერთეული იყო თავმოყრილი, ქ-ნ ეთერის აქტიური მონაწილეობით სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი სტრუქტურა შემუშავდა.

ბიბლიოთეკა ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას, გამოდიოდა სამეცნიერო ნაშრომები საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის საკითხებზე. ბიბლიოთეკის ბაზაზე ტარდებოდა თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ქ-ნი ეთერის მუშაობის პერიოდში უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის I და III კურსებზე ისწავლებოდა ბიბლიოთეკების ისტორია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ბიბლიოგრაფიული წყაროებისა და საძიებლების გამოყენების მეთოდიკა. ამ სავალდებულო ლექციებს კითხულობდნენ ბიბლიოგრაფიული განყოფილების თანამშრომლები.

ბიბლიოთეკასთან ჩამოყალიბებული იყო სამეცნიერო საბჭო, რომლის თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ უნივერსიტეტის პრორექტორები: მათე მირიანაშვილი, სერგი ჟღენტი, სერგო ჯორბენაძე, სოლომონ ხუციშვილი, ნოდარ კეკელიძე და სხვები. ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობდნენ არა მარტო საქართველოში მოღვაწე მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, უცხოელი ქართველოლოგებიც, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ უნიკალური ქართველოლოგიური ლიტერატურით, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ესენი იყვნენ: დევიდ ლენგი, ალისა ჰარისი, ლუიჯი მაგაროტი, ჰაინც ჰენრიხი და სხვ. ეს უკანასკნელი გამოსცემდა ჟურნალ „გეორგიკას“ ქართულ ენაზე და გაზეთ „კავკასიას“ გერმანულ ენაზე. მათ მიერ მრავალი ქართველი მეცნიერის ნაშრომი ითარგმნებოდა უცხო ენებზე.



თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მეთოდური ცენტრი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა როგორც საქართველოს, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის, აგრეთვე საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებთან. ეთერ თოხაძეს მიღებული აქვს მონაწილეობა მოსკოვის, ვილნიუსის და სხვა ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონცერენციებში. გარდა ამისა, მას დირექტორთან ერთად აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული პირველი „საბიბლიოთეკო კანონის“ პროექტის დამუშავებაში.

ქალბატონი ეთერი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, იგი 50-მდე სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული ნაშრომის ავტორია. მათ შორის 2 მონოგრაფიისა, შედგენილი აქვს: ფილიპე გოგიჩაიშვილის, შალვა ნუცუბიძის, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა ბიობიბლიოგრაფიები. უცვლელი რედაქტორი იყო თსუ შრომების ბიბლიოგრაფიისა, „ქართულ ენციკლოპედიაში“ გამოქვეყნებული აქვს სტატიები: „თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა“ და „თსუ ფუნდამენტური ბიბლიოთეკა“. ეს ქ-ნ ეთერ თოხაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მხოლოდ მცირე ნაწილია. აღსანიშნავია აგრეთვე ქ-ნ ეთერის აქტიური მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ასოციაციების მიერ ჩატარებულ კონფერენციებსა და სემინარებში, მათგან აღსანიშნავია მივლინება ჩეხოსლოვაკიაში – ბრატისლავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ბიბლიოთეკაცმოდნეობის და ბიბლიოგრაფიის კათედრის გამგემ ნ. ლორთქიფანიძემ ის მიიწვია კათედრაზე მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. ეს თანამშრომლობა დიდხანს გაგრძელდა. ქ-ნი ეთერი იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრი ბიბლიოთეკათმცოდნეობაში, ხოლო შემდგომ 1997 წლიდან 2005 წლის ჩათვლით იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. ეს თანამშრომლობა კათედრასთან შემდგომშიც გაგრძელდა, სანამ, სამწუხაროდ, ჯერ კათედრა და შემდგომ ფაკულტეტი არ გაუქმდა, რაც, ჩვენი აზრით, დიდ ხარვეზებს შექმნის მომავალი თა-

ობების სპეციალისტთა აღზრდის საქმეში.

ეთერ თოხაძე უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო თსუ „ამხანაგური სასამართლოს“ წევრი, ხელმძღვანელობდა თეატრალიზებულ დადგმას „შეხვედრა მემკვიდრეებთან“, იყო უნივერსიტეტის „ქალთა საბჭოს“ წევრი, არ შეიძლება არ აღინიშნოს ქ-ნ ეთერის ნიჭიერების და განათლების ის სფერო, რომელსაც იგი „ჰობს“ უწოდებს. ეს არის საბაშვო მოთხრობების თარგმანები, რომელიც იბეჭდებოდა საყმაწვილო ჟურნალ „პიონერში“. ასეთი ნაყოფიერი მუშაობის აღსანიშნავად მას მიღებული აქვს საპატიო ნოდებები და ჯილდოები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1966 წელს მინიჭებული „საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის“ და 1971 წელს მინიჭებული „საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ ნოდებები, 1978 წელს საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროსაგან მიღებული აქვს „სამკერდე ნიშანი“, 1998 წელს თსუ 80 წლისთავთან დაკავშირებით – საქართველოს პრეზიდენტის „მადლობის წერილი“, ხოლო 2001 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

ვერავითარი ჯილდოები ვერ აინონის იმ საერთო სიყვარულს, რომლითაც გარემოცულია ქალბატონი ეთერი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. „ნათელმოსილი ქალბატონი“ – ასე უწოდებს სტუდენტი შალვა ძიძიგური თავის წერილში, ქალბატონ ეთერ თოხაძეს, და არ შეიძლება არ დაეთანხმო მას, მაგრამ არ შეგვიძლია არ ავლენიშნოთ ის გულისტკივილიც, რომელიც გამოიწვია მასში 2005 წლის 12 ივლისს გამოცხადებულმა თსუ რეორგანიზაციამ, რომლის გამო ქალბატონმა ეთერ თოხაძემ დატოვა მშობლიური უნივერსიტეტისა და იმ ბიბლიოთეკის კედლები, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შესწირა.

ვთვლით, რომ მისი გამოცდილება, ცოდნა და პროფესიონალიზმი დღესაც გამოადგებათ ახალგაზრდა კოლეგებს, თუნდაც „კონსულტანტის“ რანგში. ჩვენ კი მისი კოლეგები ამ კეთილშობილ ქალბატონს და ამაგდარ პროფესიონალს ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და უშრეტ ენერგიას, რომელსაც წლებმა ვერაფერი დააკლო.



## მოგონება

ოთარ ოსაძე

## ახლანდელი გადასახედიდან\*

(ამონარიდები მოგონებებიდან)

## საჯარო ბიბლიოთეკაში

წინა წერილი იმით დავასრულე, რომ 1953 წელს მე და ლევან კვირიკაშვილი, სხვა თანამშრომლებთან ერთად, სამუშაოდ საჯარო ბიბლიოთეკაში მიგვიღეს, მაშინ ბიბლიოთეკის დირექტორი პოეტი სანდრო ეული იყო, მაგრამ ბიბლიოთეკის მთელ საქმიანობას მისი მოადგილე ნიკო ლორთქიფანიძე განაგებდა, ახალი თანამშრომლების სამუშაოდ სხვადასხვა განყოფილებაში გადანაწილება, ცხადია, მისი ხელდასხმით მოხდა. მე და ლევანი მან დამუშავების განყოფილებაში გაგვანესა, შემდეგში უკვე ცნობილი სპეციალისტები – რეზო გორგილაძე და ამირან ცამცამიშვილი ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში გაუშვა, კლარა რამიშვილი ქართველოლოგიის განყოფილებაში და ა.შ. დამუშავების განყოფილების გამგე იყო დიდი გამოცდილების მქონე, ხანდაზმული ქალბატონი ბეკ-ოსიპოვა; სხვებთან ერთად აქ მუშაობდა ასევე გამოცდილი პროფესიონალი გრიბაზნოვა. თავიდანვე ვიგრძენი, ამ განყოფილებაში ჩვენი გამოჩენა მათ დიდად არ ეამათ, რაც შემდეგში იმით გამოიხატა, რომ მთავარ სამუშაოს – წიგნების კლასიფიკაციას ჩვენ არ გვენდობოდნენ და უფრო ე.წ. „შავ“ სამუშაოებს გვაკეთებინებდნენ. აქ მხოლოდ რამდენიმე თვეს დავყავით, რადგანაც ახალი „საქმე“ გამოჩნდა, რაც ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ მალე ლავრენტი ბერიაც მოიშორეს. ამასთან დაკავშირებით, „მთავლიტის“ მითითებით (შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიტერატურის მთავარი სამმართველო) ბიბლიოთეკებს მკითხველებზე არ უნდა გაეცათ ისეთი წიგნები, რომლებშიც ბერიას სახელი იყო რაიმე სახით ნახსენები, ხოლო შემდეგ ზოგიერთი მათგანი სულაც ამოეღოთ ფონდებიდან. სწორედ ამის გამო მე და ლევანი წინგსაცავში გადაგვიყვანეს და დაგვსვეს ე.წ. „კონტროლიორებად“. ჩვენი მოვალეობა

იყო, მკითხველების მიერ ყველა მოთხოვნილი წიგნი გულდასმით გადაგვეჩხრიკა, რომლებიც ბერია, ასე თუ ისე, მოხსენებული იყო (მისი ციტატა, ლექსი ან რაიმე სხვა მისდაგვარი). ასეთ შემთხვევაში წიგნი არ უნდა გაცემულიყო მკითხველზე. ისეთი წიგნები, რომლებშიც ბერიას სახელობის რომელიმე დანესებულება იყო მოხსენებული (ვთქვათ, ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი) მისი დასახელება უნდა წაგვეშალა და ისე გაგვეცა მკითხველებზე. მე და ლევანი ამ „საქმესაც“ რამდენიმე თვის განმავლობაში პირნათლად ვასრულებდით.

შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში კვლავ ახალმა გარემოებამ იჩინა თავი. ის მეთოდკაბინეტი, სადაც ჩვენ ადრე დავინყეთ მუშაობა, თავისივე შტატით საჯარო ბიბლიოთეკას შეუერთეს და ბატონმა ნიკომ მე და ლევანი ბიბლიოთეკაში ახალშექმნილ მეთოდურ განყოფილებაში სამუშაოდ გადაგვიყვანა. განყოფილების გამგე ფილიმონ ყურაშვილი იყო, რომელიც მანამდე საკლუბო მუშაობას მეთოდკაბინეტის დირექტორად მოღვაწეობდა, ეს მეთოდკაბინეტიც მაშინ გააუქმეს და ცენტრალური კულტურის სახლს შეუერთეს.

დაახლოებით სამი წელი დავყავი საჯარო ბიბლიოთეკის მეთოდურ განყოფილებაში და ამ ხნის განმავლობაში ბევრი საინტერესო რამ ვნახე, გავიგე, ვისწავლე, ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე. სადაც ადრე არ ვიყავი ნამყოფი, ის რაიონები და სოფლები შემოვიარე, ბევრი კოლეგა გავიცანი და დავიმიეგობრე. არ დარჩენილა ისეთი რაიონი საქართველოში, რომ იქ ნამყოფი არ ვიყვე და ახლობელი არა მყავდეს. განსაკუთრებით ხშირი მიმოსვლა სამეგრელოს რაიონებში მქონდა.

ამ მოგზაურობებიდან ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი და გასახსენებელი. მაგრამ მასზე საუბარი ძალზე შორს წაგვიყვანს,



თუმცა სამეგრელოში ყოფნასთან დაკავშირებით ზოგიერთი რამ მაინც მოკლედ უნდა გიამბოთ, აქ მე და ლევან კვირიკაშვილი თითქმის ერთი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდით წალენჯიხაში, საქმე იმაში იყო, რომ სარაიონო ბიბლიოთეკის გამგემ ჩიტო თვალთაძემ იქ მიგვიწვია ამ ბიბლიოთეკის ფონდების დამუშავებასა და სისტემაში მოყვანის მიზნით. მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაკები, რაც მათთვის ერთგვარ პრაქტიკას ნიშნავდა, ცხადია ისიც, რომ ამ საქმიანობამ ჩვენც საკმაოდ დიდი გამოცდილება შეგვიძინა.

მეორე, რაც ასევე ღირსია მოგონებისა, კვლავ სამეგრელოსთან არის დაკავშირებული – როცა რამდენიმე დღით, კულტურის სამინისტროს სპეციალური დავალებით, ზუგდიდში მომიხდა ყოფნა. საქმე იმაში იყო, რომ სარაიონო ბიბლიოთეკის ახლადდანიშნულ გამგეს (მაშინ ბიბლიოთეკის დირექტორობა შემოღებული არ იყო) შეუმონებია რა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, აღმოუჩენია დაახლოებით სამი ათასი მანეთის ღირებულების წიგნების დანაკლისი და ამ დანაკლისის შესახებ წერდა იგი სამინისტროს და მოითხოვდა პენსიაში გასული ყოფილ გამგეს რაღაც ფორმით დაეფარა ეს დანაკლისი. სწორედ ამ საქმის გასარკვევად გამგზავნეს ზუგდიდში. ჩვენთვის საქმის გაცნობამდე ნათელი იყო, რაღაც გაუგებრობასთან რომ გვქონდა საქმე და არა წიგნების განიავებასთან, რადგანაც ამ ბიბლიოთეკაში ადრეც ვიყავი ნამყოფი, კარგად ვიცნობდი ბიბლიოთეკის თანამშრომლებსაც

და მის გამგეს, კეთილშობილ ქალბატონ ქეთევან ცხონდიას. გავარკვიე, რომ წიგნების „დანაკლისი“ გამოწვეული იყო წლების განმავლობაში მკითხველების მიერ დაკარგული წიგნების სანაცვლოდ მიღებული წიგნების არასწორი აღრიცხვის გამო,

ცხადია, ეს ბიბლიოთეკის საქმიანობაში სერიოზული შეცდომა იყო, მაგრამ არა იმდენად მძიმე, რომ ბიბლიოთეკის ყოფილ გამგეს მატერიალური პასუხისმგებლობა დაკისრებოდა და არარსებული დანაკლისის ღირებულება დაეფარა. ბიბლიოთეკის ახალ გამგეს, აგრეთვე

თანამშრომლებს, აფუხენი, თუ როგორ გამოსწორებულიყო ეს ნაკლი, ხოლო თბილისში დაბრუნებულმა ვრცელი მოხსენებით ბარათი წარუდგინა სამინისტროს.

სხვა დროსაც სამინისტროს დავალებით ხშირად გვინევდა რაიონში წასვლა. ერთხელაც მე და ვახტანგ მაისურაძეს, რომელიც სამინისტროში მუშაობდა, დაგვავალეს მოგვემზადებინა მასალები ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) რაიონის სოფ. ნა-



ტანების ბიბლიოთეკის შესახებ, რომელიც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე უნდა ყოფილიყო. მე და ვახტანგმა რამდენიმე დღეს დაფყავით ნატანებში, საკმაოდ ვრცელი და დოკუმენტური მასალები დავაგროვეთ, რომელიც შემდეგში გაიგზავნა მოსკოვში, შედეგად ბიბლიოთეკის გამგე აგრაფინა ლელეყვა დაჯილდოვებულ იქნა საპატიო მედლით. აქვე ნატანებში ჩვენს ყოფნას დაემთხვა ნატანებისა და სომხეთის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობების მეგობრობის დღეები. იქ ჩამოსული



იყვნენ სომეხი მეგობრები ოქტომბერიანის რაიონის რაიკომის მდივნის ხელმძღვანელობით, მასპინძლები კი იყვნენ მახარაძის მაშინდელი რაიკომის მდივანი შოთა ჭანუყვაძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძე. მეტად საინტერესო შეხვედრების მონაწილენი გავხდით. ბოლოს გამოსათხოვარ ბანკეტზე მე და ვახტანგი, როგორც საპატიო სტუმრები, მიგვიწვიეს. დავბერდი კაცი და როგორი სუფრაც მაშინ იქ იყო, მას შემდეგ არსად არ მინახავს.

სამინისტროს სხვა დავალებათა შორის აღნიშვნის ღირსია ჩემი მონაწილეობა ხალხური შემოქმედების რესპულიკური ოლიმპიადების მზადებასა და ჩატარების დროს. რაიონებში წინასწარ ტარდებოდა შესარჩევი კონკურსები, რისთვისაც ადგილებზე იგზავნებოდნენ სამინისტროს წარმომადგენლები ყიურის წევრებად, ამ ფუნქციის შესრულება მეც მერგო წილად კასპისა და ქარელის რაიონებში.

ერთი, „არაპროფესიული სამუშაო“ საჯარო ბიბლიოთეკისათვისაც მომიხდა, ბიბლიოთეკის დირექტორის დავალებით მარელისის ავეჯის ფაბრიკიდან ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი სკამები ჩამოვიტანე, ეს „შავი“ სამუშაო მაინც სასიამოვნო დარჩა – რადგანაც სკამებით დატვირთული ავტომანქანით მაშინ პირველად ვნახე წიფის გვირაბის თავზე გადმოვლით უმშვენიერესი მხარე, სადაც არასდროს ნამყოფი არ ვყოფილვარ.

ცხადია, წინასწარ არავინ არ ვიცით, რის ხილვას გვიქადის მომავალი – რა ახალ სანახაობებსა ახალ გარემოს, ახალ საქმიანობას; ჩვენ ცხოვრებას ხომ ბედი განაგებს, „ბნელია ბედისწერის გზა და სამანი“, – ნათქვამი აქვს ჩვენს დიდ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. ასევე დიდებული მწერალი ვასილ ბარნოვი ამბობს: „ბედის ვარსკვლავს იქ შეჰხვდები, სადაც არ ელიო“. მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს ვის არ გამოუთქვამს თავისი აზრი ბედისწერის შესახებ, აქ მხოლოდ ცნობილი შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ლექსიდან ერთ ამონარიდს შემოგთავაზებთ:

„ვინ რა იცის, სით დაბერავს ბედის ქარი, ან ცხოვრება ვის რა ოინს უკეთებს“.

სხვა დიდი მოაზროვნეების აზრებს რომ თავი ვანებოთ, გვინდა ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულის პოეტ რინოსი კვარაცხელიას ლექსი შემოგთავაზოთ:

„ბედი გვდევდა ავბედი,  
ვინ გადუვა განგებას,

არვინ იცის ამქვეყნად  
ვის თავს რა გადახდება...

ვინ სად მიჰყავს – ვინ იცის,  
წუთისოფლის მეზორნეს,  
ვინ გაიგოს რამდენი  
შენს ბედს გაიმეორებს“

ჰოდა, რასაც არ ველოდი, „წუთისოფლის მეზორნემ“, თუმცა დროებით, მაგრამ სულ სხვა საქმიანობაში გადამისროლა 1954 წელს, ჩემდა მოულოდნელად, სამხედრო კომისარიატში საზღვაო შეკრებაზე წასვლა მიბრძანეს. არავითარმა შუამდგომლობამ არ გაჭრა და იძულებული გავხდი, წავსულიყავი. ოცამდე თბილისელი ახალგაზრდა მატარებლით ჯერ ფოთში ჩავგიყვანეს, მერე გემში ჩავგსხეს და ბათუმისკენ გაგვამგზავრეს, იქვე ქალაქის ზემოთ, გორაკზე, სოფ. ურეხში სამხედრო-საზღვაო ბანაკში დაგვაბინავეს. იქ სამი თვის განმავლობაში „გვწვრთნიდნენ“ რუსი საზღვაო ოფიცრები. იყო თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, ძირითადად საზღვაო ფლოტში მიღებული ტერმინოლოგიას გვასწავლიდნენ და, რაც მთავარი იყო, საზღვაო სიგნალიზაციას. მორიგეობით გვინევდა სამზარეულოში მუშაობაც, სადაც სხვა კერძების დამზადებასთან ერთად, ვისწავლე რუსული „უხოს“ მოხარშვაც. ისე რომ, სამი თვის შემდეგ, ივნისის ბოლოს, ახალ სპეციალობას („სიგნალშიკი“) დაუფლებული დაუბრუნდა ჩემს ძირითად საქმიანობას საჯარო ბიბლიოთეკის მეთოდურ განყოფილებაში.

საჯარო ბიბლიოთეკაში ყოფნა მხოლოდ 1956 წლამდე მომიწია. მაშინ უკვე მეთოდური განყოფილების გამგე იყო ჩემი საუკეთესო მეგობარი გრიგოლ (გრიშა) კიპაროიძე და მასთან ერთად არა ერთი და ორი რაიონისა და სოფლის ბიბლიოთეკა ვნახეთ და შევისწავლეთ. მისივე დავალებით დავწერე და დაიბეჭდა „სარაიონო ბიბლიოთეკის მეთოდური მუშაობა“. ხშირად ტარდებოდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და კურს-კონფერენციები.


1956 წლის ბოლოს ქალბატონმა გუია ბერულავამ, რომლის გვერდითაც საკმაო ხანს ვიმუშავე და ბევრი რამ ვისწავლე, მითხრა – მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური-სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს ვლადიმერ უზნაძეს სურს შენი ნახვა და მიდიო, თუ რატომ, ამის შესახებ საუბარი შემდეგში იყოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## კოლეჯიკა

ჟურნალის რედაქციას თხოვნით მოგვმართა პროფ. გიორგი სარაჯიშვილმა, რათა გამოვაქვეყნოთ მისი ღია წერილი მეცნიერ მუშაკების ქალბატონ შუქურა ინასარიძისა და ბატონ პაატა ქურდოვანიძისადმი. რადგანაც წერილი მწვავე პოლემიკური ხასიათისაა, ჩვენ ის გავაცანით ღია წერილის ადრესატებს. პაატა ქურდოვანიძემ მოგვანოდა საპასუხო სტატია. ორივე წერილს ვაქვეყნებთ რაიმე მნიშვნელოვანი სარედაქციო ჩარევის გარეშე.



## გიორგი სარაჯიშვილი

## რა ღმერთის წყრობაა, ანუ ღია წერილი ქალბატონ შუქურა ინასარიძეს და ბატონ პაატა ქურდოვანიძეს

მაინც, რა ბედი მოსდგამთ სარაჯიშვილებს, ოთხი საუკუნის წინათ გაჩენილ გვარში მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა ან ას წელს აღწევს ან სამოცს უახლოვდება. მათ ნაწილს შთამომავლობა ჰყავს, ნაწილი კი უშვილო რჩება. მეფის რუსეთამდე და მას შემდეგ, ბოლშევიკურ მთავრობამდე, მდიდარი და არისტოკრატი სარაჯიშვილების ოჯახები ღარიბებად აქციეს. მას აქეთ, ქართული ჯიშის, მაღალი და ვაჟშუკაცური გარეგნობის წარმომადგენლები წელში ველარ გასწორდნენ.

კომუნისტურ სამოცდაათწლიან ეპოქაში ვანო სარაჯიშვილის ხსენება შეიძლებოდა, ხოლო მისი ბიძაშვილის – დავითის, როგორც „მექარხნის“, „მსხვილი კაპიტალისტის“ სახელს ტაბუ ედო. დავითს და მის მეუღლეს – ეკატერინეს სამჯერ შეუცვალეს საფლავის ადგილი: ბერიას ბრძანებით, დიდუბის პანთეონიდან ვაკის სასაფლოზე, აქედან კი – ქაშვეთის ეკლესიის გალავანში.

ვანოს მიმართ ყურადღებას არ იჩენდა საზოგადოებარო რომ ითქვას, უხერხული იქნებოდა: არის ქუჩა, კონსერვატორია ვანოს სახელობის; დაკრძალულია ოპერის ბაღში, დგას მისი ბიუსტი სიღნაღში, სადაც დაიბადა, „ვანობა“ იმართებოდა; იქვე დგას ძეგლი, ზურაბ ანჯაფარიძის დიდი ძალისხმევით შედგება, ქართულ-რუსულ ენებზე არის ბიოგრაფია შალვა კაშმაძის დაწერილი; მისივე წიგნია – „გადატეხილი სალამური“.

ახალმა საქართველომ პატივი დავითს მიაგო. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ძეგლი დაუდგა; ნოემბრის თვეში აღინიშნება სახელობითი დღე; სასმელების მეფე – კონიაკის ბოთლების ეტიკეტებზეა გამოსახული; მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურს და ქუჩას მინიჭებული აქვს დავითის სახელი; არის წიგნები: 1911 წელს გა-

მოშვებულია „დავით სარაჯიშვილის სახსოვრად“ – ალექსანდრე სარაჯიშვილის შედგენილი; ბიოგრაფია – პროფ. არ. სტეფანიშვილის მიერ დაწერილი; ახალ დროს კი პროფ. გიზო ნიშნია-ნიძის „დავით სარაჯიშვილი“.

გასწორდა შეცდომა: სასტუმრო „თბილისში“ ამირეჯიბის პორტრეტის ქვეშ მიწერილი რომ იყო – „დავით სარაჯიშვილი“. ასევე უნდა გასწორდეს ბატონ ქურდოვანიძის ალბომში უცოდინარობით თუ სხვა მოსაზრებით დაშვებული შეცდომებიც.

შეცდომა 1. პაატა ქურდოვანიძე. ქართულ-აფხაზური ალბომი. 2008 წ. – გვ. 28. სურათი: №37.

1882–88 წლებში უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ შოთა რუსთაველის პომის – „ვეფხისტყაოსანის“ დასურათებაზე მუშაობა თბილისში და ქუთაისში „ცოცხალი სურათების“ დადგმით დაიწყო. რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თამარ მეფისათვის მირთმევა თბილისში დადგმული სცენის მიხედვით შეიქმნა. ზეთის საღებავებით შესრულებული ფერადი ტილო მხატვრის ერთადერთი სურათია 34 შავ-თეთრ სურათს შორის. იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების, სალიტერატურო მასალების მიხედვით, შოთა რუსთაველის პროტოტიპია ზიჩის მიერ უკონკურსოდ არჩეული 34 წლის ახალგაზრდა დავით სარაჯიშვილი.

„დროება“ წერდა: „წარსულს კვირას კიდევ გაიმართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ აავსო გული წარსულის ნეტარების მოგონებით!... იმ დროს მოგონებით, როდესაც იყო თამარ მეფე და მისი მშვენიერი ქვეშევრდომი რუსთაველი დიდებული! ნეტარება იმ მეფეს, რომელსაც ისეთი ქვეშევრდომნი ჰყოლებიან, რომელთა უაღრესი სურათებიც მთელი საუკუნოების შემ-



დეგ ალტაცებაში მოიყვანს არამც თუ საკუთარ შთამომავლობას, არამედ გარეშე პირებსაც. იმდენად მშვენიერნი იყვნენ ეს სურათები, რომ მტერი თუ მოყვარე, ქართველი, გერმანელი, თათარი – ყველანი ალტაცებაში მოიყვანა და ეს ალტაცება მარტო ტაშის კვრაში კი არ გამოიხატა, არამედ ჩუმს გატაცების, დამონების გამო, აკრძალულს „ბრავოს“ ძახილში. ამ უკანასკნელად გამართულს სურათებს კიდევ ერთი სურათი მიემატა: შოთა რუსთაველი დაჩოქილი მხარტმევეს თავის შრომას, თავის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანს“ თამარ დედოფალს. თამარ დედოფალი წარმოგვიდგინა მ. იოსელიანის ქალმა და შ. რუსთაველი დ. ზ. სარაჯიშვილმა. ორივენი ისე შვენოდნენ, ისე უხდებოდათ, ისე ლაზათიანი იყვნენ, რომ კაცის გული ნატრობდა ფარდის ჩამოშვების დაგვიანებას და რა ფარდა ხრილით წამოვიდოდა, მოუსვენარი ტაშის ცემა, როგორც მონყალებას, ითხოვდა, რომ კიდევ რამდენიმე წუთი დაეტკობ მაყურებელთა თვალი“ (გაზ. დრ. 1882, №39 – გვ. 1–2).

ბატონ ქურდოვანიძის მიერ „ქართულ-აფხაზურ ალბომში“ ზიჩის ფერადი სურათის – „მირთმევის“ დაბეჭდვა მკრეხელობაა და მეტი არაფერი. ეს „დავით სარაჯიშვილის“ ადგილზე სხვა გვარის ჩანაცვლებაა. „მირთმევის“ სურათი ალბომში უადგილოა და მისი ამოღება აუცილებელია, რადგან შთამომავლობას შეაცდენს და დაბნევისაკენ უბიძგებს. ავტორს „მირთმევის“ ფერადი ტილო არ უნდა დაებეჭდა ალბომში და ზიჩის მიერ ქუთაისში, „ცოცხალი სურათების“ სცენების დადგმის დროს „მირთმევის“ ფოტო მოეძია; ეს იქნებოდა აღმოჩენა, რადგან საზოგადოებისათვის უცნობია. მაშინ, ასეთ შემთხვევაში, ავტორის მიერ მოყვანილი ტექსტი იქნებოდა გამართლებული. ახლა კი ავტორმა თავი ჩაიგდო „არ ვიცოდის“ მდგომარეობაში.

დღევანდელ ყოფაში მყოფი მეცნიერისათვის სანატრელია მოიპოვო გრანტი (როგორც ამბობენ), ამ გრანტით მიიღო ჯილდოდ შარვაშიძის სახელობის პრემია (როგორც ამბობენ), დაუშვა შეცდომები დავით სარაჯიშვილთან დაკავშირებით, ღმერთის წყრომაა!

შეცდომა 2. 2002 წელს კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, ქალბატონმა შუქურა ინასარიძემ გამოსცა სამეცნიერო ალბომი: „საქართველოს მესურათხატენი“, რომელშიც შესულია 1850 წლიდან მოყოლებული 1921 წლამდე ფოტომასალა, რაც ინახება მუზეუმებში, არქივებში, გამოქვეყნებულ ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთებში. ქალბატონი შუქურა წერს: „ფოტო არა მარტო საილუსტრაციო მასალაა, არამედ სრულიად დამოუკიდებელი დოკუმენტი“. ფოტო რომ „დამოუკიდებელი დო-

კუმენტი“, ავტორს გამორჩენილი აქვს მხედველობიდან, რადგან „ქართულ-აფხაზური ალბომის“ 76-ე გვერდზე, №16-ტ პორტრეტს მინანერი აქვს: „გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის დეიდაშვილი კოსტანტინე ივანეს ძე მუხრან ბატონი“, ხოლო იგივე პორტრეტს ქალბატონ შ. ინასარიძის ალბომის 66-ე გვერდზე კი მინანერი აქვს: „დავით სარაჯიშვილი“. „საქართველოს მესურათხატენი“ მოთავსებული პორტრეტი ეკუთვნის ე. ბარკანოვს. ცნობილი ფოტოხელოვანი დავით სარაჯიშვილს პროფილში იღებს, ხოლო ბატონი ქურდოვანიძე „პრემირებული ალბომში იმავე ფოტოს ბეჭდავს, ვინ არის მართალი: „საქართველოს მესურათხატენის“ თუ „ქართულ-აფხაზური ალბომის“ ავტორი? ერთ-ერთმა ავტორთაგანმა საზოგადოებას უნდა მოუხადოს ბოდიში შეცდომისათვის: მუხრან ბატონის პორტრეტის დ. სარაჯიშვილთან გაიგივების გამო თუ დ. სარაჯიშვილის მუხრანბატონთან გაიგივებისათვის.

შეცდომა 3. „ქართულ-აფხაზური ალბომის“, გვ. 53-ზე, ფოტო №20-ს, მინანერი აქვს: „გიორგი (გუშა) ერისთავი“. ვინ იყო „გუშა“? ვეძებ: „დავით სარაჯიშვილის“ ბიოგრაფიაში, რადგან გიგუშა იყო დავითის უფროსი დის ეკატერინეს ვაჟიშვილი; შეიძლება ვიხილოთ ბაბო დადიანის მოგონებებში დუმინის წიგნში, ბატონი იური ჩიქოვანის თანადგომით რომ გამოიცა ქართველ თავად-აზნაურების შესახებ და კიდევ სხვაგან. პორტრეტის ქვეშ მინანერი ჩავთვალე კორექტურულ შეცდომად. ასე არ ყოფილა, რადგან ტექსტი წავიკითხე და იქაც „გუშა“ წერია.

ვერობელი ქართველები, ნაცნობი და უცნობი გიორგი ერისთავს „გიგუშას“ ეხადნენ. სურათზე (გვ. 53, ფოტო №19), ალბომში რომ არის ძმებ ტარსაიძეებთან ერთა., ერთ-ერთმა მათგანმა – ნიკა ტარსაიძემ გვითხრა: „ბიძია გიგუშა არაჩვეულებრივი გარეგნობის პიროვნება იყო“. ალბომის ავტორზე ამბობენ, 1992 წელს ლიტერატურულ მუზეუმში, თბილისში არეულობების დროს გამოფენა მოაწყოო.

„გუშა“ რომ არ ერქვა გიორგის, ნუთუ არავის უთქვამს? მაშინ რომ „გუშა“-ზე ლაპარაკი აღარ იქნებოდა? „გუშა“ შემდეგ „გაჩნდებოდა“ ალბომში, რადგან „გუშა“ რომ გიორგი არ არის, №20-ც პორტრეტს, ვერტიკალურად, გვერდზე შავმელნიანი კალმით, აწერია რუსულად – „Гигуша“, გადაღების წელი – 1902.

ჩვენი აზრით, ალბომის სათაური არ მიესადაგება წიგნის შინაარსს, რადგან ყოველი გვერდი გაყოფილია ორად: მარცხნივ ტექსტი აფხაზურ ენაზეა დაბეჭდილი, ხოლო მარჯვნივ – ქართულზე, ამიტომ ჭეშმარიტი იქნებოდა წიგნს დარქმეოდა „აფხაზურ-ქართული ალბომი“.





P. S. ოცდამეერთე საუკუნეში რეცენზენტის გარეშე წიგნი არ უნდა იბეჭდებოდა. ავტორებს რეცენზია, „მოსწრების“ გამო, არ უყვართ, „იმათ რა უნდა შემისწოროს, თვითონ არ იცის“ პრინციპით სარგებლობენ. იმას კი არ ფიქრობენ, რომ ამით სახეში „აბოლებენ“ მომავალ თაობებს. დღეს თუ არა, ხვალ გამოუჩნდება წიგნს მკითხველი, რომელიც დაშვებულ შეცდომებს აღმოაჩენს. მომისმენია საჯარო ბიბლიოთეკაში, თუ როგორ ულანძღავთ ასეთი ავტორები.

თავად თუ დამიშვია შეცდომა? საუბედუროდ მომსვლია უცოდინარობით და არა „შეცდომით გამეპარათი“. დღემდე მანვალებს ფიქრი: კერძო გამომცემელი მომცემს კი უფლებას, თავის გამოცემაში დაუთმოს ადგილი ჩემს „შეცდომას“? პრობლემა ეს არის.

– თქვენი თხოვნა მეგობრებო, ვერ შევისმინე – თქვენ მითხარით: „მეორე გამოცემის დროს გაასწორებთ“. დიახ, უნდა გაასწოროს ავტორმა, ამას მოითხოვს მორალი.

## პაატა ძურდოვანიძე

# პასუხი ბატონ გიორგი სარაჯიშვილს

ბატონო გიორგი!

ჭეშმარიტებას ბრძანებთ, როდესაც აღნიშნავთ, რომ განუზომელია სარაჯიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ღვაწლი და ამაგი ქართველი ხალხის წინაშე. დავით სარაჯიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, სამშობლოს ინტერესების დასაცავად თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი. სიმართლეა ისიც, კომუნისტური მმართველობის ეპოქაში ბატონი დავითის ქველმოქმედებაზე ღია საუბარი ოფიციალურად აკრძალული რომ იყო. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მის მშობელ ხალხს არასოდეს დავიწყებია ეს ამაგდარი პიროვნება.

„ალბომი“ ქართულ-აფხაზურ საზოგადოებრივ, ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობებს ასახავს. ეს კავშირები განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო XIX–ს II ნახევრიდან მოყოლებული XX–ს 20–იან წლებამდე.

ალბომში საგანგებო დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება იმ ფოტოსურათებს, რომელნიც სახელმწიფო სიძველეთა საცავებში თუ საოჯახო ალბომებში მოვიძიეთ. გეთანხმებით იმაშიც, რომ ფოტო „დამოუკიდებელი დოკუმენტია“ და მას წერილობითი წყაროს ტოლფასი მნიშვნელობა აქვს.

ცნობისათვის, ბატონო გიორგი: ყმანვილობის ასაკიდან ვაგროვებ საარქივო მასალებს. 2000–ზე მეტი უნიკალური ფოტო და ხელნაწერი მაქვს მოძიებული და გადარჩენილი.

ძალიან დამწყდებოდა გული, თქვენი შენიშვნა კონსტანტინე მუხრანბატონის ფოტოს შესახებ სიმართლეს რომ შეესაბამებოდა. აღნიშნული ფოტოსურათი ინახება გ. ლეონიძის სახ.



ქართული ლიტერატურის მუზეუმშიც (ფოტო №2243) და საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონო დოკუმენტების არქივშიც (აღბ. 272/11). ორივეს აქვს წარწერა – კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ–მუხრანსკი. იქვე არსებობს აღნიშნული პიროვნების სხვა ფოტოებიც (ლიტერატურის მუზეუმი – ფ. №3786, და კინოფოტოფონო არქივი – აღბ. 408/17). ჩვენს ალბომშიც არის მისი მეორე გამოსახულება (იხ. გვ. 95, ფ. 40, მარცხნიდან – მეოთხე). ამდენად, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ფოტოზე სწორედ კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონია გამოსახული (კ. ი. მუხრანბატონი – რუსეთის არმიის გენერალი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის გუბერნიის თავად–აზნაურთა მარშალი, ქველმოქმედი, მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ ეროვნულ დაწესებულებებს, ჰყავდა ბევრი სტიპენდიანტი, დიდი თანხა გაიღო ქართული გიმნაზიის შენობის (უნივერსიტეტი) ასაგებად...).

ამას გარდა, ფოტოზე გამოსახული პიროვნება რომ არ არის დავით სარაჯიშვილი, დაგვიდასტურეს: ბატონმა გიორგი ბრაილოვსკიმ. იგი გახლავთ დავითის დის ეკატერინე სარაჯიშვილი–ერისთავის შთამომავალი, და დავით სარაჯიშვილის ნათესავმა ქალბატონმა თამარ სარაჯიშვილმა.

რაც შეეხება შენიშვნას მიხაი ზიჩის ფერადი ილუსტრაციის შესახებ. მოგახსენებთ, მას აქვს წარწერა: მიხაი ზიჩი, შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“ მიათმევს თამარ მეფეს (ანუ, ზოგადად ზიჩის მიერ შესრულებული ილუსტრაცია, მანდ ხომ ქუთაისი არ არის აღ-



ნიშნული!) მართალია, სჯობდა მიგვეთითებინა, რომ ეს ნახატი შეიქმნა თბილისში დადგმული ცოცხალი სურათების მიხედვით. მაგრამ თქვენი ასეთი უარყოფითი რეაქცია გაუგებარია რა იყო ამაში „მკრეხელური“? თქვენს სურვილს,

წავიკითხე თქვენი წერილი და მან ჩემზე კეთილმოსურნე ადამიანის მიერ დაწერილის შთაბეჭდილება არ დატოვა...

უნდა მოგახსენოთ, რომ ალბომი მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში. რედაქტორი და შემდგენელი გახლავთ აღნიშნული ცენტრის თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნე ხათუნა ჭურღულია.

ალბომის წინასიტყვაობა ეკუთვნის ბატონ გიორგი ანჩაბაძეს. მან არაერთი საქმიანი შენიშვნა მოგვანოდა, რაც მუშაობის პროცესში გავითვალისწინეთ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონმა ხათუნამ შეკრიბა არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ჯგუფი და ჩვენ ერთობლივად შევეცადეთ შევხებოდით იმ რთულ და მტკივნეულ თემას, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები რომ ჰქვია. გაგვაერთიანა ამ საკითხისადმი მსგავსმა დამოკიდებულებამაც. აფხაზი და ქართველი კაცის მეგობრობის, ძმობის და ნათესაობის ტრადიციულ ჩარჩოებში აღდგენა მხოლოდ რუდუნებით, დიდი ტაქტიკითა და სიყვარულით არის შესაძლებელი. ამ ალბომის შექმნით ვეცადეთ მცირეოდენი წვლილი მაინც შეგვეტანა ამ საშვილიშვილო საქმეში.

„ქართულ-აფხაზური ალბომი“ მართლაც დაჯილდოვდა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიით, რომელიც მიიღეს ავტორმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა – რედაქტორმა და შემდგენელმა, მხატვარ-დიზაინერმა და აფხაზურ ენაზე მთარგმნელმა, ვფიქრობთ, ეს ჯილდო აღნიშნული ალბომის მნიშვნელოვან შეფასებად უნდა ჩაითვალოს.

ბატონო გიორგი, მეც მაქვს შენიშვნა, თუ ნებას მომცემთ, გაგაცნობთ. თქვენ წერთ: „... ამბობენ, 1992 წელს ლიტერატურულ მუზეუმში გამოფენა მოაწყო“. არ ვიცი, რას ამბობენ, მე კი შეგახსენებთ, ალბომის 45-ე გვერდზე მითითებულია, რომ 1999 წელს მქონდა პატივი გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში გამემართა ფოტოდოკუმენტების გამოფენა „გამარჯობა აფხაზეთო შენი“, რომლის მომზადებისათვის დიდი შრომა გასწიეს მუზეუმის თანამშრომლებმა და მუზეუმის დირექტორმა, ან განსვენებულმა ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ. გამოფენა წარმატებული იყო. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი გაზეთი, მას რომ არ გამოხმაურებოდა.

ბატონო გიორგი, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მსგავსი ალბომის შესაქმნელად დიდი შრომაა გასაწევი. თქვენ წიგნიერი ადამიანი ბრძანდებით და, მგონი, ეს არ უნდა იყოს შესახსენებელი.

*პატივისცემით*

*პაატა ქურდოვანიძე*



მოგვეცია ქუთაისში დადგმული ცოცხალი სურათების ამსახველი სხვა ფოტო, აუცილებლად გავითვალისწინებთ. მით უფრო, რომ შესაბამის მასალას უკვე მივაგენით.

შენიშვნას, რომ გიორგი ნიკოლოზის ძე ერისთავს ახლობლები გიგუშას ეძახდნენ და არა გუშას, ვპასუხობთ: ამ შემთხვევაში, ტექსტი ოდნავ ყურადღებით რომ წაგეკითხათ, შეამჩნევდით, რომ ჩვენ დავეყრდენით მერი შარვაშიძის ბიძაშვილის შვილის ქალბატონ მარინა მხეიძის მონათხრობს (ტექსტი ბრჭყალებშია ჩასმული). გაუგებარია, აგრეთვე, რატომ ეძებთ, ვინ იყო – „გუშა“, როდესაც სათანადო თავში მოცემულია მცირე მონაცემები გიორგი ერისთავის შესახებ და ოთხიდან მხოლოდ ერთ ფოტოზე ფრჩხილებშია მითითებული მეორე სახელი. ანალოგიური შენიშვნა (გიგუშა და არა გუშა) მივიღეთ გიორგი ერისთავის დის შვილიშვილისაგან ბატონი გიორგი ბრაილოვსკისაგანაც. ვეცდებით მომავალში გამოვასწოროთ ეს უზუსტობა.

ბატონო გიორგი, მერწმუნეთ, ყურადღებით






მოსწავლეთა შრომები

გვირაკი

თბილისის №31 ბიბლიოთეკა-ფილიალის ბიბლიოთეკარი

შრომით გავიარაღო



მაგრამ განსაკუთრებით მხატვრობისაკენ ავლენს მიდრეკილებას. იზიდავს მოგზაურობა, უცხო ადგილებში ფეხით სიარული, სურს საქართველოს ყველა კუთხე შემოიაროს. მოხდა ისე, რომ ერთად მოგვინია გასულ წელს ექსკურსია მანგლისის რაიონის გარეშემო; ვენეციის სოფ. მოხისს, მოვიარეთ ისტორიული ადგილები და ულამაზესი გარემო. ნათლად გამოჩნდა, რა დიდი გატაცება აქვს გიგის ამგვარი ბუნებისადმი.

ის ამჟამად ჩვენი ბიბლიოთეკის (31-ე ფილიალი) აქტივისტია, ამაზე მეტყველებს მის მიერ ამ ბიბლიოთეკაში გამართულ მხატვართა კონკურსში მონაწილეობა, შემდეგ კი მისი ნამუშევრების წარდგენა მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდულ ბიბლიოთეკაში გამართულ მხატვართა გამოფენაზე სახელწოდებით „ნიჭიერი“, სადაც გიგი ხომერიკის „ნატურმორტებმა“ ჟიურის მოწონება დაიმსახურა. ისინი გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში საქალაქო კონკურსში მონაწილეობისათვის. აქ მასთან ერთად სხვა ბიბლიოთეკების აქტივისტი მკითხველებიც გამოფენენ თავიანთ ნამუშევრებს.

გიგი ხომერიკი ჩვეულებრივი თანამედროვე ახალგაზრდაა, ის ჯერ მოსწავლეა, არც კი ჩამოყალიბებულა როგორც შემოქმედი მხატვარი და არც მკითხველი, თუმცა წიგნთან კარგა ხანია დამეგობრებულია, მაგრამ, როგორც ამ ასაკის ტიპიური მკითხველი, ძირითადად დეტექტიური რომანებითაა გატაცებული. თავდაპირველად ვერ დაიქანდა ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველობას, გვერდს უვლიდა მას, მაგრამ მისი საყვარელი ბუბის - ქალბატონ ნანული იოსელიანის დაჟინებით თხოვნითა და ჩვენი ბიბლიოთეკარების აქტიური ჩარევით, იგი, ბოლოს და ბოლოს, ბიბლიოთეკის მკითხველი გახდა.

გიგი მე-10 კლასის მოსწავლეა - ნიჭიერი, ზრდილი, გულისხმიერი, კეთილი, ნამდვილი გულანთებული პატრიოტი, მაგრამ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით ბუბიას მის მიმართ პრეტენზიები მაინც აქვს - მიაჩნიათ, რომ ის ინერტიული მკითხველია; ვით ყველა მისი ტოლი, გადამეტებულიადაა გატაცებული კომპიუტერით. ყმანვილს მრავალი საგნისადმი აქვს გამოსხატული ნიჭიერება - მათემატიკის, ლიტერატურის, უცხო ენების,

ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნებით მომსახურების ობიექტი კი არ არის, აქ შეიძლება მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება და საკუთარი შესაძლებლობებში დარწმუნება და დამკვიდრება.

გიგი ხომერიკი დღითი დღე სულ უფრო მეტად და მეტად უახლოვდება ბიბლიოთეკას, იმალეებს კითხვის კულტურას და ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველად გვევლინება. იმედს გამოვთქვამთ, იგი უეჭველად მიაღწევს იმას, რაც ამჟამად ოცნებად აქვს გადაქცეული - გახდეს ცნობილი მოღვაწე, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი მოქალაქე.



ალექსანდრე ლორია

## წიგნთან და ლექსთან განუყოფელი

წიგნი მისი განუყრელი მეგობარია, კითხვა – ყოველდღიური საქმე. წიგნები სახლში, წიგნები ბიბლიოთეკაში! სახელმძღვანელოებთან ერთად ჩანთაში მუდამ უდევს რამე წასაკითხი, გასართობი თუ შესაცნობი, ძალიან მოსწონს სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, უყვარს წიგნთან ჩაფიქრება, უცნობის მოძიება, გაურკვევლის გარკვევა. ცოდნის მიღება მისთვის დიდი სიხარულია. ეს იციან მისმა ხელმძღვანელებმა, ოჯახის წევრებმა, ამხანაგ-მეგობრებმა და ცდილობენ, ხელი შეუწყონ მისი ინტერესების დაკმაყოფილებას.

კომპიუტერს თავისი ასაკისათვის სრულყოფილად ფლობს, მაგრამ წიგნთან ურთიერთობა ურჩევნია. სწორედ წიგნის მეშვეობით ახერხებს მიიღოს ცოდნაც და ესთეტიკური სიამოვნება. ამიტომაც ბიბლიოთეკა მისთვის დიდი სულიერი ტაძარია.

ბათუმის №15 სკოლის VIII კლასელი გიორგი ჩავლეიშვილი წარჩინებული მოსწავლეა. მთელი არსებით აქვს შეგნებული, რომ მხოლოდ სწავლას შეუძლია დააკმაყოფილოს მისი სულიერი მოთხოვნილება. მთელ მის წიგნიერ სამყაროს მისი პოეტური ბუნება ასაზრდოებს. დრო და დრო გაიტაცებს მუზა და თავის გრძნობებს უშუალო განცდით ლექსად გამოხატავს ხოლმე. ლექსში – „რა არის სწავლა“, გულწრფელად გამოთქვამს თავის აზრს:

„სწავლა ხომ არის ძნელი და გრძელი,  
ყოველ დახშულ კარს გაგიღებს სწავლა,  
სწავლა ცხოვრების არს საფუძველი,  
ყოველ გასაჭირს უშველის სწავლა“.

წორი პოეტი აცხადებს, რომ მისთვის სწავლა სიხარულია.

თავის პატარა პოეტურ სამყაროში ნათლად გამოხატული ღვთისა და მამულის განუზომელი სიყვარული, დამოკიდებულება სამყაროს მოვლენებისადმი, გადმოცემულია საკუთარი გრძნობები და დამოკიდებულება გარესინამდვილისადმი.

ცხადია, 13–14 წლის ჭაბუკს არ მოეთხოვება შემოქმედებითი სრულყოფილება და ამას არც არავინ მოელის მისგან, მაგრამ იმას კი უეჭველად მოველით, რომ გიორგი ჩავლეიშვილი მომავალში უეჭველად იტყვის თავის სიტყვას და ზრდასრულ მოქალაქედ და შემოქმედებით პიროვნებად მოგვევლინება.

გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს, რომლე-

ბიც მცირე ნაწილია მის მიერ შექმნილი პოეტური შემოქმედებისა.

### გიორგი ჩავლეიშვილი



### ზღაპრული სამოთხე

ბროლის სასახლეში ვარდი აყვავდება,  
ფერიები ცოტა მტვერსაც მომაბნევენ,  
არვინ არ მოიწყენს, ყველა გაიხარებს,  
სირინოზნი კიდევ ნაზად მიმღერებენ...  
არ არის დაღვრემა და არ არს სინანული,  
არ არს მოწყენა და ისმის ჟრიამული...  
წვიმით გამაძღარი მოჩქევს ნაკადული...  
არ არს ბოროტება, არის სიყვარული!...

### ოცნება... ფიქრი

ოცნება...  
ფიქრი...  
გაშლილი ვარდი...  
ჩემს თვალწინ მიქრის ნიავი მარდი...  
ეს ლალი მზერა... ამაყი სული...



პოეტთა ენა... ქართული გული...  
... მირონი, კვართი, მდინარე მტკვარი...  
მეფის ლაშქარი, გელათის ქარი...  
ვაზის ჯვარი და გიორგის ხმალი,  
დიდია ქართლი...  
ღმერთი აქ არი!...

## რად მოიწყინეთ, ჩიტებო?

ნუ მოიწყინე, ჩიტუნავ,  
მამულის გული კვლავაც ძგერს,  
ჩანჩქერი კლდეზე ნასხლეტი  
აქ მელოდიად ჟღერს...

რა დაემართა ნაზ ბულბულს?  
ჭიკჭიკით აღარ ფრენს;  
მის გულშიც სევდის სანთელი  
აფრქვევს ნაღვლიან ფერს.

არ მოიწყინოთ, ჩიტებო,  
არ დავემდუროთ ბედს;  
ჩვენ საქართველოს დავიცავთ,  
დავდგებით როგორც კლდე.

## თამარ მეფე

თამარ მეფევ, ტაძრის ფრესკას  
შერჩენილხარ მშვენიერი,  
არ ხარ გარდასულის ხატი,  
წინ მიდგეხარ სულიერი...  
ნათლის სვეტად ყველგან დგახარ,  
ვარძიისთვის გმადლობს ერი,  
მერე რა, რომ ვაჟი არ ხარ,  
ჭკუა – სიბრძნე მოგდგამს ბევრი.  
უფიქრია მტერს ტყუილად,  
ქალია და მხდალი გულის.  
დაუჯინე დუშმანს ძვირად  
გამოხდომა თავხედური.

მეფე იყავ, თან რა მეფე!  
რისხვით მიმოფანტე მტერი.  
ქალი იყავ და რა ქალი,  
შენით დღეს ამაყობს ერი!

## ცა ჩამოიქცა და მე ვერ ვამჩნევ

უცებ დაიქუხა  
და ცა ჩამოიქცა,  
გზები დაიტბორა,  
მეხმა გაიღვიძა.  
ეს ზღვა დევად იქცა  
და ხალხი შეშინდა...  
მე უძრავად ვდგავარ...  
ქუჩა აშიშინდა...  
გრძნობა დამეკარგა,  
სული არ დამინდა,  
ეს უამინდობა  
სულაც დამავინცდა,  
ნუთუ ვერ გაიგეთ,  
ზეცა ჩამოიქცა?  
მე ვერაფერს ვამჩნევ  
გაქრა დედამინა!...

## მეფეთა კვალი

გელათი, ჩვენი ვარძია  
და სვეტიცხოვლის ტაძარი,  
ყველგან მეფეთა კვალია,  
წაუშლელი და ნეტარი.  
დიდი დავითი, თამარი,  
ბაგრატიონთა ალამი,  
ბრძოლით მიჰყავდათ ლაშქარი,  
მათ ამით იხსნეს ივერი.  
მოდით, მივბაძოთ წინაპრებს,  
ხელთ დავიჭიროთ ჩვენც ხმალი,  
მტერთ ვაზღვევინოთ სიავე,  
მით მოვიხადოთ ჩვენც ვალი!

## გურამ თაყნიაშვილი

# მოსწავლის პირველი ნახიჯები პოეზიაში

მხატვრული ლიტერატურისადმი სიყვარულს ადამიანი საბავშვო ასაკიდან სინამდვილის მხატვრულად ასახვის ნაირფეროვან, უკიდევანო სამყაროში შეყავს. ბავშვის ოცნებითა და ფანტაზიით აღსავსე გონება თავიდანვე ენაფება პოეზიის ისეთ ნიმუშებს, რომლებიც ადვილად, ძალდატანების გარეშე აკმაყოფილებს მის სულიერ ლტოლვას, მის მისწრაფებასა და გატაცებას. ადრეული ასაკის მოსწავლე სწრა-

ფად, შეუმჩნევლად იზრდება ფიზიკურად, გონებრივად. მე-7, მე-8 კლასელისათვის აღარ არის საინტერესო ყველაფერი; მას თანდათანობით უყალიბდება კრიტიკული დამოკიდებულებების ჩვევა; იგი არჩევს საყვარელ პოეტს, მის შემოქმედებაში საყვარელ ლექსს; პოეზიისადმი სიყვარული უბრალო გატაცებიდან ისეთ სულიერ მოთხოვნილებებში გადადის, როდესაც მოზარდი უკვე კრიტიკული თვალთ არ-





ჩვეს პოეზიის ნიმუშებს. ეს არჩევანი ხასიათდება ერთგვარი არათანმიმდევრული, ზოგჯერ ნახტომისებური ეპიზოდებით; ეს გასაგებიცაა იმ პედაგოგებისათვის, რომლებიც აკვირდებიან ასეთი მიდრეკილების მქონე მოსწავლეებს; ასეთი სულიერი წყობის მოსწავლეებზე გარკვეულ დაკვირვებას აწარმოებს სკოლის ბიბლიოთეკარიც; ეს უკანასკნელი გარკვეული გეგმაზომიერებით, პედაგოგიური ტაქტიკითა და ფსიქოლოგიური მიდგომით თანდათანობით ავსებს მოზარდის სულიერ სამყაროს მარჯვედ შერჩეული წიგნით, პოეტური კრებულებით. ამ პერიოდში საკუთარი ძალებით მოზარდის ძიება ემთხვევა მისი ინტერესთა სფეროების გამოკვეთის, ჩამოყალიბების ეტაპს. ეს ე. წ. გარდატეხის პერიოდი ხასიათდება ხასიათის ცვალებადობითა და მიდრეკილებების ნაირფეროვნებით. ამ ეტაპზე პოეზიაში პირველად მოსინჯული სტრიქონებს ამკარად ეტყობა წაკითხულის გავლენა; ნაწერს კვალივით ამჩნევია ავტორის მორიდება, შიშის გრძნობაც კი – ქალაქზე გადაიტანოს საკუთარი აზრი, მხატვრულ სიტყვებს მინდობილი და მასში გაცხადებული.

ასეთი ნიშან-თვისებითა და ფსიქოლოგიური მომენტებით ხასიათდება ჩვენთვის ნაცნობი ორი მოსწავლის, ორი მოზარდის პირველი პოეტური სტრიქონები, ზოგჯერ უმნიშვარი, ზოგჯერ გამბედავი, მაგრამ მოკრძალებული, განცდისეული. პირველი სტრიქონები, პირველი ლექსი მოზარდში ხშირად ინვეს ალტაცებას, სურვილის ახდენის დაუოკებელ წყურვილს. ერთ-ერთი გახლავთ თბილისის 70-ე საჯაროს კოლის მე-6 კლასის მოსწავლე გიორგი ლაშაური, 13 წლის, სიჭარბუკეში ახლად ფეხმედგმული და პოეზიით გულანთებული მოზარდი. მას შემდეგ, რაც მან დამოუკიდებლად ისწავლა წიგნის კითხვა, მის სასკოლო ჩანთაში მუდმივად დაიმკვიდრა ადგილი გალაკტიონის, ვაჟას, აკაკის, ილიას, მუხრანის, ანა კალანდაძისა და ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა კრებულებმა. მათ ლექსებს იგი კითხულობდა სახლში, სკოლაში, გზაში; კითხულობდა, ფიქრობდა, ბაძავდა, ეძებდა. პირველი ლექსი ათი წლისამ დაწერა, დაწერა და შეინახა, მერე ორჯერ-სამჯერ გადაიკითხა და არავისთვის არ გაუმხელია საკუთარი კალმის გაუბედავი ნამოქმედარი. გიორგი ჯერ კიდევ მეორე კლასიდან მიეჩვია თავისუფალი თემების წერას, წერდა გმირ ქართველ ქალებზე, საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებზე, პირველსავე პოეტურ სტრიქონებში მოსწავლე ცდილობს გაარკვიოს ბოროტებისა და სიკეთის არსი, სინათლისა და

სიბნელის ცვალებადობის ბუნება.

ლექსში „დიდგორის ბრძოლა“ შეეცადა დაეხატა ქართველთა გმირობისა და თავდადების სურათი. გამარჯვებით მოპოვებული სიხარული. ლექსში „სამოთხე“ ავტორი ნაწობს, რომ ადამიანმა ვერ შეიფერა ღმერთის მიერ ბოძებული სამოთხე და ცდუნებას აყოლილმა დაჰკარგა „სიკეთე და სათნოება“, ადამიანი „ახლაც იმკის ამ უგუნური ქცევის“ შედეგს. ჭაბუკი სინანულითა და დიდი განცდით აღწერს იესოს ჯვარცმის სცენას; იესომ ხომ ასეთი თავგანწირვით „გამოსიყდა მისხალ-მისხალ ადამიანთა ცოდვები“. ყმანვილი მხოლოდ ახლა შედის პოეზიის სამყაროში, ეცნობა ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს, წერს, ფიქრობს, ოცნებობს; გ. ლაშაურის ამ მისწრაფებას ხელს უწყობს ოჯახური გარემოც. მამა ნ. ლაშაური – მწერალი და პოეტი. ავტორი რომანის „მარტოხელა“ (თბ., 2007).

მეორე მოსწავლესაც მასთან ერთად გვინდა შევეხოთ. ისიც ასეთივე პირველი მორიდებული პოეტური სტრიქონების ავტორია – თბილისის 58-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ლაშა ჟღენტი. წიგნისადმი სიყვარული ბავშვმა 5 წლის ასაკიდან გამოამყდავანა, როდესაც ზღაპრებს დედა უყვებოდა; შემდეგ, როდესაც კითხვა ისწავლა, შესაშური მონდომებით დაენაფა ისტორიული ხასიათის ნაწარმოებთა კითხვას, ზოგჯერ ასაკისათვის შეუფერებელს, მაგრამ იმდენად დიდი იყო ასეთი თემატიკის წიგნებისადმი სწრაფვა, რომ ერთობ გაძნელდა მისი კითხვის წარმართვა. იგი გატაცებით კითხულობდა ლ. სანიკიძის, გრ. აბაშიძის, კ. გამსახურდიას, ლ. გოთუას, მ. ჯავახიშვილის და სხვათა ისტორიულ ნაწარმოებებს. უფრო მოგვიანებით, იგი როგორც თვითონ წერს: „პოეზიის მადლსაც ეზიარა“ და ერთი ამოსუნთქვით გადაიკითხა ილიას, აკაკით, ვაჟას, გალაკტიონის, გ. ლეონიძის, მ. მაჭავარიანის, ა. კალანდაძის, ნ. დუმბაძის და სხვა ქართველ პოეტთა კრებულები. გადაიკითხა და მის სულიერ მოთხოვნილებად იქცა, თვითონ მოესინჯა კალამი პოეზიაში. ლ. ჟღენტი ამჟამად 18 წლისაა. მას მიაჩნია, რომ „ქართული პოეზია არ ჰგავს არც ერთი ქვეყნის პოეზიას, ის ქართულია და ქართველს ეკუთვნის“. სატრფიალო თემაზე დაწერილ ლექსებში ლ. ჟღენტი გაბედულად გამოხატავს საკუთარ გულისნადებს და ერთგულებას ეფიცება საყვარელ არსებას: „ჩრდილად გექცევი, აჩრდილად, ფიფქებად გარდვიქმნები, შევუერთდები ზეცას და მე მუდამ შენთან ვიქნები“. სინანულით აღსავსე ლექსი მიუძღვნა ლ. ჟღენტმა



ნ. გომელაურის ხსოვნას. პოეტის აზრით, მან „ზეამაღლება ნამდვილად დაიმსახურა“. უფრო ვრცელ ლექსში „ჩვენ გადავრჩებით“ ავტორი სიამაყითა და მწუხარებით გადმოგვცემს 2008 წლის აგვისტოს ომის ტრაგიკულ სურათებს, მას ღრმად სწამს, რომ „საქართველოს დაღუპვა არ უნერია“ ლაშა ჟღენტი ნაკითხი, ქართულ მწერლობაში ღრმად გათვითცნობიერებული ჭაბუკია. მისი სურვილი და ლტოლვაა – მხატვრული სიტყვით გამოხატოს ნააზრევი. იგი გულმოდგინედ არჩევს, რა წაიკითხოს, როდის და როგორ წაიკითხოს; კითხულობს, ეძებს საკუთარ ხმას და ამ ძიებაში იზრდება მისი მხატვრულ გემოვნებაც. მას სჯერა, რომ თვითონ მომავალში ერთი მარცვალი მაინც იქნება ქართული პოეზიაში.

ორივე მოსწავლის, გ. ლაშაურისა ლ. ჟღენტის

ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ახალბედა ავტორები გულწრფელნი არიან თავიანთი ნააზრევის გადმოცემაში. ორივე ავტორის პირველივე სტრიქონებში იგრძნობა რწმენა უკეთესი მომავლისა. მათი ლექსები ჯერ არსად დაბეჭდილა. ისინი საკუთარი ხმის ძიებაში არიან, ეს ძიება შეზავებულია წიგნისადმი სიყვარულთან, შრომასთან, განცდასთან, აზროვნებასთან. ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან გამოხატული გულწრფელი სურვილები საწინდარი იქნება იმ წარმატებისა, რომლებსაც, ვფიქრობთ, ისინი მიაღწევენ საკუთარი შრომით, გარჯით, შინაგანი სწრაფვითა და სულიერი ამაღლებების დაუოკებელი წადლით. იმედია, მრავალი მისი თანატოლი ადგია ამ გზას და გვინდა ისინიც შეეცადონ პოეზიაში საკუთარი თავის დამკვიდრებას შრომით, ჯაფითა და წიგნებთან განუყოფლად.

### გიორგი ლაშაური



#### დიდგორის ბრძოლა

იყო სასტიკი და უღმობელი,  
როგორც სიკვდილი დაუნდობელი.  
ელავდა ხმალი, ვითარცა ზეცა,  
და როცა მტერი ელვისებურ გვეცა,  
არ შევდრკით, რადგან გვწამდა თავისი –  
ჩვენ ხალხს იცავდა დიდი დავითი,  
წინ მიგვიძლოდა გიორგინწმინდა  
და გაიწმინდა ქართული მიწა!

### ლაშა ჟღენტი



#### ოლონდაც...

თუნდაც ვიდგე ქარში, თოვლში,  
უმონყალოდ მცოდნეს,  
ვერ ვპოვებდე წყალსა და პურს,  
მწყუროდეს და მშვიოდეს,  
სასონარკვეთილი სული  
კვლავ იმედით ყიოდეს,  
ოლონდ შენ არ მომენატრო,  
ოლონდ შენ არ მტკიოდე!





## უმნიშვნელოვანესი წიგნი - პიგანტი

ეს წიგნი არა მარტო მოცულობითაა გიგანტი (737 გვ.), არამედ თავისი მნიშვნელობითა და მეცნიერულობით, იმ მიღწევებით, რითაც ის გამოირჩევა – კვლევა-ძიების სიღრმითა და თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.


მიმდინარე წელს ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ივ.ჯ. ავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების, აგრეთვე რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით, გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოაქვეყნა კაპიტალური კრებული „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“ როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციითა და თანაავტორობით.

მკითხველები ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე კარგად იცნობენ შესანიშნავი მეცნიერის როლანდ თოფჩიშვილის ღვაწლს ეთნოგრაფია-ეთნოლოგიის დარგში. აღტაცებას იწვევს მისი არა მხოლოდ მეცნიერული მიღწევები, არამედ ის დაუღალავი შემართება, შრომის უნარი და ნაყოფიერება, რომელითაც ის გამოირჩევა. კრებულში მის გარდა წარმოდგენილი არიან თვალსაჩინო მკვლევარები: რ. გუჯუჯიანი, გ. გოცირიძე, ხ. იოსელიანი, თ. ლუდუშაური, ქ. ხუციშვილი, თ. ქამუშაძე, თ. ქურდოვანიძე.

წიგნი 2006–2009 წლებში იწერებოდა. იგი მეცნიერული გამოკვლევებისაგან შედგება, მაგრამ დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებსაც გამოადგებათ, განსაკუთრებით მათ, ვისაც აღნიშნული საკითხების უფრო ვრცლად გაგება და შესწავლა აინტერესებს. როგორც ავტორები აცხადებენ, ეს წიგნი, გარდა თეორიულ-მემეცნიერებითი მნიშვნელობისა, პრაქტიკულ-გამოყენებითი, აღმზრდელობითი და პროგნოსტიკული ფუნქციების მატარებელიცაა.

წიგნში დამუშავებულია ჩვენი თანამედროვე მკითხველებისათვის მეტად საინტერესო თემები: ქართველთა განსახლება, ეთნოდემოგრაფიული ვითარება ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, ქართველი ერის გადარჩენის მიზეზები, ქართული ენა და მისი დიალექტები, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ოსები საქართველოში, აფხაზები, ნათესაობის

სტრუქტურა და ნათესაური ურთიერთობის ფორმები, ქრისტიანული კულტურის როლი ქართული ეთნიკური კულტურის შექმნაში, აგრეთვე მრავლადი თემა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა



მოსახლეობის ცხოვრებისა და ყოფის შესახებ.

კრებული საყურადღებოა აგრეთვე იმითაც, რომ წარმოდგენს, ე. წ. წიგნდართული ბიბლიოგრაფიის ნიმუშს, მითითებული ლიტერატურა, 28 გვერდს შეიცავს; მდიდარია ფერადი საილუსტრაციო მასალით, დამახასიათებელია ნატიფი დიზაინური გემოვნებით და გამოცემულია მაღალი პოლიგრაფიული კულტურით.

განსაკუთრებით სასურველია ამ წიგნით ჩვენი ბიბლიოთეკების გამდიდრება.



# საჭირო სახელმძღვანელო

უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა სახელმძღვანელო „ეთნოლოგია“, რომლის ატვორები არიან ცნობილი მეცნიერები: როლანდ თოფჩიშვილი, ქეთევან ხუციშვილი და როზეტა გუფეჯიანი, სამეცნიერო რედაქტორები – ნინო მინდაძე და ინგა ლუტიძე, წიგნი შეიცავს 468 გვერდს და მაღალი პოლიგრაფიული კულტურით არის შესრულებული.

როგორც ანოტაცია გვამცნობს, თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმეტესობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოლოგიასთან. ეთნოლოგიის ცოდნა სხვადასხვა ჰუმანიტარული დარგების განვითარების ერთ-ერთი პირობაა.


წიგნი თავისი მნიშვნელობით საგრძნობლად სცილდება უბრალო სახელმძღვანელოს ფარგლებს და უეჭველად უფრო ფართო საზოგადოებისათვის წარმოადგენს ინტერესის საგანს. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე ისტორიკოსებს, არქეოლო-



გებს, ენათმეცნიერებს, პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტებს, კულტუროლოგებს და მეცნიერების ყველა იმ დარგის წარმომადგენლებს, რომლებსაც ეთნოლოგიასთან მჭიდრო კავშირი აქვთ. დამატებული აქვს რამდენიმე დანართი, რომელთაც არა მარტო სწავლებისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ ყველა მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვისაც საინტერესოა, განსაკუთრებით ეს ეხება დანართებს: მსოფლიოს ყველაზე დიდი ხალხები, მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა, ძირითადი ქრისტიანული მიმართულებები; საყურადღებოა აგრეთვე ეთნოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი და

სარეკომენდაციო ლიტერატურა, რომელიც სახელმძღვანელოს ერთვს.

აღნიშნული წიგნი ჩვენს ბიბლიოთეკებს დიდ სამსახურს გაუწევს მხარეთმცოდნეობითი დონისძიებების ორგანიზაციის დროს და ფართო მკითხველების მრავალგვარი ინტერესის დასაკმაყოფილებლად.



## გულის კარნახით

მიმდინარე წელს გამოქვეყნდა ალექსანდრე ლორიას ლექსების მცირე კრებული „დრო და მონასტრება“. როგორც ნათქვამია ანოტაციაში, „წიგნში თავმოყრილია პოეტური ნაწარმოებების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ავტორს დღევანდელი დღისათვის, მეტ-ნაკლებად, შესაფერისად მიაჩნია. ზოგი მათგანი ადრე უკვე იყო დაბეჭდილი, ზოგიც ახლა ქვეყნდება. კრებული გამოირჩევა მრავალფეროვნებით, გამოხატავს ავტორის შეხედულებებსა და გრძნობებს ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით“.

წიგნს წინასიტყვაობასავით უძღვის პატარა ლექსი, რომელშიც ავტორი ერთგვარად თითქოს თავის მთავარ სათქმელს ამბობს: „ასე მგონია, საუკუნემ გამასწრო ჩემმაო“ და დასასრულ აცხადებს: „და სინამდვილეს მოვუხუჭე თვალი მზირალი, ასე მგონია, ყველაფერი მიანც წინ არი!“

კრებული დაყოფილია თემატურად: „ჩვენი საოფლო“, „დრო“, „მონასტრება“, „ხვედრი“, „ფიქრები“, „საგულისკარო“, „მოზარდებს და პატარებს“.

რედაქტორია დავით რობაქიძე, შეიცავს 56 გვერდს, გამოიცა საგამომცემლო სახლის „ემ-პი-ჯი“-ს მიერ.



## ენის სიჭმინდისათვის

მიხეილ რეხვიაშვილი

ქართული სალიბერატურო  
ენის დასაცავად(მხარს ვუჭერთ საქართველოს სულიერი მამის –  
უწმინდისისა და უნეტარისის ილია მეორის მოწოდებას)

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართველებს სამი რამ გვექონდა წინაპრებისაგან დატოვებული: ენა, მამული და სარწმუნოება, რომლებიც ახლა, სრულიად თუ არა, ნაწილობრივ შელახულია.

წინაპართა დატოვებული ქონებიდან ენა არის უპირველესი.

ბიზანტიელების, რომაელების, არაბების, სპარსელების, ოსმალების, მონღოლების, რუსების ორას-ორას წლიანი ბატონობისას იმდენად არ შერყვნილა ჩვენი წმინდა, ანკარა ენა, რამდენადაც – ამ 15–20 წლის განმავლობაში. დიდი ილია ბრძანებდა: ქართულ ენას იმდენი რამ განსაკუთრებული ღირსება აქვს, ვერეთნოდებულ განვითარებულ ენებს: ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს შეშურდებოდათო.

აკადემიკოსი ნიკო მარი აღნიშნავს, რომ თუ ქართული ენა საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი, მსოფლიო ენები შეუსწავლელი დარჩებაო. „მსოფლიოში არ არსებობს ენა და ამ ენებზე სიტყვა, რომელიც ქართულად არა მარტო ითარგმნოს, არამედ მხატვრულად არ გამოითქვას“.

რუსი ენათმეცნიერი პ. უსლარი ქართული ენის შესახებ წერს: „ასეთი სრულყოფილი ენა და ანბანი ცის ქვეშ არ მეგულებაო“.

ქართული ენის ქება არც ქართველებისა და არც უცხოელებისაგან ამით არ ამოიწურება. მაგრამ მინდა მოგახსენოთ, რომ დღეს ქართული ენა უპატრონოდ არის დარჩენილი. არავინ არის, ვინც ოფიციალურად უნდა იცავდეს მას.

გვექონდა ენის პალატა. რომელიც, ასე თუ ისე, აკეთებდა თავის საქმეს, მაგრამ სავსებით უმიზეზოდ გააუქმეს.

ქართული ენა სახელმწიფო ენაა და ყველა უნ-

და ცდილობდეს სუფთა ქართულით ილაპარაკოს. დღეს ფერეიდანსა და იმერხევეში მცხოვრები ქართველები უფრო წმინდა, დახვეწილი ქართულით ლაპარაკობენ, ვიდრე ჩვენ. მათზე უცხო ენები გავლენას ვერ ახდენს, ქართულ მეტყველებას ვერ უმახინჯებს. ჩვენ კი რა მოგვივიდა? ქართველი კაცის ღირსება დედაენაა, დედაენის შენარჩუნება აჩვენებს ქართველ კაცს, რა გენიაა ქართველობა. როგორც ვხედავთ, ენის, რომელიც მამულისა და სარწმუნოების შემნახველია, დაცვა და განვითარება სჭირდება. ამას კი ჩვენში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ენის პალატის გაუქმება, თუ პალატა სათანადოდ არ მუშაობდა, უნდა გაეუმჯობესებინათ, მცოდნე და ორგანიზატორული ნიჭის ადამიანები მოეწვიათ, რომლებიც სათანადოდ ნაუძღვებოდნენ ენისა და მისი სინამდის დაცვას. ენა ფაქიზი რამ არის, მას „კაცი მსახვრალის ხელით არ უნდა შეეხოს“. „მსახვრალი ხელი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ არ გაალარბოს ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, არ მოშალოს იგი ათასგვარი უცხო სიტყვებით. ამისათვის საჭიროა ენის ლოგიკის, ანუ გრამატიკის წეს-კანონების, სტილისტიკური, ლექსიკოლოგიური, სემასიოლოგიისა და ეტიმოლოგიის ცოდნაც.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ რადიო-ტელე უურნალისტები, არც ერთი პარლამენტარი, მთავარობის არც ერთი წევრი, ტელე-ეთერით არც ერთი გამომსვლელი და, მათი მიზეზით, ქართველთა უმეტესობა, არ იცნობს ჩვენი ენის კანონებს, მწირია მათი ლექსიკური მარაგი. აქ შეიძლება მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

## არასწორი გამოხატულება

აპლოდისმენტები

თინეიჯერები

მანქანა დაიბადა ამერიკაში

დღეს გუდვილის (მაღაზიის) დაბადების დღეა.

ზეთების და მობილური ტელეფონების

თაობა

## მისაღები ფორმა

ტაში

ყმანვილები

მანქანა დამზადებულია (შეიქმნა) ამერიკაში,

მაღაზია დაარსდა (გაიხსნა)

ზეთებისა და ტელეფონების ახალი (უახლესი)

გამოცემა, ახალი გამოშვება.



ჩვენ ვაგრძელებთ, დაჯილდოების ცერემონიალს

თიბისი ბანკის მე-17 დაბადების დღეს საჩუქრები მიიღეს

ჩემი ბიზნესი 22%-იან წაგებაშია, ცნობადი გავხდი

ქართული ხელოვნების ნიმუშები დაბადებული საქართველოში

ციხე გაუქმებას ექვემდებარება

ქართულმა ბანკებმა ლიკვიდურობა

მაშინ მივაყენებ დარტყმას

ქართულმა მომღერლებმა შეასრულეს

პატარა დემეტრემ ერთ საათში ძუძუ ორჯერ ჭამა (ახალდაბადებულების შესახებ, კურიერის თანამშრომლის ბავშვზე ნათქვამი

დამნაშავემ მისცა აღიარებითი ჩვენება

ხობში არქეოლოგებმა მაკედონელის დროინდელი ნივთების აღმოჩენა გააკეთეს.

ჩვენ ავაშენეთ ახალი პოლიციის შენობა

გავმარტივდები და დავისვამთ მარტივ კითხვას

დიდი ხანია არ მინახიხარ („მინახია“ კი არა „მინახავს“)

მთელი პრეზიდენტის გამოსვლა ეხებოდა თავისუფლებას

ყველა საქართველოს რეგიონში შენდება სკოლები;

ყველა საქართველოს მოქალაქე განვეული იქნება რეზერვისტად

ყველა საქართველოს მოქალაქე ვალდებულია მიიღოს სამხედრო მომზადება

საქართველოს ცნობადობას ძალიან შეუწყობს ხელს

ჩვენ ვაგრძელებთ დაჯილდოვებას

თიბისის ბანკის დაარსებიდან მე-17 წელს საჩუქრები მიიღეს.

ჩემმა ბიზნესმა 22% წააგო, ცნობილი გავხდი (შევიქენი)

ხელოვნების ნიმუშები შექმნილია საქართველოში.

ციხე გასაუქმებელია

ლიკვიდურობა ნიშნავს აღგვას პირისაგან მინისა და ეს უნდა შეინარჩუნონ ბანკებმა? გამოთქმა უაზროა, უცნებო და გაუგებარი

მაშინ დავარტყამ

ქართველმა მომღერლებმა შეასრულეს

დემეტრემ ერთ საათში ძუძუ ორჯერ მოწოვა. (ძუძუს ბავშვები კი არ ჭამენ, წოვენ)

დამნაშავემ დანაშაული აღიარა

ხობში არქეოლოგებმა მაკედონელის დროინდელი ნივთები აღმოაჩინეს.

ჩვენ ავაშენეთ პოლიციის ახალი შენობა.

გასაოცარია ამ კითხვის დამსმელის „ცოდნა“ მშობლიურ ენაში

დიდი ხანია არ მინახავხარ

პრეზიდენტის მთელი გამოსვლა ეხებოდა თავისუფლებას;

საქართველოს ყველა რეგიონში შენდება სკოლები;

საქართველოს ყველა მოქალაქე განვეული იქნება სათადარიგოდ

საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია შეისწავლოს სამხედრო საქმე;

საქართველოს გაცნობიერებას ძალიან შეუწყობს ხელს.



მერმა ორი ქალაქის  
სამსახურის უფროსი წარადგინა.

მერმა ქალაქის ორი სამსახურის  
უფროსი წარადგინა.

ამის განცხადების გაკეთება  
მინდოდა დღეს („იმედი“)

ამის განცხადება მინდოდა  
დღეს.

ბევრი მთავრობის სხდომას  
ჩავატარებთ შიდა ქართლის  
რეგიონში

მთავრობის ბევრ სხდომას  
ჩავატარებთ შიდა ქართლის  
რაიონში.

ოთხი საკანი ქალი პატიმრები—  
სათვისაა

ოთხი საკანი პატიმარ ქალებისათვისაა.

ხალიჩა იატაკზე გააკრეს

ხალიჩა იატაკზე დააგეს. (დააფინეს)

მე მუდამ მოძრაობაში ვარ

მუდამ ვმოძრაობ.

კონტრაბანდის პატრონი  
მიმალვაშია

კონტრაბანდის პატრონი იმალება.

ფულის შენახვას ვერ ვაკეთებ

ფულს ვერ ვინახავ.

რამდენიმე ქერტლის საწინააღმდე-  
გო შამპუნი („კურიერი“)

ქერტლის საწინააღმდეგო  
რამდენიმე შამპუნი.

დღეს აჭარაში დაიწყება  
პირველი ბიუროს სხდომა – ეს  
იქნება ისტორიული მთავრობის  
სხდომა

დღეს აჭარაში დაიწყება ბიუროს  
პირველი სხდომა – ეს იქნება  
მთავრობის ისტორიული სხდომა.

საავადმყოფო მუდამ მზადყოფნაშია

საავადმყოფო მუდამ მზადაა

წარმოება გადავა ფრინველის  
გამოშვებაზე

წარმოება გამოუშვებს ფრინველს

სადაც გაყიდვაში იქნება

სადაც გაიყიდება

ავადმყოფი მკურნალობას გადის  
ექიმთან

ავადმყოფი მკურნალობს ექიმთან

გამოძიების ქვეშ მყოფთ გონება  
დახშობოდათ;

გამოსაძიებლებს გონება დახშობოდათ

დასრულების პროცესშია IV ტომი

სრულდება IV ტომი

პირველი შეხვედრა მოვანყეთ

პირველად შევხვდით

აკეთებს დანაშაულს („კურიერი“)

ჩადის დანაშაულს

გააკეთეს გაცვლა

გაცვალეს

და მრავალი სხვა, რაც ამღვრევს წმინდა ქართულ მეტყველებას.

ამგვარი მაგალითების დასახლება უსასრულოდ შეიძლება. სამწუხაროა, რომ ეს ხდება მა-  
სობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ, თუმცა ისიც ცნობილია, რომ თითქმის ყველა ქარ-  
თველის მეტყველებაში შეხვედრით ბარბარიზმებსა და ვულგარიზმებს. განსაკუთრებით გავრ-  
ცელებულია ჩვენს ახალგაზრდობაში სავსებით მიუღებელი და ხშირად შეუსაბამო გამოთქმები,  
როგორცაა: კაროჩე, კანეც, ნეუჟელი, პროსტო, პაკა და მრავალი სხვა. განსაკუთრებით ამაზრზე-  
ნია ე. წ. „უცენზურო“ სიტყვების დაურიღებელი გამოყენება, საკუთარი დედის გინება და სხვა უნ-  
მანურობანი. განსაკუთრებით გახშირდა ქართულ წერილობით თუ ზეპირ მეტყველებაში კალკები.



იური მგალობლიშვილი

## ფრანგული კინოხელოვნება XXI საუკუნის პირველ ათწლეულში

XXI საუკუნეში გლობალიზაცია კინემატოგრაფსაც შეეხო და თუ ვინმე დღეს უძალიანდება ჰოლივუდს და მის გლობალურ ექსპანსიას – ეს ფრანგული კინოხელოვნებაა. საფრანგეთი ხომ კინოს საშობლოა, აქ წარმოიშვა სხვადასხვა კინემატოგრაფიული მიმდინარეობანი: ავანგარდი, აკადემიური კინო, ახალი ტალღა, პოსტმოდერნისტული კინო და სხვ. ფრანგული „ახალი ტალღის“, ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა ჟან-ლუკ გოდარმა (დაიბ. 1930 წ., უმათარესი ფილმი – „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“, ჟან პოლ ბელმონდოს მონაწილეობით), 2004 წელს გადაღებული (ფილმი „ჩვენი მუსიკა“). ერთგვარად ბიბლიურ ასოციაციას იწვევს. მასში სამი ნაწილია: ჯოჯოხეთი, განსაწმენდელ და სამოთხე. ჯოჯოხეთის სახით მოცემულია ის ეპოქა, რომელშიაც თვითოეული ჩვენთაგანია. მისი ამსახველი შავ-თეთრი და ფერადი კადრები, რომლებიც უხმოა, ზოგჯერ რამდენიმე წინადადებითაა გახმოვანებული და ფონად მუსიკალური ფრაგმენტები გასდევს. განსაწმენდელი კი თანამედროვე სარაევოა, სადაც გამოგონილი და რეალური პერსონაჟები თავს იყრიან. სამოთხე კი შაბროლმა ახალგაზრდა ქალის სახით წარმოადგინა. იგი საკუთარ თავს განსაწმენდელში მსხვერპლად სწირავს (მთავარ როლებში სარა ადლერი და ნადე დიე).

ადამიანთა თანაცხოვრება მრავალი საიდუმლოსა და არაორდინარული ქცევებითაა ნასაზრდოები. ასეთია ერთი პატარა ფრანგული სოფელი, სადაც იპოვეს ათი წლის გაუპატიურებული გოგონას გვამი... ფილმი „ტყუილების ტყვეობაში“, ახალი ტალღის ნაყოფიერმა და მრავალმხრივმა კინორეჟისორმა კლოდ შაბროლმა საუკუნეთა გადასაყარზე გადაიღო. ფილმი სიცრუესა და სიყვარულზეა. სანდრინ ბონესა და ჟაკ გამბლინის ხორცშესხმულმა პერსონაჟებმა გამოააშკარავეს თანაცხოვრების ილუზორული და სიცრუის შრეები. ფილმში „ბოროტების ყვავილი“, (2003 წ.) მთავარ როლებს ასრულებენ ნატალეი ბეი და ბენუა მაჟიმელი. კლოდ შაბროლი არ ღალატობს თავის მრავალმხრივობას

აგრეთვე ფილმში „მადლობა შოკოლადისთვის“, (2000–2001). შოკოლადი ხომ სიმწარეს სიტყბოთი აგემოვნებს, ისე, როგორც ეს მოახერხა „ფრანგული ტალღის“, ერთ-ერთმა კინორეჟისორმა ერიკ რომერსმა 2007 წელს გადაღებულ ერთობლივ კინოფილმში „ასტრეას და სელადონის სიყვარული“, (საფრ. – იტალ – ესპ.). ფილმი ლამაზ სასიყვარულო ზღაპარს მოგვაგონებს. ექვიანობის ნიადაგზე უამრავი ფათერაკი ხდება. ასტრეამ, რომელიც თავყვანისმცემლების გამო შეცდომას უშვებს, უბრძანებს სელადონს, სამუდამოდ განშორდეს მას, მაგრამ სალადონი მიცემული პირობის ერთგულია. უბუცესმა კინორეჟისორმა ერიკ რომერმა (დაიბ. 1920 წ.) ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულშიც კიდევ რამოდენიმე ფილმი გადაიღო: „LANGLAIS-SEATTLECLUC“, (2001) „TRIPLEAGENT“, (2004) „LECANAPE SONGS“ (2005).

კინორეჟისორი რომან პოლანსკი ათას ფათერაკს გვიჩვენებს ეკრანზე. სკანდალურადაა დანახული მისი პირადი ისტორია. წარმომავლობით იგი პოლონეთიდანაა, (დაიბადა საფრანგეთში 1930 წელს). 2002 წელს მან გადაიღო საქვეყნოდ ცნობილი ფილმი „პიანისტი“, ( მთავარ როლში ადრიან ბროდო). ებრაული წარმოშობის შესანიშნავ პოლონელ პიანისტს გერმანელი ფაშისტების ოკუპაციის პერიოდში ვარშავის ერთ-ერთ გეტოში გადაასახლებენ. მისი სიცოცხლე საფრთხეშია. სიკვდილი ემუქრება. ამიტომ ქალაქის მიტოვებულ და დანგრეულ შენობებს აფარებს თავს. პიანისტი გერმანელ ოფიცერს გაიცნობს, რომელიც მას გადარჩენაში ეხმარება. ფილმი მრავალი ჯილდოთი აღინიშნა. მისი გამომსახველობითი მხარე ტრადიციულიცაა და ახლებულიც.

კინორეჟისორი ლიუკ ბესონი (დაიბ. 1959 წ.) გამორჩეული ხელწერის ხელოვანია. მის მრავალ ფილმში მოქმედების არეალი ზღვაა. 2005 წელს გადაიღო ფილმი – მელოდრამა „ანგელა“, ახალგაზრდა ანდრეს პარიზელი ბანდიტების დიდი ვალი აქვს, ფულს ვერ აბრუნებს, როცა ყველა საჭირო რესურსი ამოეწურა, თავის მოკ-



ვლას გადაწყვეტს და მდინარის ხიდზე მდგარი საოცრად ლამაზ ქალს დაინახავს, რომელიც წყალში გადაეშვა. ანდრემ გადაარჩინა ის ქალიშვილი (მისთვის ანგელოზი) დაეხმარა მას ფულის შოვნაში. მელოდრამატული ფაბულის მიღმა, დაკვირვებული მაყურებელი შენიშნავს არა მარტო სოციალურ დაძაბულობას, არამედ ნატიფი ხელოვნებისათვის დამახასიათებელ პოეტურ ხელწერასაც. ლიუკ ბესონმა 2007 წელს გადაიღო აგრეთვე საბავშვო მულტფილმი „არტური და მინიპუტები“, სადაც პატარა ბიჭუნა ბებიის სახლის გადასარჩენად ცდილობს აუცილებლად მოხვდეს ციციქა არსებების – მინიპუტების საოცარ, ზღაპრულ „პარალელურ სამყაროში“...

საქვეყნოდ აღიარებული კინოფილმის „კლეო 5–დან 7 საათამდე„ (1961 წ.) რეჟისორი ანიეს ვარდა (დაიბ. 1928 წელს), რომელსაც გამოჩენილმა ფრანგულმა კინო მოღვაწემ ანდრე ბაზენმა „თავისუფალი და წმინდა უნოდა„ ჯერ კიდევ 1954 წელს. რეჟისორმა უამრავი ფილმი გადაიღო. ერთ–ერთ ფილმში საკითხი ადამიანის თავისუფლების შესახებაა. თავისუფლება, მისი აზრით, ყველას თავისებურად ესმის. თავისუფალი ხარ, თუ შენში, უპირველესად ყოვლისა, უფალია. იგი საუბრობს კამერის წინ შემოქმედებითი მიდგომების თავისებურებებზე. გამოხატავს აზრს ჰოლოკოსტას შესახებ, რომელსაც მისი ორივე მშობელი გადაურჩა.

ანიეს ვარდას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „იდესა, დათვები და ა. შ...„ 2004 წელსაა გადაღებული და ასახავს იდესა ჰენდელესის ცხოვრებისადმი დამოკიდებულებებს; 12– წუთიან მოკლე ფილმში „უჩინარი ლომი„ (2003) ანიეს ვარდა ახერხებს ქალური სინატიფით გვიჩვენოს პარიზის შუაგულში აღმართული ლომის ქანდაკება, რომლის გარშემო პატარა თავგადასავალს აწვითარებს.

ახალი თაობის კინორეჟისორმა ფრანსუა ოზონიმ (დაიბ. 1967 წ.) მოკლე დროში მათ ფილმზე მეტის გადაღება მოასწრო. მის ფილმებში მონაწილეობას თანხმდებოდნენ ცნობილი კინომსახიობები. საქვეყნოდ ცნობილ ფილმში „ქვიშაში„ (2000 წ.) ფრანსუა ოზონმა მიიწვია შარლოტა რიმპლინგი, (რომელმაც ასევე სხვა მის ფილმებშიც ითამაშა, მაგალითად „აუზი„ (2003) და რუნო კრეშერი. მანამდე ფრანსუა ოზონმა გადაიღო ფილმი „დამნაშავე საყვარლები„, სადაც რეჟისორი ღრმად ჩასწვდა ახალგაზრდა ქალ–ვაჟის ფსიქოლოგიას, ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის – მკვლელობის შემდგომ (ქალმა აიძულა ვაჟი თავისი ყოფილი საყვარლის მოკვლა) დანაშაული მალე გამოაშკარავდება, ქალი ხვდება, რომ ცხოვრება არაა მისი

კაპრიზების შესაბამისად მოწყობილი. ფილმში „რვა ქალი„ (2002) მონაწილეობას ლებულობს ფრანგული კინოს თანავარსკვლავედი: კატრინ დენევი, იზაბელ იუპერი, ფანრი არდანი, დანიელი დარიე, ემანუელ ბეარი, ფერმირ რიშარი, ლიუდივინ სანიე, ვირჟინი ლუდუაიენი და სხვანი. თოვლით დაფარული პროვინციის ერთ ძველებურ მამულში თავს იყრიან ოჯახის წევრები, რათა ერთად იდღესასწაულონ შობა, მაგრამ დღესასწაული არ შედგა – სახლის პატრონი მოკლულია. იწყება გამოძიება ამ ქალების მიერვე, რასაც ოჯახური მრავალი საიდუმლოების გამჟღავნება მოჰყვა. ირკვევა, რომ ერთ–ერთი მათგანი მკვლეელია...

ფრანსუა ოზონმა ფილმი „5X2„ 2004 წელს გადაიღო. ფილმის ფაბულა აგებულია შეყვარებული წყვილის გაუცხოების თემაზე, რომელიც ალბათ ინგმან ბერმანის „ქორწინების სცენებს„ და მიქელანჯელო ანტონიონის ზოგიერთ ფილმს მოგვაგონებს. ფილმში „5X2„ ასახულია ამ წყვილის ერთად ცხოვრების 5 პერიოდი, სათაურიც ხომ ამას მიგვანიშნებს.

ადამიანის ცხოვრება შეიძლება სასიამოვნოდ და მსუბუქად წარიმართოს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი მოურჩენელი სენით იყოს დაავადებული. ფრანსუა ოზონმა ეს მშვენიერად დაგვიანახა ფილმში „დრო, რომელიც რჩება„ (2005 წ.) მთავარ როლებში – მეღვილ პუპო, ვალერია ბრუნო–ტადესკი, ჟანა მორო.

ადამიანმა შეიძლება შეიცვალოს თავისი ეკონომიკურ–სოციალური მდგომარეობა, შეიძლება დაეუფლოს ე. წ. „მაღალი საზოგადოების„ ცხოვრების წესებს, მაგრამ სოციალურ კიბეზე ზეასვლას თავად კაპიტალისტური სინამდვილე დაუმუხრუჭებს. ეს შესანიშნავად დაგვიხატა ფრანსუა ოზონმა 2007 წელს გადაღებულ ფილმში „ანგელოზი„.

კინერეჟისორმა ჟან ჟაკ ანომ (დაიბ. 1943 წ.) 2001 წელს გადაიღო ფილმი „მტერი კარიბჭესთან„, რომელშიც ასახულია II მსოფლიო ომის ძირითადი ბატალიები – სტალინგრადის ბრძოლები. მართალია, ფილმი არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ მასში შეიმჩნევა ერთგვარი ტენდენციურობა, რაც „შეკვეთის„ ასოციაციას იწვევს.

კლოდ ზიდიმ (დაიბ. 1934 წ.) ჯერ კიდევ ათი წლის წინ გადაიღო ფილმი „ასტერიქსი და ობელისკი ცეზარის წინააღმდეგ„ სადაც განუყრელი მეგობრები გალიის დამპყრობელ კეისარს შეებრძოლებიან ჩვენ წელთაღრიცხვამდე 50 წელს. ფილმმა თითქოს გააგრძელა კინორეჟისორ ფრედრიკ ფორესტიეს კინოსერიალი „ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე„.

კოსტა – გავრასი (დაიბ. 1933 წ.) ბერძნუ-



ლი წარმოშობის ფრანგი პოლიტიკური კინოს მიმართულების კინორეჟისორია. თუმცა 2005 წელს გადაიღო ფილმი სახელწოდებით „გილიოტინა„ (საფრ-ესპ-ბელგია), რომელიც ორი ჟანრის ტრილერისა და კომედიის სიმბიოზია. სამსახურიდან დათხოვნილი ახალგაზრდა ყველაფერზეა წამსვლელი, ოღონდ დაიბრუნოს სამსახური (მთავარ როლში ხოსე გარსია). ხმელეთი ის ადგილია, რომლისკენაც მეზღვაურები ზღვაში ყოფნისას ილტვიან, მაგრამ დაადგამენ თუ არა მას ფეხს, ზღვისკენ უწევთ გული. ალბათ ასეთ მდგომარეობაში არიან ჩვენი ემიგრანტები სამშობლოს მიმართ. ოთარ იოსელიანი (დაიბ. 1934 წ.), რომელიც ამჟამად საფრანგეთში იღებს ფილმებს, 10 წლის წინ გადაღებულ ფილმში „მშვიდობით ხმელეთო„ ნოსტალიგიის თემაზე თავისი შეუდარებელი კინემატოგრაფიული საშუალებით გვესაუბრება. ოთარ იოსელიანს საფრანგეთში 2007 წლისთვის რვა ფილმი აქვს გადაღებული. „ორშაბათის დილა„ (2001 წ. საფრანგეთი – იტალია), ერთგვარი ქრონიკა, ერთი ფრანგი მამაკაცის ცხოვრებიდან. დილით ადრე ადგომა, საათნახევარი მგზავრობა სამუშაომდე. იგი გადანყევტს, შეცვალოს ცხოვრების წესი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამე გაიქცეს, თუნდაც ვენეციაში... ამგვარად, რვა თვის შემდეგ მოხეტიალე უბრუნდება სახლს. ფილმში „შემოდგომის ბალები„ (200 წ.) ნაჩვენებია სამსახურდაკარგული მინისტრის ცხოვრება; საყვარელმაც მიატოვა. იგი იწყებს ახალ ცხოვრებას, ახალი ნაცნობები და ყოველგვარი ახლის ახლებურად შეცნობა. საფრანგეთში არა ერთი ჩვენი თანამემამულე მოღვაწეობს კინემატოგრაფიის დარგში. „ქორწილისა„ და „ქოლგის„ შესანიშნავი რეჟისორი მიხეილ კობახიძე, მაგალითად, საფრანგეთში იღებს ფილმს „გზაში„ (2003 წ.) კინორეჟისორს ნანა ჯორჯაძეს (დაიბ. 1948 წ.) საფრანგეთში არა ერთი ფილმი აქვს გადაღებული. 1996 წელს მან ხომ საქვეყნოდ გახმაურებული ფილმი „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი„ (მთავარ როლში პიერ რიშარი) გადაიღო. 2008 წლისთვის ეკრანებზეა „მეტეოდიოტი„ (მთავარ როლებში ანა ანტონოვიჩი და მერაბ ნინიძე), რომელშიც ოჯახდაკარგული კაცის ისტორიაა. უფრო ადრე ნანა ჯორჯაძემ გადაიღო ფილმი „27 დაკარგული კოცნა„ (მთ. როლებში ნუცა კუხიანიძე, შაკო იაშვილი, პიერ რიშარი). ეს გახლავთ ლამაზი და რომანტიკული ისტორია 14 წლის გოგონასი... სცენარისტად, მემონტაჟედ ნანა ჯორჯაძის ფრანგულ ფილმებში მისი მეუღლე ირაკლი კვირიკაძე (დაიბად. 1939 წ.) გვევლინება.

ახალგაზრდა კაცი, რომელიც სახლის სახურავზე მუშაობს, მოულოდნელად სახლის მე-

პატრონის უჩვეულო მოღვაწეობის მოწმე და გამგრძელებელი ხდება. მეპატრონის სიკვდილის შემდეგ ეს კაცი უცნაურ კონვერტს პოულობს. მისტიკურ ინსტრუქციას მიყვება, რის შემდეგ კლაუსტროფობიურ სივრცეში აღმოჩნდება, სადაც ინსტიქტები ბატონობენ... ფილმი სახელწოდებით „ცამეტი„ – „TZAMETAI„ გელა ბაბლუანმა საფრანგეთში 2004 წელს გადაიღო. მთავარ როლში გიორგი ბაბლუანი. ფილმი „ვერცხლის პრომეთეი„ დაჯილდოვდა 2005 წლის თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე. 2005 წელს გელა ბაბლუანმა გადაიღო ფილმი „LAME PEKE SOMMET„. მსახიობი, რეჟისორი და ჟურნალისტი ნინო კირთაძე დოკუმენტურ ფილმებს საფრანგეთის სახელით იღებს 2000 წლიდან. უკვე გადაღებული აქვს შვიდი ფილმი: ედუარდ შევარდნაძეზე, ჩეჩნეთში წარმოებულ ომზე, კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე. 2007 წელს მან გადაიღო დოკუმენტური ფილმი „დურაკოვო„, რომელშიც მოთხრობილია ერთ რუსულ დასახლებაზე.

ამავე წელს ეკრანებზეა „მსხვერპლშესანირი ქალი„, რომელიც რეჟისორმა ოლივიე ლანგლუამ გადაიღო და რომელიც ასახავს მოსკოვში ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შემდგომ მოვლენებს (ერთ-ერთ როლში მაყურებელმა ნინო კირთაძე იხილა). 2009 წელს ნინო კირთაძემ გადაიღო თავისი დოკუმენტური ფილმი „ზოგი რამ საქართველოს შესახებ„, რომელშიც აღწერილია 2008 წელი, რთული პერიოდი საქართველოში – საპრეზიდენტო არჩევნებიდან დაწყებული აგვისტოს ომით დამთავრებული, ყველაფერი საქართველოს მოქალაქეების მიერაა მოთხრობილი...

საფრანგეთში 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში უამრავმა რეჟისორმა გადაიღო ფილმები. ძველი და ახალი თაობის თანაარსებობა გრძელდება: მანუელ პუარიე, ბალთაზარ კორმეუსი, ჟანკლოდ ბრისო, ბენუა ჟაკო, ტომს ვინსენი, ჟული ბერტუჩელი, ჟოედ კანო და სხვა მრავალი.

ფრანგული ესტრადის უდიდეს შანსონიეს ედიტ პიაფს ვარდისფრად წარმოედგინა სიცოცხლე, თუმცა იგი პარიზის სილატაკიდან და ჯურღმულებიდან იყო გამოსული და ნიუ-იორკის საკონცერტო დარბაზებამდე ამაღლდა. ეს ისტორია კიდევ ერთხელ შეგვახსენა რეჟისორმა ოლივიე დაანმა ფილმში „ცხოვრება ვარდისფერ ფერებში„ (მთავარ როლში მარიონ კოტიიარი) და ახლაც XXI საუკუნის პირველ ათწლეულში კინოეკრანის კადრს მიღმა ისმის პიაფის განუმეორებელი სიმღერები.



## ქრონიკა

## საქართველოს საბიბლიოთეკო

## სსოპრება ქრონიკა:

## მოვლენები, ფაქტები

■ 11 თებერვალს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა ნატოს საინფორმაციო კუთხე. ღონისძიებას ესწრებოდნენ ნატოს მეკავშირე ოფიცერი სამხრეთ კავკასიაში ზბიჟნევი რიბაცკი, ნატოს საერთაშორისო სამსახურის სახალხო დიპლომატიის განყოფილების კოორდინატორი კავკასიაში დესპინა აფენკული და სხვა პასუხისმგებელი პირები. საინფორმაციო კუთხესთან დაკავშირებით ბიბლიოთეკამ ადრევე ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები; სტუმრებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა ჯ. აფაქიძემ.

■ 23 მარტს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომა. განიხილეს საქართველოში საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამოწერის ინსტრუქციის პროექტი (გ. თაყნიაშვილი), სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს საბიბლიოთეკო კონცეფციის პროექტს. ამ საკითხზე ინფორმაცია წარმოადგინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

■ 12 აპრილს აზერბაიჯანის კულტურის ცენტრში „ვარლიგში“ (ქეთევან წამებულის ქ. №40) გაიმართა „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონის“ პრეზენტაცია, წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ინტელექტმა“, შემდგენელები: კ. ჯანგიძე, ს. სულიემანოვი და ნ. ნასიბოვი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში ნ. ალიევი და საქართველოს პარლამენტის წევრი რ. ბაირამოვი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გ. ხუბუა, აგრეთვე „კავკასიოლოგიის“ ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

■ 28 აპრილს აღინიშნა ქ. მცხეთის ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკის დაარსებიდან 120 წლისთვის. ამ თარიღთან დაკავშირებით მოეწყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა კულტურის დარგის მუშაკებთან.

ბიბლიოთეკარები დააჯილდოვეს სპეციალური პრიზებითა და სიგელებით. ღონისძიებას უძღვებოდა მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დანესებულეების გაერთიანების გენერალური დირექტორი გოჩა ქავთარაძე.

■ 24 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პლაკატების გამოფენა.

■ 5 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ სამართლიანობის ნორმათა დარღვევის შესახებ ანგარიშის – „აგვისტოს ნანგრევებში“ საზოგადოებისათვის წარდგენა.

■ 18 მაისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მწერალ ჯემალ ქირიას ნაწარმოებების თერთმეტტომეულის პრეზენტაცია.

■ 18 მაისს თბილისის საკონცერტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა საქართველოს წიგნის ფესტივალი. ფესტივალზე საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ წარმოადგინა საკუთარი გამოცემები.

■ 25 მაისს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ეგვიპტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის;

■ 28–29 მაისს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ორდღიანი ღონისძიება – აქცია დევიზით „ბიბლიოთეკა – ჩემი მსოფლიო ულიმიტო ვიზა“. აქციაში მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები. ღონისძიების პროგრამით ჩატარება საინტერესო ღონისძიებები: ახალგაზრდა მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრების გამოფენა, ბიბლიოთეკის საიტის პრეზენტაცია, გაიმართა ფოტო-კონკურსი თემაზე „მე და წიგნი“. ღონისძიებას ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თბილისის მერიის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის





წარმომადგენლები.

■ 2 ივნისს საქართველოში აშშ-ს საელჩოში გაიმართა ბიბლიოთეკის დღე. მონაწილეობდნენ საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში არსებული ამერიკული კუთხეების კოორდინატორები, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, ქ. თბილისის მერიის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები. აშშ-ს საელჩოს სპეციალისტები სინტია უიტსლი, კარენ რობლი, ნანა შუბლაძე, ქეთი ასათაშვილი. ღონისძიებაზე მთავარი მომხსენებლები იყვნენ: ჰეზერ უეიკფილდი – ფულ ბრაიტსის პროგრამა, და ირაკლი ღარიბაშვილი (საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი) მოხსენებათა ძირითად თემატიკას შეადგენდა:

- ბიბლიოთეკის როლი აშშ-ში;
- საბავშვო ბიბლიოთეკები აშშ-ში;
- საბავშვო პროგრამები (თხრობის, კითხვის საათი).

მონაწილეებმა მოისმინეს საინტერესო მოხსენება საბიბლიოთეკო პროგრამების შესახებ ვენიდან. მოხსენება წარმოადგინა ქეთრინ მარსიჩეკა. დღის მეორე ნახევარში ღონისძიება წარმართა

ირაკლი ღარიბაშვილმა. სადისკუსიოდ გამოტანილი იყო თემები:

- ბიბლიოთეკების როლი დღეს;
- თანამედროვე ტექნოლოგიები ბიბლიოთეკაში;
- ბიბლიოთეკების როლი განათლების დონის ამაღლებაში;
- სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა.

აღნიშნულ თემატიკაზე აზრი გამოთქვეს ღონისძიების მონაწილეებმა, რომლებიც ჩამოსულენი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, დღის ბოლოს მსმენელებს უჩვენეს აშშ-ს საელჩოს საიტი. ღონისძიების დახურვის შემდეგ მონაწილეებს შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს პარლამენტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ნაჩვენები იქნა ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები, კონსულტაციებს უწევდნენ მომსახურების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეები ც. კოჭლაშვილი და ი. გორგიშელი. დღის ბოლოს ღონისძიების მონაწილეები მიიღო აშშ-ს ელჩის მოადგილემ.

■ 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს გიორგი სიხარულიძის პროზაული კრებულის პრეზენტაცია.

## კონჭარას კლუბი

# რას წარდნან ძველი ქართული საბირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები და კრებულები

ლიტერატურასა და ხელოვნებაში სატირა სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი საშუალებაა, რომლითაც დასცინიან და ამხელენ უარყოფით საზოგადოებრივ თუ პიროვნულ მოვლენებს; იუმორი კი კომიკურის ნაირსახეობაა, რომელიც ადამიანისა თუ ხალხის ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებს წარმოაჩენს, სასაცილოდ ხატავს სიტუაციას და სატირასთან შედარებით, უფრო მსუბუქია, ნაკლებად გესლიანი და შემრიგებლური, თუმცა ზოგჯერ არც დაუნდობლობა აკლია. სატირა თუ შხამიან ისრებს ისვრის, იუმორი სასაცილო სურნელებას აპყურებს მკითხველს და მასში სახალისო განწყობილებას იწვევს. საერთოდ, ამ თვისებისაგან მთლიანად არც სატირაა დაზღვეული, მაგრამ მისი მიზანი ეს არაა. ის ცდილობს, ბასრი ირონიით, ნაკლოვანებების წინ წამოწევიტ, დაცინვიტ, დაკინივნიტ, სარკაზმით გამანადგურებელი „დარტყმა“ მიაყენოს მის მიერ შერჩეულ ობიექტს, იქნება ეს პიროვნება, საზოგადოება, რაიმე სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, მეცნიერული თუ სხვა რაიმე ცხოვრებისეული მოვლენა.

ორივეს ბევრი რამ აერთიანებს, მაგრამ განსა-

კუთრებით ერთი თვისება აქვთ ყველაზე მეტად დამახასიათებელი – არყოფითი მოვლენებისა და თვისებების გამოაშკარავება და მხილება. ამ შემთხვევაში გამოიყენება როგორც გულუბრყვილო ხუმრობა, გამასხარება, დაცინვა, ირონია, ისე გაკიღვა, დამცირება, „შხამიანი ისრების“ სროლა, აბუჩად აგდება, უარყოფითად შეფასება.

სატირისა და იუმორის მეცნიერულ განსაზღვრება არა ერთ სპეციალისტსა თუ მეცნიერულ ჯგუფს აქვს მოცემული, მაგრამ ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დადგენილი ამ ცნებების არსის საყოველთაოდ მისაღები კონკრეტული განსაზღვრება. ხშირად ძნელი გასარჩევი ხდება, სატირასა თუ იუმორთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ ხდება მათი შეთავსება-შენივთება, ერთდროულად გამოყენება როგორც ერთიანი, მთელისა და ალბათ ამან განაპირობა ის, რომ, ჩვეულებრივ, მეტყველებაში უმეტესად სატირასა და იუმორს ერთად გამოხატავენ განუცალკევებლად.

სატირასა და იუმორს უძველესი წარმომავლობა აქვს. ის ჯერ კიდევ ეგვიპტური იმპერიის აღორძინების ხანაში იჩენს თავს და აქედან მოყოლებული, ვითარდება და სულ ახალ-ახალ თვისებებს





იძენს და თითქმის მთელ მსოფლიოს იპყრობს. არ არსებობს არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა, ერი თუ ხალხი, საკუთარი სატირა და იუმორი არ გააჩნდეს. ცხადია, აქ იგულისხმება ფოლკლორული საწყისებიც და ზეპირმეტყველებითი გადმოცემები, რაც ამჟამადაც ავლენს თავს და საკმაოდ ფეხმოკიდებულიცაა.

ქართული ხალხური სატირა და იუმორი საკმაოდ დიდი ისტორიული წარსულის მქონეა. მათი ელემენტები უძველეს და ძველ ქართულ ლიტერატურაშიც გვხვდება. რაც შეეხება პროფესიულ სატირულ-იუმორისტულ ლიტერატურას – ჟურნალ-გაზეთებს, ალმანახებს, ცალკეულ გამოცემებს – ისინი ახალ ლიტერატურის ეპოქის დამახასიათებელი ატრიბუტებია. განსაკუთრებით მომრავლდა ამგვარი გამოცემები XX საუკუნის დასაწყისიდან და მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში ენერგიულად იკვლევდა გზას. სატირულ-იუმორისტულ პერიოდიკას სათავე XIX საუკუნის მიწურულს დაედო და თანდათან მტკიცედ იკიდებდა ფეხს. იგი ამ პერიოდის ლიტერატურის განუყოფელ შენაკადს წარმოადგენდა.

აღნიშნულ პერიოდში ეპოქალურმა მოვლენებმა და საკმაოდ განვითარებულმა ლიტერატურულმა მოძრაობამ, გემოვნების დახვეწამ, ცხოვრებისეულმა მოთხოვნილებებმა საქართველოში სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის გაჩენა და გამრავლება განაპირობა. მრავალპარტიულობამ, იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ, საზოგადოების დაქუცმაცვებულობამ ბიძგი მისცა მრავალი სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის გაჩენას. ჩნდება სხვადასხვა პერიოდულობისა და მიმართულების ჟურნალი, გაზეთი თუ კრებული (ალმანახი), ფეხი მოიკიდა კარიკატურისა და შარჟის ჟანრმა. საქართველოში ამგვარი ლიტერატურა გამოდიოდა არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ რუსულად, სომხურად და თურქულად (აზერბაიჯანულად). 1880–1921 წლებში არაერთი პერიოდული ორგანო გამოიცა, ზოგი საკმაოდ დიდხანს გამოდიოდა წყვეტილად, ზოგი მხოლოდ ერთხელ გამოიცა და ცენზურის წყალობით მაშინვე დაიხურა. სხვათა შორის, ცენზურა აქტიურად ერეოდა სატირულ-იუმორისტული გამოცემების საქმიანობაში, თუმც


ხშირად ვერ ახერხებდა დროულად აღეკვეცა ხელისუფლებისათვის მეტად მწვავე გამოხდომები.

ყველაზე პირველად სატირულ-იუმორისტული ჟურნალი რუსულ ენაზე გამოიცა – „Фаланга“, რომელიც 1880–1881 წლებში გამოდიოდა ი. პიტოვეის რედაქტორობით, იგი ძირითადად იმდროინდელი რუსული ანალოგიური პერიოდიკის ტრადიციებზე შეიქმნა და ბევრ რამეს იმეორებდა, მაგრამ მთლიანობაში საინტერესო იყო იმით, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს აშუქებდა.

აქედან მოყოლებული, მთელ საქართველოში იწყებს მომრავლებას სატირულ-იუმორისტული პერიოდიკა, უმთავრესად თბილისში, შემდეგ სხვა ქალაქებშიც, განსაკუთრებით ქუთაისში. ამგვარი პერიოდული გამოცემები უმეტესწილად გამოსვლას იწყებს XX საუკუნის დასაწყისში. ამ ეპოქაში, შეიძლება ითქვას, ფლაგმანის როლს „ცნობის ფურცელი“ ასრულებდა თავისი სურათებიანი დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე 1894 წლიდან თბილისში ვალერიან გუნიას რედაქტორობით გამოცემა დაიწყო ჟურნალი „რამე-რუმე“, მაგრამ, სამწუხაროდ, ჟურნალი ვერ გამოდგა წარმატებულ ცდად, რადგანაც ძირითადად მხოლოდ ერთი მოტივით შემოიფარგლა, კერძოდ, ბანკის ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმით.

საქართველოში სატირულ-იუმორისტული ლიტერატურული მიმართულება საკმაოდ მძლავრად იქნა წარმოდგენილი. დაახლოებით 100–მდე სხვადასხვა სახის სატირულ-იუმორისტული პერიოდული ორგანო მოქმედებდა XX საუკუნის პირველ ორ ათეულში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვადებში. უმეტესად გამოიცემოდა ჟურნალები, შედარებით ნაკლებად – გაზეთები, მრავლად ქვეყნდებოდა სატირულ-იუმორისტული ალმანახები. უზარმაზარ ზღვა მასალაში ვხვდებით მოთხრობებს, ნოველებს, ლექსებს, შარადებს, დიალოგებს, ანეკდოტებს, პატარ-პატარა პიესებსა და სცენებს, სარკასტულ ლექსიკონებს, მოსწრებულ სიტყვა-პასუხებს, ილუსტრაციებზე სახუმარო მინანქრებს, ცოცხალ – ნამდვილ ამბებს, პოლემიკას, წერილ-გზავნილებს, დეპეშებს, ფელეტონებს, სასაუბრო გამოთქმებს და სხვ. უხვად არის მოცემული საილუსტრაციო მასალა, ძირითადად გრაფიკული ნახატები, შავ-თეთრი ფოტოები, გასაფორმებელი ვენზელები, თავსამკაულები, ბოლოკიდურები და სხვ. პოლიგრაფიული მხატვრული თვალსაზრისით გამოცემების დიდი ნაწილი საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული.

მკითხველებს შორის სატირულ-იუმორისტული





გამოცემები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ბევრმა მათგანმა შეძლო გამკლავებოდა დროს, მაგრამ ბევრიც ადრე სწყვეტდა არსებობას, მასალა, რომელსაც ეს გამოცემები შეიცავს, ხშირ შემთხვევაში საინტერესოა არა მარტო საისტორიო თვალსაზრისით, არამედ დღევანდელი ანალოგიითაც. მათ არ აკლია აქტუალობა, თითქოს წარსული დღევანდელ დღეს ეხმიანება. მოცემული მასალის მეშვეობით ბევრი რამ შეიძლება გავიგოთ ჩვენი წარსული ყოფიდან, ბევრი რამ აიხსნას და გაირკვეს, ზოგიც დაზუსტდეს და დასაბუთდეს, ზოგიც გამომჟღავნდეს. მათ დღესაც არ დაუკარგავს მახვილგონივრული, ღიმილის მომგვრელი მუხტი და სილაღე.

მართალია, ზოგი რამ ჩვენთვის გაუგებარია, რადგანაც ლაპარაკია ისეთ მოვლენაზე, რომელიც მაშინ ალბათ საყოველთაოდ ცნობილი იყო, მაგრამ უმეტესობა ამჟამადაც სრულიად გასაგები და სიცოცხლის უნრიანია.


საინტერესოა შევარჩიოთ და ვნახოთ, რას წერ-

დნენ და აქვეყნებდნენ ჩვენი სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები და ალმანახ-კრებულები. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოში მეტად გავრცელებული და პოპულარული პერიოდული ორგანოები და ალმანახები, კერძოდ: „ცნობის ფურცელი“ თავისი დამატებებით, „ხუმარა“, „მასხარა“, „ემმაკის მათრახი“, „ემმაკი“, „ნიშადური“, „მათრახი“, „ტარტაროზი“, „ლახტი“, „ხათაბალა“, „ემმაკი და სალამური“ და სხვა.

ჩვენ შევეცდებით, დრო და დრო მოგანოდოთ მათ მიერ დაბეჭდილი სატირულ-იუმორისტული მასალა და პირადად ნახოთ, თუ რას წერდნენ და ბეჭდავდნენ ისინი. ცხადია, ყველა ღირსშესანიშნავი რამ ვერ მოხვდება ჩენს ჟურნალში, მაგრამ ვფიქრობთ, ჩვენი შეხედულებით ყველაზე დროული და საინტერესო მოგანოდოთ გასაცნობად. ვეცდებით, შემდეგშიაც გამოვეკრიფოთ თქვენთვის საინტერესო და ღიმილისმომგვრელი მასალა. ამჟამად გთავაზობთ რამდენიმეს.

## ნეკროლოგი

### გიორგი გარდაფხაძე



გასული წლის მინუტულს გარდაიცვალა საბიბლიოთეკო საქმის უანგარო და ერთგული მსახური, ფრიად განათლებული და წიგნიერი სპეციალისტი გიორგი გარდაფხაძე. დაიბადა 1924 წელს ლენტეხის რაიონის სოფ. თეკალში. საშუალო განათლების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სწავლის გასრულების შემდეგ ერთხანს ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ლენტეხისა და ცაგერის სკოლებში. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გიორგი გარდაფხაძე საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და თავისი შრომითი საქმიანობა საბოლოოდ დაუკავშირა საბიბლიოთეკო საქმეს. თავდაპირველად იგი მუშაობდა თბილისის ქალაქი საბჭოს კულტურის სამმართველოში, შემდეგ ხელმძღვანელობდა თბილისის რამდენიმე საქალაქო ბიბლიოთეკას. ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში გამოვლინდა გ. გარდაფხაძის ინტერესი ისეთი დარგისადმი, რო-

გორიც საბიბლიოთეკო საქმეა. ამ სფეროში მისი მოღვაწეობა წარმატებული და ნაყოფიერი იყო. ბიბლიოთეკებში, სადაც იგი იღვწოდა, სუფევდა შრომითი საქმიანობის ატმოსფერო; თვითონ გიორგი გახლდათ საოცრად ყურადღებიანი, განსწავლული ადამიანი, მკითხველთა მოსიყვარულე. იგი კარგად ფლობდა საბიბლიოთეკო დარგის მენეჯერის თანამედროვე თვისებებს. პროფესიის სიღრმისეული ცოდნა მას საშუალებას აძლევდა, მიზანმიმართულად წარემართა ბიბლიოთეკის მკითხველთა ინტერესი, რაც ყველაზე რთულია საბიბლიოთეკო საქმიანობაში. როგორც ხელმძღვანელი, როგორც მეთოდისტი, ის დაულალავად მუშაობა სპეციალისტებთან და უანგაროთ ეხმარებოდა მათ, ხელს უმართავდა ბიბლიოთეკაში მოსულ მომხმარებლებს.



ასეთმა მიდგომამ განაპირობა მისი პიროვნებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება, ის სიყვარული და პატივისცემა, რითაც იგი სარგებლობდა კოლეგებსა და მკითხველ საზოგადოებას შორის.

მისი, როგორც პიროვნების, მოქალაქისა და პროფესიონალის სახე, დიდხანს ემახსოვრებათ საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს.

*ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია;  
თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანება,  
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია*



# 1 ივნისი - ბავშვთა დასვის დღე!







ბიბლიოთეკათმცოდნეობის დაუსწრებელი განყოფილების  
სტუდენტები ექსკურსიაზე მცხეთის ჯვარზე. 1976



ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების გამოშვება. 1976





ဂ. 186/2